

მარია მკალაშვილი, თამარ საბიაშვილი,
თამარ ჩხიკვაძე

მოქალაქეობა 10

მასწავლებლის წიგნი

I სემესტრი



მარიამ მკალავიშვილი, თამარ ხატიაშვილი,
თამარ ჩხიკვაძე

მოქალაქეობა

X კლასი

მასწავლებლის წიგნი

I სემესტრი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მიერ 2022 წელს



ა(ა)იპ "ეპიგრაფი"

ავტორები: მარიამ მკალავიშვილი, თამარ ხატიაშვილი, თამარ ჩხიკვაძე.

მოქალაქეობა X კლასი

მასწავლებლის წიგნი

რედაქტორი: თეონა მკალავიშვილი

დიზაინერი: ნინო მკალავიშვილი

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: ლია არევაძე

პირველი გამოცემა

© გამომცემლობა ა(ა)იპ “ეპიგრაფი”, 2022

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-8-4509-3

გამომცემლობა ა(ა)იპ “ეპიგრაფი”

მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ირ. ევდოშვილის ქ. 18, ბ. 168

ტელეფონი: (+995) 555 004 227

ელ. ფოსტა: geo.epigraphi@gmail.com

ვებ-გვერდი: www.epigraphi.ge

სარჩევი

შესავალი	4
მოსწავლის სახელმძღვანელოს თითოეული პარაგრაფის სტრუქტურა	6
1. ეროვნული სასწავლო გეგმა.....	9
1.1. ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები	9
1.2 საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტი:	10
2. სასწავლო თემის დაგეგმვა და დამუშავება.....	13
2.1 სასწავლო თემის დაგეგმვა.....	13
2.2. განმარტებები გლობალური მოქალაქეობის თემის დამუშავებისთვის	15
3. თემატური მატრიცა	20
4. მოსწავლის შეფასება	58
5. მეთოდური რეკომენდაციები	64
6. დანართი.....	69
7. ლექსიკონი	84
8. სახელმძღვანელოში გამოყენებული და სარეკომენდაციო ლიტერატურა და წყაროები	86

შესავალი

მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო! გმადლობთ ჩვენი სახელმძღვანელოს მიმართ გამოხატული ნდობისა და არჩევანისთვის. საავტორო ჯგუფის მიზანია, მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალებითა და რესურსებით მეგზურობა გაგიწიოთ სასწავლო პროცესის საინტერესოდ და დინამიკურად წარმართვაში. ვფიქრობთ, ჩვენი სახელმძღვანელოს დახმარებით თქვენ შეძლებთ, მოსწავლეები ჩართოთ ცოდნის აქტიურად აგების პროცესში.

სახელმძღვანელო „**მოქალაქეობა 10**“ ემსახურება საქართველოს მოქალაქის აღზრდასა და განათლებას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისად. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს თანამედროვე, სახელმწიფოებრივად და გლობალურად მოაზროვნე აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებას, დაეხმაროს მოსწავლეებს დემოკრატიული პრინციპების გაცნობიერებასა და მისი ღირებულებითი სისტემის ცხოვრების წესად ქცევაში, ჩამოუყალიბოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ საზოგადოების აქტიურ წევრებად და მსოფლიო მოქალაქედ აქცევს, რადგან მოქალაქეობრივი აღზრდა-განათლება არის ინდივიდების სულიერი, მორალური, სოციალური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა.

წარმოდგენილ მასწავლებლის სახელმძღვანელოში თქვენ გაეცნობით: ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის „მოქალაქეობის“ სტანდარტს, მოსწავლის სახელმძღვანელოს აგებულებას, თემის ეტაპებად აგების პრინციპსა და თავად თემატურ მატრიცას; სწავლებისა და შეფასების მეთოდურ რეკომენდაციებს; სახელმძღვანელოს ახლავს დანართები, ლექსიკონი, გამოყენებული და სარეკომენდაციო ლიტერატურის ჩამონათვალი.

შესავლის შემდეგ თქვენ გაეცნობით მოსწავლის სახელმძღვანელოს თითოეული პარაგრაფის სტრუქტურას, რომელიც დაგეხმარებათ, ნათლად წარმოიდგინოთ პარაგრაფების აგებულება, მოცემული რესურსები თუ პირობითი აღნიშვნები და ეფექტურად გამოიყენოთ ისინი. მოსწავლის წიგნის აგების არქიტექტურა კი საინტერესო, უწყვეტ, სიუჟეტურ ქარგას გთავაზობთ.

პირველ თავში გთავაზობთ ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად საგანმანათლებლო პრინციპებსა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტს.

მეორე თავში მოცემულია განმარტებები გლობალური მოქალაქეობის თემის დამუშავებისთვის.

მესამე თავში წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში განხილულია კომპლექსური დავალების განხორციელების დეტალური ინსტრუქციები, აქტივობებისა და რესურსების გამოყენების შესაბამისი რეკომენდაციები.

მეოთხე თავში მოცემული მეთოდური რეკომენდაციები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით.

დანართებში საკანონმდებლო დოკუმენტებიდან წარმოდგენილი საჭირო ამონარიდები და გამოყენებული ელექტრონული რესურსები ავთენტურსა და საინტერესოს გახდის სწავლება/სწავლის პროცესს.

სახელმძღვანელოს ახლავს **ლექსიკონი**, რომელიც გაგიადვილებთ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი ტერმინოლოგიის მოსწავლეთათვის ახსნას.

ასევე სახელმძღვანელო გთავაზობთ **სარეკომენდაციო ლიტერატურას**, რომლის გამოყენება დაგეხმარებათ სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვაში.

მე-10 კლასის სახელმძღვანელო, ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შესაბამისად, შედგება ორი თემისგან, კერძოდ, **1. გლობალური მოქალაქეობა, 2. სამართლებრივი კულტურა**. სახელმძღვანელო 2 ნაწილადაა წარმოდგენილი.

პირველი თემის (გლობალური მოქალაქეობა) მიზანია მოსწავლეებმა გაიაზრონ და მათ ცნობიერებაში მკვიდრ წარმოდგენად იქცეს ადამიანის პიროვნული განვითარებისა და გლობალურ მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის არსებითი ფაქტორები; შეძლონ სოციალური უნარებისა და გლობალური მოქალაქეობის არსებითი მახასიათებლების დემოკრატიის

პრინციპებთან დაკავშირება; გლობალური მოქალაქის თვალსაწიერიდან აქტუალური პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზების შერჩევა; გლობალური მოქალაქეობის არსებითი მახასიათებლების მდგრადი განვითარების პრინციპებთან დაკავშირება.

ამ მიზნის მისაღწევად, პირველ თავში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: **მოქალაქეობა ანტიკურ ხანაში, მოქალაქეობის კონცეფციის განვითარება, სამშობლო დედამიწა, გზა გლობალური მოქალაქეობისკენ.**

მეორე თემის (სამართლებრივი კულტურა) მიზანია მოსწავლეებმა შეძლონ საზოგადოებაში არსებული პრობლემების გამოკვეთა და გაანალიზება, რომლებიც ხელს უწყობს/უშლის სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებას; სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებლების, მართლმსაჯულების სისტემისა და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გაანალიზება დემოკრატიის პრინციპების ქრილში; სამართლებრივი კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობისთვის მოქალაქის პერსონალური როლისა და კონკრეტული აქტივობების განსაზღვრა; სამართლებრივ კულტურასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და დილემაზე მსჯელობისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება.

და ბოლოს, მოსწავლის წიგნი დაწერილია ახალგაზრდებისთვის გასაგები, თანამედროვე ლექსიკით. პარაგრაფებში განხილული ამბები უკავშირდება რეალურ ცხოვრებას თუ მათივე თანატოლების თავს გადახდენილ რეალურ ისტორიებს, ქმნის გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლის წინაპირობებს, ამკვიდრებს დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების სტანდარტებს, რითიც შესაძლებელს ხდის საგნის სწავლების მიზნების მიღწევას, მოსწავლეთა მსოფლიო მოქალაქედ, საზოგადოების აქტიურ წევრებად და ჩამოყალიბებას!

გამომცემლობის ვებ გვერდის საშუალებით თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა, მოგვმართოთ შეკითხვებით და გაგვიზიაროთ თქვენი პრაქტიკული გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ იყენებთ შემოთავაზებულ მეთოდურ რეკომენდაციებს, რომელი აქტივობები, მეთოდები/სტრატეგიები მოიძიეთ დამატებით. ასეთი თანამშრომლობა დაგვეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევაში.

გისურვებთ წარმატებებს!

მოსწავლის სახელმძღვანელოს თითოეული პარაგრაფის სტრუქტურა:

- ✓ თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები

თავი 1 გლობალური მოქალაქეობა

კომპლექსური დავალება 1

გაიხსენეთ:

- რა იცით ანტიკური ხანის საბერძნეთსა და რომზე?
- რომელ მოაზროვნეებს იცნობთ ანტიკური ხანიდან?
- რა როლი ითამაშა ანტიკური ხანის სოციალურმა, პოლიტიკურმა თუ კულტურულმა პროცესებმა დემოკრატიის/კაცობრიობის განვითარებაში?
- ანტიკური ეპოქის ამსახველ რომელ ფილმებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებებს გაიხსენებთ?

- ✓ კომპლექსური დავალების პირობა, რომელიც დაფუძნებულია კონკრეტულ წყაროზე

კომპლექსური დავალების პირობა

გაეცანით სხვადასხვა სოციალური ფენის ბერძენ და რომაელთა ცხოვრებისეულ ეპიზოდებს. მოირგეთ ერთ-ერთი მათგანის როლი (ბერძენი მეიგაგის – ეზოპეს, კალიქსტო კრეტელის, მონა ფორტუნატასა და ჯარისკაცი კვინტუს ვალერიუსის) და არჩეული პერსპექტივიდან მისწერეთ წერილი მეგობარს, ან კომიქსით მოუყევით ამბავი, რომელშიც თამამად გამოხატავთ თქვენ აზრს ადამიანის უფლებების და პიროვნული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

- ✓ კომპლექსური დავალების განხორციელების გზის დაგეგმვა და საკვანძო შეკითხვა ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- როგორი იყო საბერძნეთში/რომში არსებული სოციალური ფენების უფლება-მოვალეობები და როგორ შეესაბამება ეს უფლება-მოვალეობები დემოკრატიის პრინციპებს.
- საბერძნეთის/რომის რომელი კანონები იცავს ან ზღუდავს თქვენ მიერ შერჩეული პირის უფლებებს.
- აქვს თუ არა თქვენ მიერ შერჩეულ ადამიანს პიროვნული განვითარების შესაძლებლობა საბერძნეთის/რომის საზოგადოებაში.

- ✓ საკითხთან დაკავშირებული წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები


თავი 1 გლობალური მოქალაქეობა

§ 1. მოქალაქეობა ანტიკურ საბერძნეთსა და რომში

წინარე ცოდნის გააქტიურებისთვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:


- გაიხსენეთ, რას ნიშნავს ტერმინი „მოქალაქე“?
- რა თვისებებით გამოირჩევა აქტიური მოქალაქე?

- ✓ თეორიული ტექსტი - კონკრეტული მაგალითებით, როგორც თანატოლთა მონათხრობის, ასევე ინტერნეტის რესურსებში გავრცელებული ინფორმაციით, მიზნობრივი ილუსტრაციებით, ფოტოებით



ტექსტი როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ადამიანს ენოდოს მსოფლიო მოქალაქე?

როგორც უკვე იცით, მოქალაქეობის სტატუსი ადამიანის გარკვეულ ტერიტორიასთან (სახელმწიფოსთან) მიკუთვნებულობას გულისხმობს, აქედან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეობა არის პირის სამართლებრივი კავშირი საქართველოსთან. „მსოფლიო მოქალაქის“ კონცეფცია უკვე საკმაოდ დიდი ხანია არსებობს და საშუალებას იძლევა, რომ ადამიანები ერთდროულად იყვნენ ერთზე მეტი სახელმწიფოს ან სახელმწიფოებრივი წარმომადგენლის მოქალაქეები.



- ✓ კითხვებისა და დავალებების ნაწილი



დავალება

შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებიდან გამოითხოვეთ ინფორმაცია რამდენადაა დაბინძურებული ტექსტის ქალაქში/სოფელში/დაბაში ჰაერი, როგორია სასმელი წყლის ხარისხი, რა ვითარებაა მწვანე საფარის თვალსაზრისით. გამოიკვლიეთ, რა განაპირობებს არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობას. რამდენადაა ის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან?



იმსჯელეთ: შეიძლება თუ არა ისეთი გზების მოძებნა, რომ ეკონომიკის განვითარებამ არ დააზიანოს გარემო და რომ ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამ გარემოს სტაბილურობა არ დაარღვიოს.



ტექსტი როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ადამიანს ენოდოს მსოფლიო მოქალაქე?

✓ ყოველ დავალებასთან - შესაბამისი პიქტოგრამა

სახელმძღვანელოში გამოყენებული ნიშნები:



იმუშავე ინდივიდუალურად



დისკუსია



უპასუხე კითხვებს:



იმუშავეთ ჯგუფებში



იმუშავეთ წყვილებში



საშინაო დავალება



იმსჯელე



კითხვები დოკუმენტური მასალის შესახებ



დავალება ("დაფიქრდი", "აღწერე", "შეადარე", "გაეცანი" და სხვ.)



კითხვები თვითშეფასებისთვის

✓ ზოგიერთ პარაგრაფთან - რუბრიკა „ცოტა რამ ისტორიიდან“



მიხეილ მურვანიშვილი
(1875-1959)

ცოტა რამ ისტორიიდან

კაცი, რომელმაც წახევარი საქართველოს ტყეები გააშენა – "რომ არა ის, სურამი როგორც კურორტი, არ იარსებებდა"

იცნობდეთ: **მიხეილ მურვანიშვილი**. რომ არა ეს კაცი, სურამი, როგორც კლიმატური კურორტი, დღეს არ იარსებებდა. იცოდით, რომ სურამში ბაიათხევის, კვირაცხოველისა და გვერდისუბნის ფერდობები მთლიანად ხელოვნური ტყითაა განაშენიანებული და მანდ ეგ უნიკალური ფიჭვი თაგისით არ ამოსულა? ამ კაცმა გააშენა მთლიანად, რასაც 28 წელი მოჰნდობა და ეს არაა ერთადერთი სიკეთე, რაც დაგვიტოვა. თუ დღეს ნალვერი კურორტია, ამაში დიდი წვლილი მას მიუძღვის. მისი ინიციატივით გამოიყო ნალვერის საუკეთესო კუთხე – კეჩხოზი, სადაც გააშენა ტყე და დაგეგმა აგარაკების ასაშენებლად.

გაიცანით ეს ადამიანი ქვემოთ მოცემული ბმულის საშუალებით; ეს არის მაგალითი ნამდვილი მამულიშვილობისა. <https://cutt.ly/KSjUo6>

წყარო: allnews, რუბრიკა- საინტერესო, 18 დეკემბერი, 2021 წელი



1. ეროვნული სასწავლო გეგმა

1.1. ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სწავლა-სწავლების პროცესი. ეს პრინციპებია:

ა) **სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.** მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაიქმნება მოსწავლის მიერ მისი აქტიური დამუშავების შედეგად. მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციიდან გამოარჩევს ცოდნის შენებისთვის (კონსტრუირებისთვის) მნიშვნელოვან ელემენტებს და ცოდნად გარდაქმნის შერჩეულ ინფორმაციას სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის განხორციელების საფუძველზე.

ბ) **სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.** ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება. წინარე ცოდნა განაპირობებს იმას, თუ მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი.

გ) **სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.** მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება ზრდის გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობებს.

დ) **სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).** სწავლის პროცესში მართებული ხერხებისა და მიდგომების გამოყენება წარმატებული სწავლის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. კონკრეტული მიზნის მისაღწევად განსაზღვრულ უნარებზე დაყრდნობით გააზრებულად, გაცნობიერებულად დაგეგმვა და კოორდინირება ზრდის მოსწავლის ქმედობაუნარიანობას, ეხმარება მას მიზნის ეფექტიანად მიღწევასა და სიმძნელეთა გადალახვაში. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია დააფიქროს მოსწავლე იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რომლებსაც იგი გამოიყენებს მიზნის მისაღწევად და დაეხმაროს მათ შორის, საუკეთესოს აღმოჩენაში.

ე) **სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.**

ე.ა) დეკლარატიული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა. იგი გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას: რა ვიცი?

ე.ბ) პროცედურული ცოდნა დინამიკურია და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას. პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო?

ე.გ) პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას და პასუხობს კითხვას: როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა?

1.2 საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტი:

მოქალაქეობა

შესავალი

კურსი განკუთვნილია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. მის ფარგლებში ფართოვდება და ღრმავდება საბაზო საფეხურზე მოქალაქეობის ფარგლებში შეძენილი ცოდნა.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები.

შინაარსი აღიწერება თემების (ქვეთემების), საკითხების და ქვეცნებების სახით. ეროვნულ სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს. თემების შესაბამის საკითხებს კი სკოლები თავად ირჩევენ.

თითოეულ თემას ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

საფეხურის შედეგები

საშუალო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., მოქ. საშ. არჩ.1.:

„მოქ.“ – მიუთითებს საგანს „მოქალაქეობა“;

„საშ.“ – მიუთითებს საშუალო საფეხურს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მოქალაქეობის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსი		სამიზნე ცნებები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მოქ.საშ.1.	გადაწყვეტილებების მიღებისა და შესაბამისი ქმედებისას უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებების კონვენცია) გათვალისწინება;	საზოგადოება (პიროვნება, ინდივიდი, სოციალიზაცია) (მოქ.საშ.1, 2, 4) დემოკრატია
მოქ.საშ.2.	საზოგადოებისთვის აქტუალური გლობალური და ლოკალური სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა, დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით;	(ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები) (მოქ.საშ.1,2,3,4)
მოქ.საშ.3.	მდგრადი განვითარების პრინციპების გააზრებით მოქმედება (მათ შორის, ყოველდღიურ და საგანგებო (ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეულ) ვითარებაში უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება);	

მოქ.საშ.4.	საზოგადოებაში პოზიტიურ ცვლილებებზე ორიენტირებული იდეების ლობირება და ადვოკატირება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით.	სამოქალაქო მონაწილეობა (მოქ.საშ.2,4) მდგრადი განვითარება (მოქ.საშ.3)
-------------------	---	---

სავალდებულო თემები:

X კლასი
1. გლობალური მოქალაქეობა
2. სამართლებრივი კულტურა

რეკომენდებულია, სწავლა-სწავლების პროცესში სკოლებმა დაიცვან თემების ზემოთ შემოთავაზებული თანმიმდევრობა (რეკომენდებულია ერთ სემესტრში ერთი თემის სწავლება).

სავალდებულო თემებისა და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელი ცხრილები:

ცხრილში მოცემულია თემის დასახელება, მისი აღწერა და შეფასების ინდიკატორები, რომლებშიც ნაჩვენებია, თუ როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში.

X კლასი

თემა 1. გლობალური მოქალაქეობა თემა გულისხმობს მოქალაქეობის არსის შესწავლა-გაცნობიერებას დიაქრონულ ჭრილში – ანტიკური პერიოდიდან თანამედროვე გლობალური მოქალაქის კონცეფციამდე, მოქალაქის უფლებების განვითარების კვალდაკვალ. ყურადღება გამახვილებულია საქართველოში მოქალაქეობის მინიჭების შესაძლებლობებზე, დემოკრატიული კულტურისა და ციფრული კომპეტენციების მნიშვნელობაზე, გლობალური მოქალაქის ჩამოყალიბების პროცესზე. გაანალიზებულია ადამიანის მსოფლმხედველობასა და პიროვნულ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები (იდენტობა, თვითრეფლექსია, ემპათია, ასერტულობა, ემოციებისა და კონფლიქტების მართვა, მასების ფსიქოლოგია). თემა მოიცავს დეზინფორმაციისა და ყალბი ახალი ამბების, როგორც დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ხელშემშლელ პირობის, და მასთან დაკავშირებული კონტრსტრატეგიების მნიშვნელობის გააზრებას. აქცენტი კეთდება საზოგადოებასა და პოლიტიკაზე სოციალური მედიის ზეგავლენაზე.
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით: საზოგადოება - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ადამიანის პიროვნული განვითარებისა და გლობალურ მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის არსებითი ფაქტორების (იდენტობა, თვითრეფლექსია, თვითმართვა, სოციალური ცნობიერება,

ურთიერთობის უნარი, გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობის აღება, ემპათია, ასერტულობა, კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით მართვა, მედიაწიგნიერება და ციფრული კომპეტენციები) გაანალიზება;

დემოკრატია - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ადამიანის სოციალური უნარებისა და გლობალური მოქალაქეობის არსებითი მახასიათებლებისა დემოკრატიის პრინციპებთან (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდების გამოყენება, ტოლერანტობა) დაკავშირება;

სამოქალაქო მონაწილეობა - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გლობალური მოქალაქის თვალსაწიერიდან აქტუალური პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზების შერჩევა (მათ შორის, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის გზების დასახვა, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება, დეზინფორმაციის ამოცნობა და მხილება);

მდგრადი განვითარება - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გლობალური მოქალაქეობის არსებითი მახასიათებლების მდგრადი განვითარების პრინციპებთან დაკავშირება.

თემა 2. სამართლებრივი კულტურა

თემა გულისხმობს სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვან ასპექტების (კანონმორჩილება, ადამიანის უფლებების აღიარება) შესწავლას, კონკრეტული მექანიზმების, მაგალითებისა და დილემების განხილვას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება სამართალზე დაფუძნებული ბერკეტების ამოქმედებით კონკრეტული პრობლემების გადაჭრა (მაგალითად, ძალადობის პრევენცია, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა).

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით:

საზოგადოება - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საზოგადოებაში არსებული პრობლემების გამოკვეთა და გაანალიზება, რომლებიც ხელს უწყობს/უშლის სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებას;

დემოკრატია - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებლების, მართლმსაჯულების სისტემისა და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გაანალიზება დემოკრატიის პრინციპების ჭრილში;

სამოქალაქო მონაწილეობა - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სამართლებრივი კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობისთვის მოქალაქის პერსონალური როლისა და კონკრეტული აქტივობების განსაზღვრა;

მდგრადი განვითარება - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სამართლებრივ კულტურასთან დაკავშირებული პრობლემებზე და დილემებზე მსჯელობისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება.

2. სასწავლო თემის დაგეგმვა და დამუშავება

2.1 სასწავლო თემის დაგეგმვა

ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძვრებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. რამდენადაც შედეგებზე გასვლა და სამიზნე ცნებების (და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლება) საგნის სწავლების გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს, თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული.

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

სასწავლო თემა სასწავლო თემა წარმოადგენს კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.
თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები თემატური მკვიდრი წარმოდგენების ფუნქციაა მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე (თემატურ მკვიდრ წარმოდგენები თვისობრივად განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).
შედეგები, სამიზნე ცნებები და ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები პასუხს სცემს შეკითხვას - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას.
საგნობრივი საკითხები წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს. საგნობრივი საკითხების საშუალებით განისაზღვრება ის, თუ კონკრეტულად რაზე უნდა იმუშავოს მოსწავლემ თემის ფარგლებში. საკითხებზე დაყრდნობით განისაზღვრება, აგრეთვე, კომპლექსური დავალების პირობა, რომელიც მოსწავლეს სამიზნე ცნებისა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში ეხმარება.
ქვეცნებები ქვეცნებები წარმოადგენს იმ ცნებებსა და ტერმინებს, რომლებიც სამიზნე ცნებებიდან გამომდინარეობენ და რომლებით ოპერირებაც მოსწავლეს ამ კონკრეტული თემის ფარგლებში/კონკრეტულ საკითხთან მიმართებით მოუწევს.
კომპლექსური დავალება კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება (მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულებთან - საკითხი, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი) თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

საკვანძო შეკითხვები

თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და პასუხს სცემს შეკითხვას - რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? მათი ფუნქციაა: მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მარგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

აქტივობები და რესურსები

თემატური მატრიცაში აქტივობები და სასწავლო რესურსები შეირჩევა იმისთვის, რათა მოსწავლეს გაუადვილდეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, რომლის შესრულებაც თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს.


როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული და გრძელვადიან მიზნებს განასახიერებს.

შუალედური მოკლევადიანი მიზნის როლს თემატურ გეგმაში **კომპლექსური დავალება** და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები: საკითხი, ქვეცნებები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები ასრულებს.

თემის ფარგლებში ასევე გამოიყოფა **თემატური მკვიდრი წარმოდგენები**. მათი ფუნქციაა მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე.

სასწავლო თემის აგების ბიჯები



2.2. განმარტებები გლობალური მოქალაქეობის თემის დამუშავებისთვის

სასწავლო თემა გლობალური მოქალაქეობა წარმოადგენს კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებებისა და კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, დამუშავებულია სტანდარტის ყველა შედეგი.

თემა: გლობალური მოქალაქეობა	
თემასთან დაკავშირებულ მკვიდრი წარმოდგენები:	
საზოგადოება	- ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე გავლენას ახდენს როგორც ლოკალური, ისე გლობალური გარემო; - გლობალური მოქალაქეობა გულისხმობს საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გააზრებას არა მხოლოდ ლოკალურ დონეზე (სამეზობლო თემი, ქვეყანა), არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბითაც;
დემოკრატია	- ლოკალურ და გლობალურ დონეზე დემოკრატიის პრინციპების დაცვა ხელს უწყობს ადამიანის პიროვნულ განვითარებას; - მოქალაქეობის კონცეფცია იცვლებოდა ისტორიული პერიოდების გათვალისწინებით; თანამედროვე ეტაპზე დემოკრატიის პრინციპები გლობალური მოქალაქეობისა და საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველია.
სამოქალაქო მონაწილეობა	გლობალურ დონეზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ხელს უწყობს საერთაშორისო დოკუმენტები, ინსტიტუტები და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა; მათი საშუალებით შესაძლებელია ადამიანის სხვადასხვა უფლებასთან დაკავშირებული საკითხების ლობირება და ადვოკატირება;
მდგრადი განვითარება	- მდგრადი განვითარების პრინციპები გლობალური მოქალაქეობის საფუძველია; - ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს.

თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები პასუხობს - რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე თემის შესწავლისას.

გლობალური მოქალაქეობის თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:
- როგორ ზემოქმედებს ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე მის ირგვლივ არსებული გარემო? - რამდენად გულისხმობს საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გააზრება და შესაბამისი ქმედება გლობალურად აზროვნებას? - როგორ იცვლებოდა მოქალაქეობის კონცეფცია დროთა განმავლობაში? - რატომ არის ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა დემოკრატიის გამოხატულება როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ დონეზე? - რატომ უკავშირდება გლობალური მოქალაქეობა დემოკრატიულ კულტურას? - როგორ ხდება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების ადვოკატირება, ლობირება გლობალურ ჭრილში? - როგორ აისახება ლოკალური ქმედებები გლობალურ შედეგებზე?

სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

საზოგადოება (პიროვნება, ინდივიდი, სოციალიზაცია) (მოქ.საშ.1, 2, 4)
დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები) (მოქ.საშ.1,2,3,4)
სამოქალაქო მონაწილეობა (მოქ.საშ.2,4)
მდგრადი განვითარება (მოქ.საშ.3)

მკვიდრი წარმოდგენები - თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც საზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს.

საზოგადოება (პიროვნება, ინდივიდი, სოციალიზაცია) (მოქ.საშ.1, 2, 4)	• ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება; • ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილება, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას; • სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან /ინსტიტუტებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს; • ასერტულობა (ადამიანის უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე) ხელს უწყობს პიროვნების და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას.
დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები) (მოქ.საშ.1,2,3,4)	• ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით; • ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს; • დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა; • დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არამალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.
სამოქალაქო მონაწილეობა (მოქ.საშ.2,4)	• დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება; • სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა; • აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან,

	საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; • სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება; • სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს.
მდგრადი განვითარება (მოქ.საშ.3)	• რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება; • ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს <i>(მაგალითად, გარემოზე ზრუნვა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიერთილენის პარკზე უარის თქმა).</i>

საკითხები - წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. მათი საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რაზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ თემის ფარგლებში. საკითხებზე დაყრდნობით ხდება, ასევე, კომპლექსური დავალების პირობის განსაზღვრა, რომელიც მოსწავლეს სამიზნე ცნებისა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში ეხმარება.

საკვანძო შეკითხვები გამოკვეთს - რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მათგან, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

კომპლექსური დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება (მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულებთან - საკითხი, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი) თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

საკითხი	საკვანძო შეკითხვა	კომპლექსური დავალების იდეა
1. მოქალაქეობა ანტიკურ ხანაში	როგორ აღწერო წერილში/კომიქსში ანტიკური ეპოქის ცხოვრება და მოქალაქეობის არსი?	გაეცანით სხვადასხვა სოციალური ფენის ბერძენ და რომაელთა ცხოვრებისეულ ეპიზოდებს. მოირგეთ ერთ-ერთი მათგანის როლი (ბერძენი მეიგავის - ეზოპეს, კალიქსტო კრეტელის, მონა ფორტუნატასა და ჯარისკაცი კვინტუს ვალერიუსის) და არჩეული პერსპექტივიდან მისწერეთ წერილი მეგობარს, ან კომიქსით მოუყევით ამბავი, რომელშიც თამამად გამოხატავთ თქვენ აზრს ადამიანის უფლებების და პიროვნული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.
2. მოქალაქეობის კონცეფციის განვითარება	როგორ აღწერო ესეში/პრეზენტაციაში მოქალაქეობის კონცეფციის თავისებურებები მე-19 და 21-ე საუკუნეების	გაეცანით მე-19 საუკუნეში თბილისში არსებულ მოქალაქეთა სოცო-კულტურულ მდგომარეობას, შეადარეთ დღევანდელობას და დაწერეთ ესე ან შექმენით პრეზენტაცია (PowerPoint-ის ან სხვა პროგრამის გამოყენებით) თემაზე: სამოქალაქო საზოგადოება მე-19 საუკუნეში და დღეს.

	საქართველოში ისე, რომ წარმოვაჩინო მსგავსება - განსხვავება ადამიანის უფლებების დაცვის და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით?	თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ არგუმენტირებულად, კონკრეტული მაგალითების მოხმობით.
3. სამშობლო დედამიწა	როგორ შეეცმნა ჩემი თანატოლებისთვის მიმართვის ტექსტი ისე, რომ გამოვხატო ჩვენი მისია ლოკალურ და გლობალურ დონეზე, დავარწმუნო მსმენელი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისა და მთელი მსოფლიოს ერთიანი ძალისხმევა გლობალურ პრობლემებთან მიმართებით?	გაეცანით ედგარ მორენის მიმართვას და ჩაერთეთ კამპანიაში „სამშობლო დედამიწა“. თქვენც შექმენით თქვენი თანატოლებისთვის მიმართვის ტექსტი , რომელშიც წარმოაჩენთ თქვენ გარშემო არსებულ გლობალური მნიშვნელობის პრობლემებს და ჩამოაყალიბებთ კონკრეტულ ამოცანებს, აქტივობებს, რომლებითაც თქვენს წვლილს შეიტანთ ჩვენი საერთო სამშობლოს, დედამიწის, გადარჩენაში, მის მდგრად განვითარებაში. მიმართვის ტექსტში გამოიყენეთ ეფექტური რიტორიკული ხერხები, რითიც დაარწმუნებთ მსმენელებს და განაწყობთ მათ მოქმედებისთვის.
4. გზა გლობალური მოქალაქეობისკენ	როგორ წარმოვაჩინო რეპორტაჟში ჩემ ირგვლივ არსებული პრობლემები თუ მიღწევები ისე, რომ გამოვკვეთო მისი გლობალური მნიშვნელობა?	ადმირალი უილიამ მაკრეივენი ახალგაზრდებს დიდი საქმეების გაკეთებამდე ყოველდღიური ამოცანების შესრულებისკენ მოუწოდებს. თქვენც დაისახეთ კონკრეტული ამოცანა - შეარჩიეთ თქვენს თემში/ქალაქში/დაბაში/სოფელში არსებული აქტუალური საკითხი (პრობლემა/მიღწევა), რომელიც მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისთვის (ეს შეიძლება იყოს: საზოგადოების ღირებულებებითი, ეკოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, განათლების სისტემაში არსებული გამოწვევები და ა.შ.). ჩაწერეთ ინტერვიუები მოქალაქეებთან, გაარკვიეთ მათი დამოკიდებულებები და შეფასებები შერჩეულ საკითხთან დაკავშირებით და მოამზადეთ რეპორტაჟი (ვიდეო ან წერილობითი), რომელშიც გააშუქებთ შერჩეულ საკითხს.

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით:

საზოგადოება - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ადამიანის პიროვნული განვითარებისა და გლობალურ მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის არსებითი ფაქტორების (იდენტობა, თვითრეფლექსია, თვითმართვა, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარი, გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობის აღება, ემპათია, ასერტულობა, კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით მართვა, მედიაწიგნიერება და ციფრული კომპეტენციები) გაანალიზება;

დემოკრატია - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ადამიანის სოციალური უნარებისა და გლობალური მოქალაქეობის არსებითი მახასიათებლებისა დემოკრატიის პრინციპებთან (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდების გამოყენება, ტოლერანტობა) დაკავშირება;

სამოქალაქო მონაწილეობა - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გლობალური მოქალაქის თვალსაწიერიდან აქტუალური პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზების შერჩევა (მათ შორის, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის გზების დასახვა, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება, დეზინფორმაციის ამოცნობა და მხილება);

მდგრადი განვითარება - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გლობალური მოქალაქეობის არსებითი მახასიათებლების მდგრადი განვითარების პრინციპებთან დაკავშირება.

3. თემატური მატრიცა

თემა: გლობალური მოქალაქეობა		საათების სავარაუდო რაოდენობა - 30
თემა გულისხმობს მოქალაქეობის არსის შესწავლა-გაცნობიერებას დიაქრონულ ჭრილში – ანტიკური პერიოდიდან თანამედროვე გლობალური მოქალაქის კონცეფციამდე, მოქალაქის უფლებების განვითარების კვალდაკვალ. ყურადღება გამახვილებულია საქართველოში მოქალაქეობის მინიჭების შესაძლებლობებზე, დემოკრატიული კულტურისა და ციფრული კომპეტენციების მნიშვნელობაზე გლობალური მოქალაქის ჩამოყალიბების პროცესზე. გაანალიზებულია ადამიანის მსოფლმხედველობასა და პიროვნულ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები (იდენტობა, თვითრეფლექსია, ემპათია, ასერტულობა, ემოციებისა და კონფლიქტების მართვა, მასების ფსიქოლოგია). თემა მოიცავს დეზინფორმაციისა და ყალბი ახალი ამბების, როგორც დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ხელშემშლელ პირობის, და მასთან დაკავშირებული კონტრსტრატეგიების მნიშვნელობის გააზრებას. აქცენტი კეთდება საზოგადოებასა და პოლიტიკაზე სოციალური მედიის ზეგავლენაზე.		
თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები		
საზოგადოება	• ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე გავლენას ახდენს როგორც ლოკალური, ისე გლობალური გარემო; • გლობალური მოქალაქობა გულისხმობს საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გააზრებას არა მხოლოდ ლოკალურ დონეზე (სამეზობლო თემი, ქვეყანა), არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბითაც;	
დემოკრატია	• ლოკალურ და გლობალურ დონეზე დემოკრატიის პრინციპების დაცვა ხელს უწყობს ადამიანის პიროვნულ განვითარებას; • მოქალაქეობის კონცეფცია იცვლებოდა ისტორიული პერიოდების გათვალისწინებით; თანამედროვე ეტაპზე დემოკრატიის პრინციპები გლობალური მოქალაქეობისა და საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველია.	
სამოქალაქო მონაწილეობა	• გლობალურ დონეზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ხელს უწყობს საერთაშორისო დოკუმენტები, ინსტიტუტები და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა; მათი საშუალებით შესაძლებელია ადამიანის სხვადასხვა უფლებასთან დაკავშირებული საკითხების ლობირება და ადვოკატირება;	
მდგრადი განვითარება	• მდგრადი განვითარების პრინციპები გლობალური მოქალაქეობის საფუძველია; • ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს.	
თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:		
• როგორ ზემოქმედებს ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე მის ირგვლივ არსებული გარემო? • რამდენად გულისხმობს საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გააზრება და შესაბამისი ქმედება გლობალურად აზროვნებას? • როგორ იცვლებოდა მოქალაქეობის კონცეფცია დროთა განმავლობაში? • რატომ არის ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა დემოკრატიის გამოხატულება როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ დონეზე? • რატომ უკავშირდება გლობალური მოქალაქეობა დემოკრატიულ კულტურას? • როგორ ხდება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების ადვოკატირება, ლობირება გლობალურ ჭრილში? • როგორ აისახება ლოკალური ქმედებები გლობალურ შედეგებზე?		

თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები: 1. მოქალაქეობა ანტიკურ ხანაში 2. მოქალაქეობის კონცეფციის განვითარება 3. სამშობლო დედამიწა 4. გზა გლობალური მოქალაქეობისკენ	
გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N 1
სამიზნე ცნება - საზოგადოება (მოქ.საშ.1, 2, 4) დემოკრატია) (მოქ.საშ.1,2,3,4) ქვეცნება- <i>პიროვნება და საზოგადოება, ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები.</i>	საკითხი- მოქალაქეობა ანტიკურ ხანაში ქვესაკითხი - ათენის მოქალაქეობა; რომის მოქალაქეობა საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები როგორ აღვწერო წერილში/კომიქსში ანტიკური ეპოქის ცხოვრება და მოქალაქეობის არსი?
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები საზოგადოება (<i>პიროვნება, ინდივიდი, სოციალიზაცია</i>) (მოქ.საშ.1, 2, 4) 1. ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება; 2. ადამიანს აქვს სხვადასხვა (<i>ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა</i>) მოთხოვნილება, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას; 3. სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან /ინსტიტუციებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს; 4. ასერტულობა (ადამიანის უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე) ხელს უწყობს პიროვნების და სოციალუმი ჰარმონიულ ურთიერთობას. დემოკრატია (<i>ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები</i>) (მოქ.საშ.1,2,3,4)	კომპლექსური დავალება ანტიკური მოქალაქეობა გაეცანით სხვადასხვა სოციალური ფენის ბერძენ და რომაელთა ცხოვრებისეულ ეპიზოდებს. მოირგეთ ერთ-ერთი მათგანის როლი (ბერძენი მეიგავის - ეზოპეს, კალიქსტო კრეტელის, მონა ფორტუნატასა და ჯარისკაცი კვინტუს ვალერიუსის) და არჩეული პერსპექტივიდან მისწერეთ წერილი მეგობარს, ან კომიქსით მოუყევით ამბავი, რომელშიც თამამად გამოხატავთ თქვენ აზრს ადამიანის უფლებების და პიროვნული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. <u>ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u> • როგორი იყო საბერძნეთში/რომში არსებული სოციალური ფენების უფლება-მოვალეობები და როგორ შეესაბამება ეს უფლება-მოვალეობები დემოკრატიის პრინციპებს. (დემოკ. 3, 4. საზ. 3,4) • საბერძნეთის/რომის რომელი კანონები იცავს ან ზღუდავს თქვენ მიერ შერჩეული პირის უფლებებს; (დემოკ.1, 2) • აქვს თუ არა თქვენ მიერ შერჩეულ ადამიანს პიროვნული განვითარების შესაძლებლობა

1. ყველა ადამიანი იზადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით; 2. ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს; 3. დემოკრატიულ საზოგადოებაში/სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა; 4. დამოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.	საბერძნეთის/რომის საზოგადოებაში (საზ. 1, 2, 3)
--	---

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის გააქტიურება

კითხვები:

-  რა იცით ანტიკური ხანის საბერძნეთსა და რომზე?
-  რომელ მოაზროვნეებს იცნობთ ანტიკური ხანიდან?
-  რა როლი ითამაშა ანტიკური ხანის სოციალურმა, პოლიტიკურმა თუ კულტურულმა პროცესებმა დემოკრატიის/კაცობრიობის განვითარებაში?
-  ანტიკური ეპოქის ამსახველ რომელ ფილმებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებებს გაიხსენებთ?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა-გააზრება და დაგეგმვა

(მასწავლებელი მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ზრუნავს დავალების პირობის ადაპტირებაზე).

კითხვები:

- რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი?
- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რომელი შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რა ფორმით უნდა წარადგინონ ნამუშევარი, ამისათვის გამოგადგებათ ელექტრონულ რესურსებიც, მაგალითად: <http://ncp.ge/ge/tserili-megobars?resid=97> და ყურადღებას ამახვილებს შემდეგ შეკითხვებზე:

- რა ტიპის /რა შინაარსის წერილებზე/კომიქსებზე გიმუშავიათ?(მაგ. ლიტერატურაში)
- რა ტიპის არგუმენტები და ფაქტები წერილში/კომიქსში საჭირო?
- როგორ მოვამზადოთ ეფექტური ტექსტი წერილისთვის/კომიქსისთვის?
- რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ წერილის/კომიქსის შესაქმნელად?
- როგორ გამოვკვეთო წერილში/კომიქსში ძირითადი სათქმელი?
- რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს რვეულებში ჩაინიშნონ მოსაზრებები შემდეგი სქემის გამოყენებით, ასევე, კომპლექსური დავალების დამუშავების პარალელურად მასწავლებელმა შეიძლება ყოველი ნაბიჯის შემდეგ შეახსენოს მოსწავლეებს, ჩაინიშნონ დამღეული საკითხები და ახალი ამოცანები.

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

მეორე ეტაპზე მასწავლებელი და მოსწავლე მუშაობენ უშუალოდ კომპლექსური დავალების შესრულებაზე. საგაკვეთილო პროცესში იყენებს § 1 - ში მოცემულ ინფორმაციას, აქცენტი კეთდება შეფასების კრიტერიუმებზე. პარალელურად, მასწავლებელი ახორციელებს აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს სამიზნე ცნებებთან დაკავშირებით ცოდნის კონსტრუირებას.

ნაბიჯი 1. როგორი იყო საბერძნეთში/რომში არსებული სოციალური ფენების უფლება-მოვალეობები და როგორ შეესაბამება ეს უფლება-მოვალეობები დემოკრატიის პრინციპებს.

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

- გაიხსენეთ, რას ნიშნავს ტერმინი მოქალაქე?
- რა თვისებებით გამოირჩევა აქტიური მოქალაქე?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიყვანონ კონკრეტული მაგალითები აქტიურ მოქალაქეობასთან დაკავშირებით.

აქტივობა 2. ლიკასა და გუკას დიალოგის ანალიზი, შემდეგი კითხვების საშუალებით: (მოსწ. სახ. გვ.10)

- რა კითხვები გაუჩნდებოდა ლიკას გუკას პასუხის შემდეგ?
- როგორ და სად შეეძლო ამ კითხვებზე პასუხის მოძიება?
- თქვენ რას გაიხსენებდით ისტორიიდან ათენის დემოკრატიასთან დაკავშირებით?

აქტივობა 3. დისკუსია თემაზე: მოქალაქე ანტიკურ საბერძნეთში. (მოსწ. სახ. გვ. 11-12)

ანტიკურ საბერძნეთში მოქალაქეობის შესახებ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის გაცნობა. სოლონისა და არისტოტელეს მოსაზრებების ანალიზი და მსჯელობა:

- რა ფაქტორების გამო იყო შეუძლებელი ათენის მოქალაქედ გახდომა?
- რა უფლებები და მოვალეობები ჰქონდათ მოქალაქეებს ძველ საბერძნეთში?
- რატომ არ იყვნენ მოქალაქეთა სიაში ბავშვები და მოხუცები?
- რა გავლენა ექნებოდა მოქალაქეობის ძველ ბერძნულ გაგებას იქ მცხოვრები ადამიანების, როგორც მოქალაქეების, ისე არამოქალაქეების პიროვნულ განვითარებაზე?

აქტივობა 4. ანტიკურ რომში მოქალაქის უფლება-მოვალეობების გაცნობა-გააზრება (მოსწ. სახ. გვ. 13-14)

ანტიკურ რომში მოქალაქეობის შესახებ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის გაცნობა და დამუშავება ცოდნის კონსტრუირებაზე მიმართული შემდეგი კითხვებით:

- როგორი იყო რომის რესპუბლიკის მაცხოვრებელთა სოციალური სტატუსი?
- რამ გამოიწვია უფლებათა გაფართოვება და რა გავლენა მოახდინა ამან მცხოვრებ ადამიანებზე?
- რაში მდგომარეობს მოქალაქეობის კონცეფციის განვითარება რომის შემთხვევაში?
- რატომ ითვლება რომის რესპუბლიკა დემოკრატიის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპად?

ნაბიჯი 2. საბერძნეთის/რომის რომელი კანონები იცავს ან ზღუდავს თქვენ მიერ შერჩეული პირის უფლებებს;

აქტივობა 5. „12 დაფის კანონების“ გაცნობა-გააზრება (მოსწ. სახ. გვ. 15-16)

ანტიკური ავტორების ცნობებისა და მოსაზრებების გაცნობა „12 დაფის კანონებთან“ დაკავშირებით და მსჯელობა შემდეგი მიმართულებით:

- რატომ გახდა აუცილებელი კანონების შექმნა ძველ რომში;
- რა გამოცდილებას დაეყრდნენ დეცემვირები „12 დაფის კანონზე“ მუშაობისას;
- ანტიკური ავტორების ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრეთ, „12 დაფის კანონების“ შექმნის დროს დემოკრატიისთვის დამახასიათებელი რომელი პროცედურები გამოიყენეს;
- დემოკრატიულობის რომელ პრინციპებზე მიუთითებს მოქალაქეებისათვის კანონების „პროექტის“ განსახილველად წარდგენა.

აქტივობა 6. მოქალაქეთა უფლებრივი თვალსაზრისით სოლონის კანონებისა და 12 დაფის კანონების შედარება ვენის დიაგრამის გამოყენებით.

- რა მსგავსება და განსხვავებებია მათ შორის?
- რამ განაპირობა ეს მსგავსება და განსხვავებები?

რესურსი:

- ინფორმაცია სოლონის კანონების შესახებ <https://www.myadvokat.ge/ka/blog/4069/rogor-shecvala-zveli-berznebis-cxovreba-solonis-kanonebma>
- 12 დაფის კანონი <https://tsu.ge/assets/media/files/57/12%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.docx>

ნაბიჯი 3. აქვს თუ არა თქვენ მიერ შერჩეულ ადამიანს პიროვნული განვითარების შესაძლებლობა საბერძნეთის/რომის საზოგადოებაში?

აქტივობა 7. ანტიკური ხანის საბერძნეთის მოქალაქეობისა და რომის რესპუბლიკის მოქალაქეობის კონცეფციებს შორის მსგავსება-განსხვავებაზე მსჯელობა და გრაფიკულ მაორგანიზებელზე მუშაობა. (მოსწ. სახ. გვ. 17)

აქცენტი კეთდება სოციალური სტატუსის შეცვლის, პიროვნული განვითარების შესაძლებლობებზე.

- რა უფლებებით სარგებლობდა მოქალაქე ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში?
- სად უფრო ხელსაყრელი გარემო იყო პიროვნული განვითარებისათვის და რაში გამოიხატებოდა ეს განსხვავება.

რესურსი: გრაფიკული მაორგანიზებელი შედარებაზე: (სქემა მოსწავლეებმა უნდა გადაიხაზონ რვეულში და იმუშაონ ინდივიდუალურად)

მოქალაქე ძველ საბერძნეთში	მსგავსება	მოქალაქე ძველ რომში

აქტივობა 8. როლური თამაში

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს დამატებით შესთავაზოს დეცემვირების კანონთა შედგენაზე მუშაობისა და მისი სახალხო კრებაზე წარდგენის პროცესის გათამაშება.

ანტიკური ავტორების მოსაზრებების გაცნობისა და გაანალიზების შემდეგ, კლასიდან გამოიყოფა დეცემვირების როლის შემსრულებელი 10 მოსწავლე და მიეცემათ დავალება მოამზადონ კანონები/წესები სახალხო კრებაზე წარსადგენად.

კლასის დანარჩენი მოსწავლეები წარმოადგენენ სახალხო კრების მონაწილეებს და ამზადებენ კითხვებს კანონშემოქმედთათვის სახალხო კრებაზე დასასმელად. კრების მონაწილეების ინტერესს უნდა წარმოადგენდეს მათი პიროვნული განვითარებისათვის საჭირო უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ კონკრეტული მოთხოვნები.

ეტაპი III - კომპლექსური დავალების წარდგენა

დასკვნით ეტაპზე თითოეული მოსწავლე კლასის წინაშე წარადგენს შესრულებულ კომპლექსურ დავალებას.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისა და მისი წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვები:

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

მასწავლებელი კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში, ყოველი აქტივობისა და პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებს აძლევს განმავითარებელ შეფასებას ზეპირად ან წერილობით. (განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით რეკომენდაციები იხილეთ მე-4 თავში.

შეფასების ზოგადი კრიტერიუმი/კრიტერიუმები:

საზოგადოება - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ადამიანის პიროვნული განვითარებისა და გლობალურ მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის არსებითი ფაქტორების (იდენტობა, თვითრეფლექსია, თვითმართვა, სოციალური ცნობიერება, ემპათია, ასერტულობა) გაანალიზება;

დემოკრატია - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ადამიანის სოციალური უნარებისა და გლობალური მოქალაქეობის არსებითი მახასიათებლების დემოკრატიის პრინციპებთან (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდების გამოყენება) დაკავშირება;

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N 2
სამიზნე ცნება - დემოკრატია) (მოქ.საშ.1,2,3,4) სამოქალაქო მონაწილეობა (მოქ.საშ.2,4) ქვეცნება- მოქალაქეობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები.	საკითხი- მოქალაქეობის კონცეფციის განვითარება ქვესაკითხი- მოქალაქეობა რომის იმპერიიდან თანამედროვეობამდე; მოქალაქეობა თანამედროვე სახელმწიფოში; მოქალაქეობა თანამედროვე საქართველოში. საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები როგორ აღვწერო ესეში/ პრეზენტაციაში მოქალაქეობის კონცეფციის თავისებურებები მე-19 და 21-ე საუკუნეების საქართველოში ისე, რომ წარმოვაჩინო მსგავსება - განსხვავება ადამიანის უფლებების დაცვის და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით?
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები) (მოქ.საშ.1,2,3,4) - ყველა ადამიანი იზადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით; - ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს; - დემოკრატიულ საზოგადოებაში/სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა; - დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც	კომპლექსური დავალება გაეცანით მე-19 საუკუნეში თბილისში არსებულ მოქალაქეთა სოციო-კულტურულ მდგომარეობას, შეადარეთ დღევანდელს და დაწერეთ ესე ან შექმენით პრეზენტაცია (PowerPoint-ის ან სხვა პროგრამის გამოყენებით) თემაზე: სამოქალაქო საზოგადოება მე-19 საუკუნეში და დღეს. თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ არგუმენტირებულად, კონკრეტული მაგალითების მოხმობით. <u>ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u> - რა როლი ენიჭება სამოქალაქო ჩართულობას დემოკრატიული პროცესების განვითარებაში. (სამოქ. მონაწ. 1,2,3,4,5) - რა უფლებებით სარგებლობენ მოქალაქეები თანამედროვე საქართველოში და რა ვალდებულება აკისრია სახელმწიფოს თავისი მოქალაქეების წინაშე. (დემოკ.1, 2, 3, 4)

დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს. სამოქალაქო მონაწილეობა (მოქ.საშ.2,4) 1. დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება; 2. სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა; 3. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; 4. სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება; 5. სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს.	
კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები) ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა აქტივობა 1. როლური თამაში - „წარმოსახვითი კუნძული“ დავალების პირობა: მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალების ინსტრუქციას-წარმოდგინეთ, რომ თანაკლასელებთან ერთად უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩნდით. თქვენ ამ კუნძულის პირველი მოსახლეები ხართ, რომლებმაც ცხოვრების წესები უნდა შეიმუშაონ. თითოეულმა თქვენგანმა ინდივიდუალურად ჩამოწერეთ 5 ძირითადი უფლება, რომელიც ამ კუნძულზე ყველას უნდა ჰქონდეს. ჯგუფური მუშაობის დროს კი განსაზღვრეთ 10 ძირითადი უფლება, რომლითაც კუნძულის ყველა მცხოვრები ისარგებლებს. კითხვები: 1. რა ნიშნით დააჯგუფებდით ჩამოთვლილ უფლებებს? 2. უფლებათა რომელიმე ჯგუფი უფრო პრიორიტეტულად ხომ არ მიგაჩნიათ? აქტივობა 2. თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის (ცხოვრებისეული გამოცდილების) გააქტიურება კითხვები: • რაში გამოიხატება თქვენი, როგორც მოქალაქის, უფლებები და მოვალეობები? • შეგიძლიათ დაასახელოთ ცხოვრებისეული მაგალითები, თქვენი, როგორც აქტიური მოქალაქის, საზოგადოებისთვის ან/და ქვეყნისთვის სასარგებლო ქმედებების შესახებ? • რა ტიპის /რა შინაარსის ესეზე/პრეზენტაციაზე გიმუშავიათ?(მაგ. ლიტერატურაში)	

- რა ტიპის არგუმენტებისა და ფაქტების მოშველიებაა საჭირო?
- როგორია ესეს/პრეზენტაციის ძირითადი სტრუქტურა?

აქტივობა 3. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა-გააზრება და დაგეგმვა

(მასწავლებელი, მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ზრუნავს დავალების პირობის ადაპტირებაზე).

კითხვები:

- რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი?
- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რომელი შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?
- რა ნაბიჯები უნდა გადადგათ ესეს დასაწერად / პრეზენტაციის შესაქმნელად?
- როგორ გამოვკვეთო ნაშრომში ძირითადი სათქმელი?
- რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს, რა ფორმით უნდა წარადგინონ ნამუშევარი, ესეს მახასიათებლების გასაცნობად გამოგადგებათ ელექტრონული რესურსი: http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/wignebi/analitikuri%20werA/analitikur_i%20wera-9.htm და ყურადღებას ამახვილებს შემდეგ შეკითხვებზე:

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, რეგულაბში ჩაინიშნონ მოსაზრებები შემდეგი სქემის გამოყენებით, ასევე, კომპლექსური დავალების დამუშავების პარალელურად მასწავლებელმა შეიძლება ყოველი ნაბიჯის შემდეგ შეახსენოს მოსწავლეებს, ჩაინიშნონ დაძლეული საკითხები და ახალი ამოცანები.

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

მეორე ეტაპზე მასწავლებელი და მოსწავლე მუშაობენ უშუალოდ კომპლექსური დავალების შესრულებაზე. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელი ეყრდნობა § 2, §3 და § 4-ში მოცემულ ინფორმაციას, აქცენტი კეთდება შეფასების კრიტერიუმებზე. პარალელურად, მასწავლებელი ახორციელებს აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს სამიზნე ცნებებთან დაკავშირებით ცოდნის კონსტრუირებას.

ნაბიჯი 1. რა როლი ენიჭება სამოქალაქო ჩართულობას დემოკრატიული პროცესების განვითარებაში.

აქტივობა 1. ქვესაკითხთან დაკავშირებული წინარე ცოდნის გააქტიურება

კითხვები:

- თქვენი აზრით, ვინ შეიძლება იყოს მოქალაქე?
- როგორ ფიქრობთ, რითი შეიძლება განსხვავდებოდეს თანამედროვე მოქალაქე ანტიკური ხანის მოქალაქისაგან?

აქტივობა 2. დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში მომხდარი მოვლენების (ინგლისის რევოლუცია, „მაგნა კარტა“, საფრანგეთის რევოლუცია) ანალიზი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა

მოცემული სქემის შესაბამისად, თითოეული მოვლენის მიზეზებისა და მოქალაქეობის კონცეფციის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი შედეგების განსაზღვრა. (მოსწ. სახ. გვ. 21-24)

მოსწავლეთა **მსჯელობა** შემდეგი კითხვების საშუალებით:

- რატომ იქნებოდა ხელსაყრელი ინგლისის მსხვილი ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელი არისტოკრატისთვის კონსტიტუციური აქტის მიღება?
- ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, რა გავლენა მოახდინა ინგლისში მომხდარმა მოვლენებმა მსოფლიოზე?
- რა როლი ითამაშა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის რევოლუციებმა ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიაში.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მასწავლებელს შეუძლია ჯგუფებს შესთავაზოს საკითხების გადანაწილება - ნაწილმა იმუშაოს დიდი ბრიტანეთის „მაგნა კარტაზე“ და ნაწილმა - საფრანგეთის რევოლუციაზე, რომ დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ მიზეზშედეგობრივი კავშირები თითოეული მოვლენის მიზეზსა და მოქალაქეობის კონცეფციის განვითარებას შორის. თავად დიდ ფორმატის ქაღალდზე შექმნას ანალოგიური სქემა, მსჯელობა შეაჯამოს და მასზე გადაიტანოს.

აქტივობა 3. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქალაქეობის კონცეფციის გააზრება მსჯელობის საფუძველზე (მოსწ. სახ. გვ. 26)

აშშ-ს მოქალაქეობის შესახებ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის გაცნობა და დამუშავება ცოდნის კონსტრუირებაზე მიმართული შემდეგი კითხვებით:

კითხვები:

- რა საფეხურზე ავიდა მოქალაქეობის ცნების გაგება აშშ-ში დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნით?
- რატომ თვლიდნენ ამერიკის მოქალაქედ მხოლოდ თეთრკანიანებს და რამდენად დემოკრატიული იყო ეს კანონი?
- რა გავლენა მოახდინა ამერიკაში განვითარებულმა მოვლენებმა მოქალაქეობის გლობალური კონცეფციის ჩამოყალიბებაში?

რესურსი:

აქტივობისას მნიშვნელოვანია მოსწავლეებს ვთხოვოთ გაიხსენონ ლიტერატურული ნაწარმოებები, ფილმები, (მაგ., შეიძლება შევთავაზოთ ფილმი „მარშალი“ <https://srulad.com/movie/6072-marshall-marsali.html>), რომელშიც ასახულია იმდროინდელი პრობლემები და ვამსჯელოთ ფერადკანიანთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აქტივობა 4. მოსწავლეთა წყვილებში მუშაობა მოქალაქეობის კონცეფციის განვითარების ეტაპებსა და მახასიათებლებზე მაორგანიზებელი სქემის გამოყენებით (მოსწ.სახ. გვ.25)

კითხვები და დავალებები:

- გამოყავით მოქალაქეობის კონცეფციის განვითარების ძირითადი ეტაპები.
- დაასაბუთეთ, რატომ გამოყავით ეს პერიოდები?
- აღწერეთ, რას ნიშნავს მოქალაქეობის კონცეფციის განვითარება, რა დაემატა და რა მოაკლდა დღევანდლამდე მოქალაქის უფლებებს?

რესურსი: მაორგანიზებელი სქემა

პერიოდის დასახელება	არგუმენტი, რატომ გამოყავით ეს პერიოდი	რა ცვლილება განიცადა მოქალაქეობის გაგებაში

აქტივობა 5. მათეს ნაამბობის გაცნობა და მსჯელობა თემაზე: რატომ სჭირდება მოქალაქეს კანონების ცოდნა?

იმსჯელეთ იმ საკითხებზე, რომლებიც მათემ წამოჭრა. თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს? (მოსწ.სახ. § 3 გვ. 26)

ცოდნის კონსტუირებისკენ მიმართული შეკითხვები:

- რატომ იქმნება კანონები?
- რატომ სჭირდება მოქალაქეს კანონების ცოდნა?
- როგორ უკავშირდება მოქალაქეობის კონცეფცია დემოკრატიული პროცესების განვითარებას?
- თქვენი აზრით, რითი განსხვავდება მოქალაქეთა უფლებები დემოკრატიულ და ტოტალიტარულ საზოგადოებაში?
- რა იცით მოქალაქის მოვალეობების შესახებ?

აქტივობა 6. პრეზენტაციის მომზადება: მოქალაქეობრივი პოზიცია და პატრიოტიზმი.

დავით სარაჯიშვილის, ნიკო ცხვედაძის, გრიგოლ ფერაძის, ილია წინამძღვრიშვილის, ძმები ზუბალაშვილებისა და სხვათა ბიოგრაფიული მონაცემების გაცნობა, ვაჟა-ფშაველას გამონათქვამის წაკითხვა და დასკვნების გამოტანა. (მოსწ.სახ. გვ. 27-30)

რესურსი (მოსამიებელი):

- სრული ინფორმაცია დავით სარაჯიშვილის შესახებ - https://davitsarajishvili.blogspot.com/p/blog-page_98.html?fbclid=IwAR1dOULMufadX16ijxAUItZq67-j224WkaGK7nGFJuo4r6AUBehvBEFp97k
- ინფორმაცია ნიკო ცხვედაძის შესახებ - http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/istoria/1686-thqven-mere-daafasebth-nikoloz-aghmasheneblis-ghvatsls.html?fbclid=IwAR1RphP1xi4XkB9QO4RaWt_ZD2GUHOjy8fDzw-v1E2PxuleUjM-ocD1o2X8
- ინფორმაცია გრიგოლ ფერაძის შესახებ - <https://1tv.ge/retrospection/me-movkvde-oghond-shen-gaikharo/?fbclid=IwAR0vwb7LkGcsMrauv3njopmJ7GZPDGBpc4oNS9OhAAMux9VdCcRHQOREYIU>
- ილია წინამძღვრიშვილის შესახებ - <http://nateba.webbreeze.net/biographies/182-tsinamdzgvrishvili>
- ძმები ზუბალაშვილების შესახებ - <https://www.marketer.ge/dzmebi-zubalashvilebi/>

კითხვები და დავალებები:

- დაახასიათეთ დავით სარაჯიშვილი და ნიკო ცხვედაძე, როგორც პატრიოტები.
- როგორ გამოიხატება გრიგოლ ფერაძის, დავით სარაჯიშვილისა და ნიკო ცხვედაძის ქმედებებში მოქალაქეობრივი პოზიცია?
- როგორ გესმით ვაჟა - ფშაველას განმარტება პატრიოტიზმთან დაკავშირებით?
- რაში გამოიხატება მათი მოქალაქეობრივი პოზიცია და პატრიოტიზმი.

აქტივობა 7. დისკუსია თემაზე: ბავშვთა უფლებები მე-19 საუკუნეში და დღეს. (მოსწ.სახ. გვ. 30)

რესურსი: „საბრალონი“ ტფილისში <https://forbes.ge/sabraloni-tphilisshi/>

კითხვები და დავალებები:

- გაეცანით სახელმძღვანელოში და ბმულზე მოცემულ ინფორმაციას;
- ჩამოწერეთ ადამიანის რომელი უფლების შეზღუდვას ხედავთ აღწერილ ამბავში;
- მოემზადეთ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად (შეიმუშვეთ თქვენი პოზიცია და შესაბამისი არგუმენტები);
- გამართეთ დისკუსია.

აქტივობა 8. დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ხელისშემშლელი ფაქტორების შედარებითი ანალიზი T-სქემის გამოყენებით (მოსწ.სახ. გვ.31)

კითხვები და დავალებები:

- შეადარეთ ერთმანეთს ტოტალიტარულ და დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეთა უფლებები.
 - იმსჯელეთ, რა წინააღმდეგობაშია დემოკრატიული ღირებულებები ტოტალიტარულ აზროვნებასთან?
- რესურსი:**
- ინფორმაცია მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ <https://artinfo.ge/2015/09/mikheil-javakhishvili-usam/>

აქტივობა 9. დისკუსია (მოსწ. სახ. გვ. 31)

- რატომ და როგორ მოქმედებს სახელმწიფოს სისტემის/წყობის ცვლილება მოქალაქეობის კონცეფციის ცვლილებაზე;
- რა კავშირს ხედავთ ადამიანის უფლებებსა და მოქალაქეობის კონცეფციას შორის?

აქტივობა 10. როგორ ჰარტის მონაწილეობის კიბის გამოყენებით კლასის/სკოლის ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის დადგენა.

კითხვები და დავალებები:

მოსწავლეები უნდა განაწილდნენ მცირე ჯგუფში და პირველ ეტაპზე პასუხი გასცენ კითხვებს, რომლებიც დაეხმარებათ დავალების შესრულებაში: რა არის მათი ერთობლივი საქმიანობა? რა არის მათი საერთო ინტერესები და სურვილები? რა საერთო საჭიროებები და მოთხოვნილებები აქვთ კლასში/სკოლაში? რა საერთო ღირებულებები აქვთ კლასში/სკოლაში? აქვთ თუ არა კლასში/სკოლაში ქცევის განმსაზღვრელი საერთო ნორმები? რა პრობლემის ირგვლივ არის შესაძლებელი კლასის გაერთიანება და დროის რა მონაკვეთში? რამდენად ხანგრძლივია კლასის ერთიანობა?

შემდეგ მოსწავლეთა გამოცდილებასთან, რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირების მიზნით მასწავლებელი იყენებს შემდეგი კითხვებს:

- როგორ გესმით, რას ნიშნავს ტერმინი მონაწილეობა?
- რა კავშირშია ტერმინი მონაწილეობა თქვენს სასკოლო ცხოვრებასთან?
- როგორ მიგაჩნიათ, თქვენ და, ზოგადად, სკოლის მოსწავლეები, რამდენად აქტიურად ხართ ჩართულნი სკოლის თვითმმართველობაში და/ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში?
- გახსენდებათ თუ არა სკოლის თვითმმართველობაში და/ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის წარმატებული და/ან წარუმატებელი მაგალითები?
- როგორ ფიქრობთ მონაწილეობის წარმატებული პრაქტიკის გაზიარება უფრო აქტუალურია თუ წარუმატებლისა, თუ ორივე გამოცდილების ანალიზია აუცილებელი? დაასახელეთ მაგალითები.

ბოლოს, მოსწავლეები უნდა გაეცნონ „მონაწილეობის კიბეს“ (იხ. დანართი. გვ.81) (მასწავლებელი ამობეჭდილი სახით მიაწვდის ჯგუფებს) და განსაზღვრონ, რომელ საფეხურზე იმყოფება მათი კლასი, სკოლა „მონაწილეობის კიბეზე“. ჩამოაყალიბონ, რა არის საჭირო აქტიური მონაწილეობის მისაღწევად?

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მსჯელობა წარმართეთ სამოქალაქო მონაწილეობის არსის გააზრებისთვის. დააფიქრეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი მათი მონაწილეობა არა მარტო სასკოლო ცხოვრებაში, არამედ საზოგადოებრივ პროცესებშიც.

აქტივობის ფარგლებში სასურველია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ სკოლის თვითმმართველობა არის სკოლის დემოკრატიული მართვის სისტემა, რომელშიც ჩართულნი არიან მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, თემისა და სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები. მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ, რომ სკოლის თვითმმართველობაში მონაწილეობა კარგი წინაპირობაა საზოგადოებრივ საქმიანობაში წარმატებული მონაწილეობისათვის. აღნიშნულ თემებზე მუშაობის მიზანია მოსწავლეებმა: დააზუსტონ, ვინ და რა არის მათთვის მნიშვნელოვანი სკოლაში; გაიგონ, რას ნიშნავს მონაწილეობა და როგორ ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში; აღმოაჩინონ, თუ როგორ მონაწილეობენ სკოლის ცხოვრებაში; მონაწილეობა მიიღონ მათთვის მნიშვნელოვან სასკოლო ღონისძიებებში. სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეების მონაწილეობის საკითხებზე მსჯელობისას სასურველია, ისინი დააფიქროთ შემდეგ ტერმინებზე: ინტერესები, სურვილები, საჭიროებები, მოთხოვნილებები. საჭიროების შემთხვევაში ინტერესების, სურვილების, საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გასააზრებლად შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა კოგნიტური სქემები.

ნაბიჯი 3. როგორი უფლებებით სარგებლობენ მოქალაქეები თანამედროვე საქართველოში და რა ვალდებულება აკისრია სახელმწიფოს თავისი მოქალაქეების წინაშე;

აქტივობა 11. დისკუსია თემაზე: ინგრევა თუ არა ჩვენს ქვეყანაში სტერეოტიპი ქალების სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით? (მოსწ. სახ. გვ. 32)

რესურსი:

- ვინ არის 20 წლის ქართველი გოგო, რომელიც ისრაელის ჯარში მსახურობს - სალი ნასკიდაშვილის აქამდე უცნობი ისტორია. <https://digest.pia.ge/ka/news/tabloidi/vin-aris-20-tslis-kartveli-gogo-romelits-israelis-jarshi-msakhurobs---sali-naskidashvilis-akamde-utsnobi-istoria>

კითხვები და დავალებები:

- **იმსჯელეთ**, რას მიიჩნევს სალი ისრაელის გადარჩენისა და წარმატების ერთ-ერთ მიზეზად.

აქტივობა 12. მოქალაქეობის არმქონე პირთა ისტორიების მცირე ჯგუფებში განხილვა. (მოსწ. სახ. გვ. 33)

კითხვები და დავალებები:

- გაეცანით მოქალაქეობის არმქონე პირების მონათხრობს;
- **იმსჯელეთ**, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული რომელი უფლებები იზღუდება კონკრეტულ შემთხვევებში.

აქტივობა 13. წყვილებში მუშაობა - სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლებების იდენტიფიცირება ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე. (მოსწ. სახ. გვ. 34)

რესურსი:

- გრაფიკული მაორგანიზებული

სამოქალაქო უფლებები	პოლიტიკური უფლებები	სოციალური უფლებები
• სოცოცხლის უფლება, • თავისუფალი გადაადგილების უფლება, • რწმენის თავისუფლება • და ა.შ. მასწავლებელს: უფლებათა და თავისუფლებათა ეს ჯგუფი, საერთოდ, უფლებებისა და თავისუფლებების მთელი სისტემის საფუძველს წარმოადგენს, რადგან პირადი უფლებების არსებობის გარეშე აზრს დაკარგავდა დანარჩენ უფლებათა ფლობა და გამოყენება. მაგალითად, რომ არ იყოს დაცული და გარანტირებული სოცოცხლის უფლება, თავის მნიშვნელობას დაკარგავდა ჯანმრთელობის დაცვის უფლება, საკუთრების უფლება და ა.შ.	• საარჩევნო უფლება, • შეკრებებსა და მანიფესტაციებში, • სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება • და ა.შ. მასწავლებელს: ამ უფლებების რეალიზაციით მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვაში, სახელმწიფოს პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელებაში უშუალოდ, ან წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვეობით, ფლობდნენ ინფორმაციას იმ საზოგადოების საქმიანობის შესახებ, რომლის წევრებიც ისინი არიან.	• შრომის უფლება, • განათლების უფლება, • ჯანმრთელობის დაცვის უფლება • და ა.შ. მასწავლებელს: უზრუნველყოფს პიროვნების შესაძლებლობას, ღირსეულად განახორციელოს თავისი დანარჩენი უფლებები და თავისუფლებები. ამ ჯგუფის უფლებები უფლებას ანიჭებენ ადამიანს, მოსთხოვოს სახელმწიფოს აუცილებელი მატერიალური სიკეთითა და მომსახურებით უზრუნველყოფა და სარგებლობა.

კითხვები და დავალებები:

- გაეცანით მოქალაქის უფლებებს და იმსჯელეთ, რა პასუხისმგებლობებს ანიჭებს მოქალაქეს მინიჭებული უფლებები?
- თქვენს ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაასახელეთ ამ უფლებათა რეალიზების კონკრეტული მაგალითები. კერძოდ, რას გულისხმობს სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლებები.
- გადაიტანეთ ცხრილი რვეულში, ჩამოწერეთ თქვენი მოსაზრებები და გაუზიარეთ თანაკლასელებს.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს **ალტერნატიული დავალება:** სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლებების ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან იდენტიფიცირებისთვის როლური თამაშის - „**ცხელი სკამის**“ მეთოდის გამოყენება.

ასევე, შეუძლია მოსწავლეებს გაახსენოს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტიტუტების, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს, სახალხო დამცველის ინსტიტუტის შესახებ ინფორმაცია.

მეთოდის აღწერა: მოსწავლეები (შერჩევით) მოირგებენ საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის როლს (სურვილისამებრ: მასწავლებლის, პოლიტიკოსის, ბიზნესმენის, დამლაგებლის, მტვრითაღმკვამის, მეურნის/ფერმერის, მსახიობის ...), რიგრიგობით გამოდიან, სხდებიან სკამზე და დანარჩენები უსვამენ კითხვებს მის სამოქალაქო, პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებზე და მათი დაცვის მექანიზმებზე. პასუხებს, კონკრეტულ მაგალითებს ინიშნავენ. ბოლოს მასწავლებელთან ერთად შეაჯამებენ მონაცემებს და გადაიტანენ სქემაში.

აქტივობა 14. ლელას ამბის გაცნობა და მოქალაქეობის ცნების გააზრება მსჯელობის საფუძველზე (მოსწ. სახ. § 4 გვ. 35)

კითხვები და დავალებები:

გაეცანით სახელმძღვანელოში მოთხრობილ ლელას ამბავს და იმსჯელეთ:

- რას ნიშნავს, იყო საქართველოს მოქალაქე?
- ვინ შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე?
- რა ინფორმაციას გვამღევს მოქალაქეობაზე ლელას მონათხრობი;
- როგორია ლელას დამოკიდებულება უცხოეთში გადასახლებასთან დაკავშირებით?
- ლელას რა თვისება იკვეთება ამ დამოკიდებულებაში?
- თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

აქტივობა 15. მუშაობა ჯგუფებში, წერილობითი რეკომენდაციების მომზადება. (მოსწ.სახ. გვ. 36)

რესურსი: სიუჟეტი „მე დიასპორა არ ვარ, მე საქართველოს მოქალაქე ვარ.“

https://www.youtube.com/watch?v=dbUL_wBc8Ts

კითხვები და დავალებები:

- იმსჯელეთ, თქვენი აზრით, რატომ არ მიაჩნიათ თავი დიასპორად ამ ახალგაზრდებს;
- რამდენად სამართლიანია ეთნიკური უმცირეობების წარმომადგენლების მოთხოვნა? **მომზადეთ წერილობითი რეკომენდაციები** პარლამენტში შესატანად.
- რა რეკომენდაციებს მისცემდით პარლამენტარებს სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის?
- რამდენად შეუწყობს ხელს თქვენი რეკომენდაციები კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენას ჩვენს ქვეყანაში?

რეკომენდაცია მასწავლებელს:

სამოქალაქო ინტეგრაციის მნიშვნელობის უკეთ გასააზრებლად მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა გააცნოს ინფორმაციები პანკისის ხეობაში მცხოვრები კამეტა ტემირბულატოვასა (მოსწ. სახ. გვ. 41) და თეძალოში მცხოვრები გიულგუნის (მოსწ. სახ. გვ. 61) შესახებ.

აქტივობა 16. საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის გაგება-გააზრებაზე მუშაობა - **მსჯელობა** მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ (მოსწ.სახ. გვ.37)

რესურსი:

- საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 32

კითხვები და დავალებები:

- გაეცანით ინფორმაციას საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 32) განსაზღვრული მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ
- როგორ ფიქრობთ, თქვენ რა ვალდებულებები გაქვთ ქვეყნის წინაშე, როგორც საქართველოს მოქალაქეს?
- **დაასახელეთ** მოქალაქეობრივი ვალდებულების შესრულების კონკრეტული მაგალითები.

აქტივობა 17. პრეზენტაციის მომზადება

მოქალაქეების წინაშე სახელმწიფოს ვალდებულებების გააზრება (მოსწ. სახ. გვ. 39-40)

რესურსი:

- საკონსულოს დახმარების თხოვნით ყაზახეთში მყოფმა საქართველოს 8 მოქალაქემ მიმართა. <https://www.interpressnews.ge/ka/article/691066-sagareo-ucqebis-inpormaciit-sakonsulos-daxmarebis-txovnit-qazaxetshi-mqopma-sakartvelos-8-mokalakem-mimarta/>
- საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 33
- უკრაინამ ლეონიდ ჩერნოვეცკიზე ძებნა გამოაცხადა <https://imedineews.ge/ge/msoflio/27189/ukrainam-leonid-chernovetskize-dzebna-gamoatskhada>

კითხვები და დავალებები:

სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე **იმსჯელეთ**, რაში გამოიხატება სახელმწიფოს მოვალეობა საკუთარი მოქალაქეების მიმართ. **მოიძიეთ** ინფორმაცია უცხოეთში საქართველოს საელჩოებისა და საკონსულოების მხრიდან საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვის შემთხვევების შესახებ. მოამზადეთ და **გააკეთეთ პრეზენტაცია** კლასის წინაშე.

აქტივობა 18. ჯგუფური მუშაობა: ნატურალიზაციით გზით მოქალაქეობის მინიჭებისთვის კრიტერიუმების შემუშავება

- ჩამოწერეთ, თქვენი აზრით, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ნატურალიზაციით მოქალაქეობის მინიჭების მსურველი უცხოელი პირი? (მოსწ. სახ. გვ. 41-43)

რესურსი:

- პანკისის ხეობაში მცხოვრები კამეტა ტემირბულატოვას ამბავი <https://www.radiotavisupleba.ge/a/ltolvilta-saertashoriso-dge/27809215.html>
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ (იხ. დანართი)
- რიჩარდ არინზე ოგბუნუჯუს შემთხვევა <https://www.bpn.ge/article/85254-vin-aris-da-ra-kompaniebs-plobs-nigerieli-biznesmeni-richard-arinze-ogbunuju-romelic-tbilisis-merobistvis-ibrzolebs/>; https://m.facebook.com/watch/?v=3073676209423760&_rdr
- ზაალ კოკაია <https://nostal.ge/2018/06/22/zaal-kokaia-svedetsi-morvawe/>

კითხვები და დავალებები:

იმსჯელეთ:

- კონსტიტუციის რომელი მუხლის (ან ნორმის) შესაბამისად მიიღო რიჩარდ ოგბუნუჯუმ საქართველოს მოქალაქეობა;
- მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, რა პროცედურებს გაივლიდა და რა პირობებს დააკმაყოფილებდა ის საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად;
- რა შესაძლებლობას აძლევს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოს კანონმდებლობა ორმაგი მოქალაქეობის დაშვებით;
- რა შესაძლებლობებს იძლევა ორმაგი მოქალაქეობა საქართველოს მოქალაქეებისთვის? რა მნიშვნელობა აქვს ამ შესაძლებლობების რეალიზებას გლობალურ კონტექსტში?

აქტივობა 19. საქართველოს 1921 წლისა და თანამედროვე კონსტიტუციის შედარებითი ანალიზი (მოსწ. სახ. გვ. 44)

რესურსი:

- 1921 წლისა და დღეს მოქმედი კონსტიტუციის მუხლები მოქალაქეობის შესახებ;
- მაორგანიზებელი სქემა

კითხვები და დავალებები:

- შეადარეთ** ერთმანეთს 1921 წლისა და დღეს მოქმედი კონსტიტუციის მუხლები მოქალაქეობის შესახებ;
- რა შეიცვალა კონსტიტუციაში მოქალაქეობასთან დაკავშირებით?
- რა ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა ეს ცვლილებები?

1921 წლის კონსტიტუცია	თანამედროვე კონსტიტუცია

ეტაპი III კომპლექსური დავალების წარდგენა

დასკვნით ეტაპზე თითოეული მოსწავლე კლასის წინაშე წარადგენს შესრულებულ კომპლექსურ დავალებას.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისა და მისი წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვები:

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

შეფასების ზოგადი კრიტერიუმი/კრიტერიუმები

დემოკრატია - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ადამიანის სოციალური უნარებისა და გლობალური მოქალაქეობის არსებითი მახასიათებლებისა დემოკრატიის პრინციპებთან (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდების გამოყენება, ტოლერანტობა) დაკავშირება;

სამოქალაქო მონაწილეობა - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გლობალური მოქალაქის თვალსაწიერიდან აქტუალური პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზების შერჩევა (მათ შორის, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის გზების დასახვა, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება, დეზინფორმაციის ამოცნობა და მხილება);

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N 3
სამიზნე ცნება - სამოქალაქო მონაწილეობა (მოქ.საშ.2,4) მდგრადი განვითარება (მოქ.საშ.3) ქვეცნება- მდგრადი განვითარების გლობალური მიზნები; სამოქალაქო უსაფრთხოება; ეკოლოგია, გარემოს დაცვა.	საკითხი- სამშობლო დედამიწა ქვესაკითხი- გლობალური მოქალაქე; მდგრადი განვითარება. საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები როგორ შევქმნა ჩემი თანატოლებისთვის მიმართვის ტექსტი ისე, რომ გამოვხატო ჩვენი მისია ლოკალურ და გლობალურ დონეზე, დავარწმუნო მსმენელი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისა და მთელი მსოფლიოს ერთიანი ძალისხმევა გლობალურ პრობლემებთან მიმართებით?

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები სამოქალაქო მონაწილეობა (მოქ.საშ.2,4) 1. დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება; 2. სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა; 3. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; 4. სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება; 5. სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს. მდგრადი განვითარება (მოქ.საშ.3) 1. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება; 2. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს <i>(მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიერთილენის პარკზე უარის თქმა).</i>	კომპლექსური დავალება გაეცანით ედგარ მორენის მიმართვას და ჩაერთეთ კამპანიაში „სამშობლო დედამიწა“. თქვენც შექმენით თქვენი თანატოლებისთვის მიმართვის ტექსტი, რომელშიც წარმოაჩენთ თქვენ გარშემო არსებულ გლობალური მნიშვნელობის პრობლემებს და ჩამოაყალიბებთ კონკრეტულ ამოცანებს, აქტივობებს, რომლებითაც თქვენს წვლილს შეიტანთ ჩვენი საერთო სამშობლოს, დედამიწის, გადარჩენაში, მის მდგრად განვითარებაში. მიმართვის ტექსტში გამოიყენეთ ეფექტური რიტორიკული ხერხები, რითიც დაარწმუნებთ მსმენელებს და განაწყობთ მათ მოქმედებისთვის. <u>ნაშრომში მკაფიოდ წარმოაჩინეთ:</u> • როგორია თქვენი და თქვენი თანატოლების, როგორც გლობალური მოქალაქეების, მისია ლოკალურ და გლობალურ დონეზე (სამოქ. მონაწ. 1,3,) • რატომ არის მნიშვნელოვანი როგორც თითოეული მოქალაქის, ასევე მსოფლიოს ერთიანი ძალისხმევა გლობალურ პრობლემებთან მიმართებით (სამოქ. მონაწ. 2,4) • რამდენად შეესაბამება პრობლემების მოსაგვარებლად თქვენ მიერ დასახული ამოცანები, კონკრეტული გზები და თანამშრომლობის ფორმები მდგრადი განვითარების პრინციპებს (სამოქ. მონაწ. 5; მდგრადი განვითარება 1,2.)
კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები) ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა აქტივობა 1. თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის (ცხოვრებისეული გამოცდილების) გააქტიურება კითხვები: • რა პრობლემები შექმნა პანდემია Covid-19-მა თქვენთვის და თქვენი ახლობლებისთვის? • პანდემიის გარდა რა სახის გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი პლანეტა?	

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა-გააზრება და დაგეგმვა

(მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ზრუნავს დავალების პირობის ადაპტირებაზე).

კითხვები:

- რა ტიპის /რა შინაარსის ტექსტების შემუშავებაზე გიმუშავიათ?
- რამდენად მნიშვნელოვანია სიტყვის დამაჯერებლად, დამარწმუნებლად შედგენა და წარმოთქმა?
- რა ტიპის არგუმენტებისა და ფაქტების მოშველიებაა საჭირო?
- რას გულისხმობს მიმართვის რიტორიკული ხერხები?
- რატომ უნდა მიაქციონ ყურადღება იმ სიტყვებს, ფრაზებს, წინადადებებს, რომლებიც განსაკუთრებულ ეფექტს მოახდენს აუდიტორიაზე/ადრესატზე?
- რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ ტექსტის დასაწერად?
- როგორ გამოვკვეთო ნაშრომში ძირითადი სათქმელი?
- რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს, რა ფორმით უნდა წარადგინონ ნამუშევარი. მიმართვის ფორმის გასააზრებლად შეიძლება გამოყენებული იყოს, მაგალითად, მარტინ ლუთერ კინგის გამოსვლა, ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე, ალ პაჩინოს განსახიერებული გმირის ფრენკ სლეიდის სიტყვა ფილმიდან "ქალის სურნელი" და სხვ.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს რვეულებში ჩაინიშნონ მოსაზრებები შემდეგი სქემის გამოყენებით, ასევე, კომპლექსური დავალების დამუშავების პარალელურად მასწავლებელმა შეიძლება ყოველი ნაბიჯის შემდეგ შეახსენოს მოსწავლეებს ჩაინიშნონ დამღეული საკითხები და ახალი ამოცანები.

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

მეორე ეტაპზე მასწავლებელი და მოსწავლე მუშაობენ უშუალოდ კომპლექსური დავალების შესრულებაზე. საგაკვეთილო პროცესში იყენებენ § 5, § 6, § 7-ში მოცემულ საინტერესო მასალას, კონკრეტულ ფაქტებსა და მაგალითებს. აქცენტი კეთდება შეფასების კრიტერიუმებზე. პარალელურად, მასწავლებელი ახორციელებს აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს სამიზნე ცნებებთან დაკავშირებით ცოდნის კონსტრუირებას.

ნაბიჯი 1. როგორია თქვენი და თქვენი თანატოლების, როგორც გლობალური მოქალაქეების, მისია ლოკალურ და გლობალურ დონეზე.

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

კითხვები:

- რით განსხვავდება ერთმანეთისგან ცნებები „მოქალაქე“ და „მოქალაქეობა“?
- რომელი ადგილობრივი პრობლემები შეიძლება წარმოვიდგინოთ გლობალური პრობლემის ნაწილად?

აქტივობა 2. ალექსისა და ნიკოლოზ ბარტყულაშვილის მაგალითების განხილვის საფუძველზე მსოფლიო მოქალაქისა და გლობალური მოქალაქეობის ცნებების გააზრება (მოსწ. სახ. გვ. 48)

რესურსი:

- ალექსის ნაამბობი;
- ნიკოლოზ ბარტყულაშვილზე ინფორმაცია - <https://www.imedi.ge/ge/video/35698/msoplio-moqalaxe-romelsats-120ze-meti-qvekana-aqvs-movlili>

კითხვები და დავალებები:

- რა არის საჭირო იმისთვის, რომ ადამიანი გახდეს მსოფლიო მოქალაქე?
- როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს გლობალური მოქალაქეობა?
- მთელ მსოფლიოში თავისუფალი გადაადგილების უფლების მიღება საკმარისია გლობალური მოქალაქეობისთვის?

აქტივობა 3. დისკუსია თემაზე: რა გზაა გასავლელი კარგი მოქალაქიდან გლობალურ მოქალაქეობამდე (მოსწ. სახ. გვ. 50)

რესურსი:

- აუდიოჩანაწერი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი გიორგი გახელაძე და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენელი ლაშა ქავთარაძე. <https://bit.ly/3apsdOz>
- ვაჟა-ფშაველას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ (ამონარიდი)

კითხვები და დავალებები:

- მოუხმინეთ ჩანაწერს, რომელშიც საუბრობენ გააგრძელებით დისკუსია :
- რა გზაა გასავლელი კარგი მოქალაქეობიდან გლობალურ მოქალაქეობამდე.
- რას ფიქრობთ, როგორ უკავშირდება სამოქალაქო აქტივიზმი გლობალურ მოქალაქეობას?
- იმსჯელეთ: როგორ უკავშირდება ვაჟა-ფშაველას სიტყვები გლობალური მოქალაქეობის შესახებ დებულებას „გლობალური მოქალაქეობის მნიშვნელოვანი ელემენტია გლობალური აქტივიზმი, რომელშიც მონაწილეები თავს ხედავენ მსოფლიო მოძრაობის ნაწილად“.

აქტივობა 4. სირიის კრიზისის განხილვის საფუძველზე გლობალური საფრთხეებისა და მსოფლიო საზოგადოების ძალისხმევის მნიშვნელობის გააზრება (მოსწ. სახ. გვ. 52)

რესურსი:

სირიის კრიზისი - <https://bit.ly/3GLLvtB>

კითხვები და დავალებები:

- იმსჯელეთ, რა გლობალური გამოწვევების წინაშე აყენებს მსოფლიოს სირიის მსგავსი კრიზისები
- თქვენი აზრით, რა როლი ენიჭება საერთაშორისო ძალისხმევას მშვიდობის შენარჩუნებაში?
- იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა აქვს შეიარაღებულ კონფლიქტებში დაზარალებული ქვეყნის მხარდაჭერას მსოფლიო საზოგადოების მხრიდან.
- თქვენ თუ მიგიღიათ ამგვარ მხარდამჭერ აქციებში რაიმე სახით მონაწილეობა?
- სხვადასხვა ქვეყანაში გამართული ლოკალური აქციები რა გლობალური მიზნისკენ არის მიმართული?

აქტივობა 5. გლობალური მოქალაქის მახასიათებლების გააზრება სახელმძღვანელოში მოცემული გამონათქვამების საფუძველზე. (მოსწ. სახ. გვ. 54-55)

რესურსი:

- დესმონდ ტუტუსა და პასტორ მარტინ ნიმიოლერის გამონათქვამები
- მარტინ ლუთერ კინგის ისტორიული სიტყვა
<https://www.youtube.com/watch?v=jbHl9MoVdos>
- მაორგანიზებული სქემა

კითხვები და დავალებები:

- რას ფიქრობთ დესმონდ ტუტუს გამონათქვამზე? რამდენად ეთანხმებით მას?
- ყურადღებით წაიკითხეთ პასტორ მარტინ ნიმიოლერის ცნობილი სიტყვები და გამართეთ **დისკუსია**: რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ადამიანი გაბედული, პრინციპების დამცველი, გასაჭირში სხვისი აქტიური მხარდამჭერი და რა შემთხვევაში - ფრთხილი?
- **მოიძიეთ** ინფორმაცია მარტინ ლუთერ კინგის მოღვაწეობის შესახებ და **იმსჯელეთ** რამდენად იყო მარტინ ლუთერ კინგი გლობალური მოქალაქე და რატომ? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება. (სარეკომენდაციო მასალა: შესაძლებელია მოსწავლეებს შევთავაზოთ, რომ დააკვირდნენ ლუთერ კინგის მიმართვას და ჩაინიშნონ ის ნიუანსები, რომლებიც კომპლექსური დავალების შესრულებისას გამოადგებათ, შესაძლებელია გამოვიყენოთ დარწმუნების ე.წ რიტორიკული სამკუთხედის სქემა¹)
- **დავალება**: გაანალიზეთ პარაგრაფში მოცემული ინფორმაცია, გამოკვეთეთ გლობალური მოქალაქეობის მახასიათებლები, მოიყვანეთ მაგალითები, მოცემული ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ. გააკეთეთ პრეზენტაცია კლასის წინაშე.

გლობალური მოქალაქეობა	
მახასიათებელი	მაგალითი

ნაბიჯი 2. რატომ არის მნიშვნელოვანი როგორც თითოეული მოქალაქის, ასევე მსოფლიოს ერთიანი ძალისხმევა გლობალურ პრობლემებთან მიმართებით

¹ დარწმუნების სამკუთხედი, ანუ როგორ დავარწმუნოთ ადამიანები (დარწმუნების სტრატეგიები)

დარწმუნების სამკუთხედი ასევე ცნობილია, როგორც რიტორიკული სამკუთხედი. იგი უკავშირდება არისტოტელეს - ძვ. წელთაღ. ცნობილ ბერძენ ფილოსოფოსს. ამის გამო მას ზოგჯერ არისტოტელეს სამკუთხედსაც უწოდებენ.

სამკუთხედის სამი წვერო წარმოადგენს **ლოგიკას, სარწმუნოებას და ემოციას** - „იარაღებს“, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია ადამიანის დარწმუნება, მასზე ზეგავლენის მოხდენა.

სარწმუნოება/სანდოობა - თუკი ადამიანები გენდობიან, სჯერათ და სწამთ თქვენი, უფრო ადვილად შეძლებთ მათ დარწმუნებას. სარწმუნოების ხარისხის ასამაღლებლად ეფექტიანია მაგ., კვლევების მონაცემების დამოწმება, ავტორიტეტების/ავტორიტეტული წყაროების, ხალხური სიბრძნის მოშველიება, საკუთარი კომპეტენციის წარმოჩენა. კვლევების მონაცემების მოშველიება მეტ სანდოებას სძენს ტექსტში გამოთქმულ თვალსაზრისს. მაგ., „ახლახან ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ...“; გამოჩენილი ადამიანების გამონათქვამების, ბრძნული შეგონებების (სენტენციების), წმინდა წერილის, ანდაზებისა და მისთ. გამოყენება მეტი დამაჯერებლობისათვის.

ლოგიკა - მოყვანილი უნდა იყოს სათანადო ფაქტები, მონაცემები, რიცხვები, ანალოგიები, მაგალითები.

ემოცია - მკითხველში გარკვეული ემოციისა თუ განცდის (კმაყოფილების, ბედნიერების, მწუხარების, მრისხანების, თანაგრძნობის, სხვ.) აღძვრა ზემოქმედების მოსახდენად, დასარწმუნებლად.

აქტივობა 6. ალბერტ აინშტაინისა და მარტინ ლუთერ კინგის გამონათქვამების გააზრება და მსჯელობა. (მოსწ. სახ. გვ. 56)

კითხვები და დავალებები:

- რისი თქმა სურთ ამ სიტყვებით, ერთი მხრივ, ალბერტ აინშტაინის და, მეორე მხრივ, მარტინ ლუთერ კინგს?
- რა ქმნის მშვიდობას მსოფლიოში?
- როგორ აისახება ჩვენს პლანეტაზე ლოკალური პრობლემები?
- რატომ არის მშვიდობიანი გარემოს შექმნა გლობალური პასუხისმგებლობა?
- რატომ არის მნიშვნელოვანი მშვიდობის მშენებლობისათვის თანასწორობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სამართლიანობა და კანონის უზენაესობა?
- რა შედეგები შეიძლება მიიღოს მსოფლიომ ამ ღირებულებების უგულებელყოფით?

აქტივობა 7. დავით მრელაშვილის მაგალითზე მოქალაქის გლობალური პასუხისმგებლობის გააზრებისთვის სიუჟეტის ნახვა და მსჯელობა. (მოსწ. სახ. გვ. 57)

რესურსი:

- სიუჟეტი დავით მრელაშვილზე - <https://cutt.ly/0SjEbor>

კითხვები და დავალებები:

- რამდენად შეიძლება შეფასდეს დავით მრელაშვილის ინიციატივა გლობალურ პასუხისმგებლობად?
- გაიხსენეთ ანალოგიური ჰუმანიტარული მხარდაჭერის მაგალითები.
- რამდენად ახდენს გავლენას ცალკეული მოქალაქის ქმედება გლობალური პრობლემის გადაჭრაზე?

აქტივობა 8. დისკუსია თემაზე: საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში ქართველი სამხედროების მონაწილეობა მათი პატრიოტიზმის გამოხატულებათ, გლობალური მოქალაქეობის განცდაა თუ კიდევ სხვა რამ? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ. (მოსწ. სახ. გვ. 58-60)

რესურსი:

- საქართველო-აშშ-ის მედიაციით, აზერბაიჯანმა ყარაბახის კონფლიქტის დროს დაკავებული სომხეთის 15 მოქალაქე გაათავისუფლა - <https://cutt.ly/FSRY03g>
- ქალი მედიატორების როლის გასაძლიერებლად - კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ვებგვერდი (ამონარიდი)

კითხვები და დავალებები:

ქვეყნის გლობალური პასუხისმგებლობის გასააზრებლად მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ:

- გაიხსენეთ სამშვიდობო პროცესების თემაზე მე-9 კლასში შესწავლილი საკითხები და საქართველოს კონტრიბუცია სამშვიდობო მისიებში. გამართეთ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის თანამშრომლობა და საერთაშორისო ძალისხმევა საყოველთაო მშვიდობისათვის
- იმსჯელეთ, მშვიდობის მიღწევის მექანიზმებსა და საშუალებებზე. თქვენი ცხოვრებიდან გაიხსენეთ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების კონკრეტული მაგალითი. რა გზებითა და საშუალებებით მიგიღწევიათ მიზნისთვის?
- ისტორიიდან გაიხსენეთ ქალი მედიატორები, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით კონფლიქტების მოგვარებაში და წარადგინეთ პრეზენტაცია (PowerPoint-ში ან ფორმატის ქაღალდზე), რომელშიც გამოკვეთთ ქალის როლს გლობალურ სამშვიდობო პროცესებში.

აქტივობა 9. შემთხვევის შესწავლა.

რესურსი:

- თალიბანი ქალების მიმართ შეზღუდვებს აღადგენს ავღანეთის რეგიონებში;
- გიულგუნი თექალოდან

კითხვები და დავალებები:

სახელმძღვანელოში მოცემული ისტორიების შესწავლა და მსჯელობა. (მოსწ. სახ. გვ. 60-61)

- როგორ ფიქრობთ, ავღანელი სარას პრობლემა მხოლოდ ავღანეთის ქალებსა და მოსახლეობას ეხება თუ გლობალური პრობლემაა?
- რაში ხედავთ გამოსავალს?
- მოიძიეთ კიდევ რამდენიმე ფაქტი ქალთა უფლებების დარღვევის შესახებ და ჩამოაყალიბეთ რეკომენდაციები მათ გადასაჭრელად.
- რა შეგვიძლიათ გააკეთოთ თქვენ?
- რა როლი შეიძლება ითამაშოს საზოგადოებამ და სახელმწიფომ?
- რამდენად შეუწყობთ ხელს გლობალურ ძალისხმევას ქალთა უფლებების დაცვის საკითხში, კონკრეტული ლოკალური პრობლემის მოგვარებით?

აქტივობა 10. პრეზენტაციის მომზადება

კითხვები და დავალებები:

გაეცანით ინფორმაციას (მოსწ. სახ. გვ. 62-63), მოიძიეთ დამატებითი წყაროები და მოამზადეთ პრეზენტაცია, თემაზე: „პანდემია გლობალური პრობლემაა და გლობალურ გადაჭრას საჭიროებს“.

პრეზენტაციაში წარმოაჩინეთ შემდეგი საკითხები:

- ახალი კორონავირუსის „კოვიდის 19“-ის ინფექციის წარმოშობის მოკლე ისტორია;
- ინფექციის პანდემიაში გადაზრდის მიზეზები;
- პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ზიანი (ამისათვის შეგიძლიათ ჩაატაროთ სოციოლოგიური გამოკითხვა. გამოიკითხოთ 5 ადამიანი/ოჯახი, როგორ აისახა პანდემია მათი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე);
- პანდემიის გავლენა განათლების ხარისხზე, დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი გავლენა;
- საერთაშორისო ორგანიზაციების როლი პანდემიის დაძლევის საქმეში (იმსჯელეთ, რა როლი შეასრულა პანდემიის პერიოდში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ, სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციამ).
- მოქალაქეთა გლობალური პასუხისმგებლობა პანდემიის პრობლემის მოგვარებაში (დასახეთ გეგმა: რა უნდა მოიმოქმედოს თითოეულმა მოქალაქემ ლოკალურად ინფექციის გავრცელების შესაჩერებლად? წარმატების მიღწევის შემდეგ როგორ გაავრცელებთ გლობალურად თქვენს გამოცდილებას მთელ მსოფლიოში?)
- შეაჯამეთ: რა შეიძლება გამოიწვიოს ერთი მოქალაქის უპასუხისმგებლობამ და რაოდენ დიდი ძალისხმევაა საჭირო ასეთი გლობალური პრობლემის გადასაჭრელად.

ნაბიჯი 3. რამდენად შეესაბამება პრობლემების მოსაგვარებლად თქვენ მიერ დასახული ამოცანები, კონკრეტული გზები და თანამშრომლობის ფორმები მდგრადი განვითარების პრინციპებს

აქტივობა 11. გონებრივი იერიში

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელოს 65-ე გვერდზე მოცემული ფოტოები

კითხვები და დავალებები:

- დააკვირდით ფოტოებს და ამოიცანით რა პრობლემაზე მიგანიშნებთ ისინი.
- რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ფოტოებზე ასახულ გარემოებებს? პასუხი დაასაბუთეთ

აქტივობა 12. ინფორმაციის გამოთხოვა

რესურსი:

- „ჰესების დადებითი და უარყოფითი მხარეები — რა უნდა გავითვალისწინოთ“ - <https://cutt.ly/1A80cgu>

კითხვები და დავალებები:

- როგორ ფიქრობთ, რა ბუნებრივი რესურსები სჭირდება ეკონომიკის განვითარებას?
- როგორ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარება ბუნებრივ გარემოზე?
- როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს მასშტაბური ჰესების მშენებლობის აუცილებლობას?
- რა რისკებს წარმოქმნის მოქალაქეებისთვის ასეთი მასშტაბური პროექტების განხორციელება?

დავალება:

შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებიდან გამოითხოვეთ ინფორმაცია და გაარკვიეთ:

- რამდენადაა დაბინძურებული თქვენს ქალაქში/სოფელში/დაბაში ჰაერი,
- როგორია სასმელი წყლის ხარისხი,
- რა ვითარებაა მწვანე საფარის თვალსაზრისით.
- გამოიკვლიეთ, რა განაპირობებს არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობას.
- რამდენადაა ის კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან?
- იმსჯელეთ: შეიძლება თუ არა ისეთი გზების მოძებნა, რომ ეკონომიკის განვითარებამ არ დააზიანოს გარემო და რომ ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამ გარემოს სტაბილურობა არ დაარღვიოს.

აქტივობა 13. პროექტის/აქციის ინიციატივის შემუშავება/განხორციელება

„დედამიწის მწვანე საფარი“

რესურსი:

- სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია. (გვ. 65-68)

კითხვები და დავალებები:

გაეცანით წარმოდგენილ ინფორმაციას, მოიძიეთ დამატებითი წყაროები და იმსჯელეთ:

- თუ ამაზონის ტყეს დედამიწის ფილტვებს უწოდებენ, რა არის ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის ტყის მასივები: ბორჯომ-ხარაგაულის, სურამის, აბასთუმნის, ლაგოდეხის და ა.შ.?
- რა როლს ასრულებენ ისინი მთელი დედამიწისთვის?
- როგორ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე?
- განიხილეთ იიმან ბორჩაშვილის საქმიანობა და შეაფასეთ იიმანის აქტივიზმი - პანკისში დაწყებული მისი „პატარა“ საქმეები რამდენად უკავშირდება საქართველოსა და მსოფლიოს მდგრად განვითარებას?
- ჩაატარეთ გამოკითხვა, როგორია საზოგადოების დამოკიდებულება ეკოლოგიური პრობლემებისადმი.
- კლიმატის დამცველთა აქტივიზმის საფუძველზე იმსჯელეთ:
 - ✓ ვინ არიან პასუხისმგებლები ქვეყანაში არსებულ ეკოლოგიურ პრობლემებზე?
 - ✓ რატომ სჭირდება საზოგადოებას ერთიანობა, ერთგვარი მიდგომა?
 - ✓ რა კავშირი აქვს ლოკალურ ეკოლოგიურ პრობლემას გლობალურთან?
 - ✓ რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ მოქალაქეებს იმაში, რომ ლოკალური პრობლემა გლობალურში არ გადაიზარდოს?
 - ✓ რამდენად შეესაბამება გრეტა ტუნბერგის არჩეული გზა კლიმატის ცვლილების გლობალური მიზნის მიღწევას? რამდენად მართებულად მიგაჩნიათ სკოლის გაცდენისკენ მოწოდება?

- **დავალება.**

ჩამოწერეთ ყველა შესაძლო ღონისძიება, რომლებიც ხელს შეუწყობდა აღწერილი ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას და **იმსჯელეთ** კლასში, რა შეგიძლიათ კონკრეტულად თქვენ, თქვენმა კლასმა/სკოლამ/თემმა გააკეთოს ამისათვის. **დაგეგმეთ** და, ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეთანხმებით, **განახორციელეთ** პროექტი ან აქცია (ეს შეიძლება იყოს: თქვენს ახლოს მდებარე ტყის მასივის ხანძრის საწინააღმდეგო ბანერებით, საცეცხლურებით, ნაგავსაყრელებით (ურნები) მოწყობა; მოსახლეობის ინფორმირება ბუკლეტების, პოსტერების, პლაკატების საშუალებით; ახალი ტყის მასივების განაშენიანება/ხეების დარგვა და ა.შ.). ბოლოს თქვენი საქმიანობა **წარადგინეთ** კლასის/სკოლის/თემის წინაშე პრეზენტაციის სახით, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავთ თქვენს როლს გლობალურ ჭრილში.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

გლობალური მოქალაქეობრივი განათლების არსი არის მოსწავლეთა დარწმუნება და წახალისება, რომ მათ შეუძლიათ დადებითი ცვლილებების განხორციელება. იგი ნაკლებად გულისხმობს მოსწავლეებისთვის იმის მითითებას, თუ რა და როგორ უნდა გააკეთონ. მისი მიზანია, წახალისოს მოსწავლეები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ცვლილებების პროცესში და შეძლონ ინფორმირებული არჩევანის გაკეთება. ამიტომ მასწავლებელმა მოსწავლეთა ანალიტიკური, კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების განსავითარებლად მოსწავლეები უნდა დააფიქროს გრეტა ტუნბერგის ინიციატივაზე, იმის გათვალისწინებით რომ მსოფლიოში გაჩნდა განსხვავებული პოზიციები მის „პარასკევი მომავლისთვის“ აქციის შესახებ.

აქტივობა 14. მდგრადი განვითარების მიზნების კლასიფიცირება

მდგრადი განვითარების კონცეფცია გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელი მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს.

რესურსი:

- მდგრადი განვითარების მიზნები: 17 გლობალური მიზანი (მოსწ. სახ. გვ. 115-116)-
<https://cutt.ly/1SjU1NN>
- მათგან განვითარებული სქემა

კითხვები და დავალებები:

- რამდენად პასუხობს ეს მიზნები თქვენ მიერ წინა დავალებაში ჩამოთვლილ მსოფლიოში არსებულ გამოწვევებს? რვეულში გადაიხაზეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი და დააჯგუფეთ მდგრადი განვითარების მიზნები 3 ძირითად მიმართულებად.

გარემოს დაცვა	ეკონომიკური განვითარება	სოციალური კეთილდღეობა

- როგორ უკავშირდება ერთმანეთს მდგრადი განვითარების მიზნების მთავარი კომპონენტები?
- რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ქვეყნების კეთილდღეობისათვის მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას.

გაეცანით სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას მდგრადი განვითარების კონცეფციის შესახებ. საქართველოს ეროვნულ სტრატეგიებში ასახულია მდგრადი განვითარების ყველა მიზანი. მცირე ჯგუფებში იმსჯელეთ:

- წარმატების მისაღწევად რომელი სფერო უნდა იყოს საქართველოსთვის პრიორიტეტული?
- როგორ იმოქმედებს საქართველოს მომავალზე მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში მონაწილეობა?
- როგორ შეძლებს ცალკეული ქვეყანა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას?
- რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ერთიან ძალისხმევას მდგრადი განვითარების მიღწევაში?
- რატომაა საჭირო მხარდაჭერა და თანამშრომლობა როგორ ქვეყნებს, ისე ხალხებს შორის? თქვენი მოსაზრებები ჩამოწერეთ და კლასში განხილვის დროს დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.

აქტივობა 15. იდეების გენერირება მდგრადი განვითარებისათვის მეთოდ „იდეების სახელოსნოს“ გამოყენებით

რესურსი:

- გრაფიკული მათერგანიზებული

დავალბა:

თქვენ მომავალი თაობა ხართ, რომელმაც უნდა შეცვალოს დედამიწაზე არსებული მდგომარეობა მშვიდობიანი ცხოვრებისთვის. რას გააკეთებდით მსოფლიოში მდგრადი განვითარებისთვის, ერთი მხრივ, როგორც რიგითი მოქალაქე და, მეორე მხრივ, როგორც ხელისუფლების რომელიმე სტრუქტურის წარმომადგენელი? თქვენი იდეები ჩამოწერეთ მოცემულ სქემაში. (სქემა გადაიტანეთ რვეულში)

იდეები მდგრადი განვითარებისთვის	
მე - რიგითი მოქალაქე	მე - ხელისუფლების წარმომადგენელი

აქტივობა 15. საკითხის შესწავლისას განხილულ სიტუაციებში სამოქალაქო მონაწილეობის ხარისხის დადგენა შერი არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბის გამოყენებით.

რესურსი: შერი არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბე (იხილეთ დანართი, გვ. 81).

რეკომენდაცია მასწავლებლებს:

შერი არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბე მასწავლებლმა უნდა გადაიტანოს დიდ ფორმატის ქაღალდზე, გააკრას თვალსაჩინო ადგილას და მოსწავლეებს სთხოვოს საკითხის „სამშობლო დედამიწა“ შესწავლის დროს განხილული სიტუაციებიდან გამომდინარე იმსჯელონ მათში დასახელებულ პირთა სამოქალაქო ჩართულობაზე და დაადგინონ სამოქალაქო მონაწილეობის დონე მოცემული კიბის მიხედვით.

ეტაპი III - კომპლექსური დავალების წარდგენა

დასკვნით ეტაპზე, თითოეული მოსწავლე წარადგენს შესრულებულ კომპლექსურ დავალებას. ზოგიერთმა მოსწავლემ დავალება, შესაძლოა, უკვე მეორე, ან მესამე გაკვეთილზე წარადგინოს.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისა და მისი წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვები:

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?

- რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდით სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდით დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

შეფასების ზოგადი კრიტერიუმი/კრიტერიუმები

სამოქალაქო მონაწილეობა - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გლობალური მოქალაქის თვალსაწიერიდან აქტუალური პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზების შერჩევა (მათ შორის, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის გზების დასახვა, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება, დეზინფორმაციის ამოცნობა და მხილება);

მდგრადი განვითარება - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გლობალური მოქალაქეობის არსებითი მახასიათებლების მდგრადი განვითარების პრინციპებთან დაკავშირება.

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N 4
სამიზნე ცნება - საზოგადოება (მოქ.საშ.1, 2, 4) მდგრადი განვითარება (მოქ.საშ.3) ქვეცნება- პიროვნება, ინდივიდი, სოციალიზაცია; მდგრადი განვითარების გლობალური მიზნები;	საკითხი- გზა გლობალური მოქალაქეობისკენ ქვესაკითხი- ციფრული მოქალაქეობა საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები- როგორ წარმოვაჩინო რეპორტაჟში ჩემ ირგვლივ არსებული პრობლემები თუ მიღწევები ისე, რომ გამოვკვეთო მისი გლობალური მნიშვნელობა?
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები საზოგადოება (პიროვნება, ინდივიდი, სოციალიზაცია) (მოქ.საშ.1, 2, 4) 1. ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება; 2. ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას;	კომპლექსური დავალება გაეცანით უილიამ მაკრეივენის საჯარო სიტყვას. https://drive.google.com/file/d/1eEuQOZcYkGdtkZbkBqB6FVkJpBRcmY6z/view https://www.myvideo.ge/v/3404957 ადმირალი უილიამ მაკრეივენი ახალგაზრდებს დიდი საქმეების გაკეთებამდე ყოველდღიური ამოცანების შესრულებისკენ მოუწოდებს. თქვენც დაისახეთ კონკრეტული ამოცანა - შეარჩიეთ თქვენს თემში/ქალაქში/დაბაში/სოფელში არსებული აქტუალური საკითხი (პრობლემა/მიღწევა), რომელიც მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისთვის (ეს შეიძლება იყოს: საზოგადოების ღირებულებებითი, ეკოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, განათლების სისტემაში არსებული გამოწვევები

3. სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან /ინსტიტუტებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს; 4. ასერტულობა (ადამიანის უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე) ხელს უწყობს პიროვნების და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას. მდგრადი განვითარება (მოქ.საშ.3) - რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება; - ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს <i>(მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიერთილენის პარკზე უარის თქმა).</i>	და ა.შ.). ჩაწერეთ ინტერვიუები მოქალაქეებთან, გაარკვიეთ მათი დამოკიდებულებები და შეფასებები შერჩეულ საკითხთან დაკავშირებით და მოამზადეთ რეპორტაჟი (ვიდეო ან წერილობითი), რომელშიც გააშუქებთ შერჩეულ საკითხს. რეპორტაჟში ხაზგასმით წარმოაჩინეთ: - როგორ უკავშირდება პიროვნული შესაძლებლობების რეალიზება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და რა გავლენას ახდენს ქვეყნის ევროპული ორიენტაცია ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე. (საზ. 1, 3) - რატომ არის მნიშვნელოვანი ციფრული კომპეტენციების ფლობა პიროვნებისა და სოციუმის ჰარმონიული ურთიერთობისთვის (საზ. 2,4) - როგორია წარმოდგენილი საკითხის გლობალური მნიშვნელობა და პერსპექტივა ჩვენი ქვეყნის წინსვლისა თუ საზოგადოების მდგრადი განვითარებისათვის. (მდგრადი განვითარება 1, 2.)
---	--

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის (ცხოვრებისეული გამოცდილების) გააქტიურება

კითხვები:

- დაასახელეთ თქვენი თვისებების/უნარების/შესაძლებლობების ორი სუსტი და ორი ძლიერი მხარე;
- რას აკეთებთ იმისთვის, რომ შეიცვალოთ უკეთესობისკენ? დაასახელეთ კონკრეტული მაგალითები.

აქტივობა 2. მცირე ციფრული პროდუქტის მომზადება და წარდგენა

ციფრული კომპეტენციის გააქტიურებისათვის მასწავლებელს შეუძლია დაავალოს მოსწავლეებს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა, მათთვის საინტერესო თემაზე მცირე შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (მაგ., ვიდეოკლიპები, ფოტოებითა და მუსიკით გაფორმებული სლაიდშოუები, ინტერვიუები, ვიდეოჩანახატები, ფოტოკოლაჟი და სხვა). მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ კლასის წინაშე წარადგინონ ერთმანეთის ნამუშევრები, თან ჩაეძიოს ავტორებსა და წარმდგენებს, რას გრძნობდნენ ამ პროცესში და დააფიქროს იმაზე, თუ რას ნიშნავს და რატომაა მნიშვნელოვანი საავტორო უფლებების დაცვა, სხვისი ნამუშევრის/ნაშრომის პატივისცემა.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

შეეცადეთ გაუმყაროთ მოსწავლეებს თავდაჯერებულობა საკუთარი ნიჭისა და უნარების ამოცნობასა და განვითარებაში. დაამკვიდრეთ კლასში პოზიტიური და სხვის მიერ შექმნილის მიმართ ტოლერანტული განწყობა. ასწავლეთ მოსწავლეებს პოზიტიური უკუკავშირის ფასი და ხაზი გაუსვით იმას, რომ ყველა ადამიანს ახასიათებს განსხვავებული მონაცემები, შესაძლებლობები და უნარები.

აქტივობა 3. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა-გააზრება და დაგეგმვა

(მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ზრუნავს დავალების პირობის ადაპტირებაზე).

კითხვები:

- რომელ ახალ ამბავს-რეპორტაჟს გაეცანით უახლოეს წარსულში? რომელი ნაწილი, მოსმენილი ან წაკითხული რეპორტაჟი გახსენდებათ?
- რეპორტაჟის რომელ მახასიათებლებს გამოარჩევთ?
- როგორ ფიქრობთ, უნდა მიედგინას თუ არა რეპორტაჟები საზოგადოებრივ პრობლემებს?
- რა შედეგების მოტანა შეუძლია რეპორტაჟს?
- შეგიქმნიათ თუ არა და გაქვთ თუ არა სურვილი გააშუქოთ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემა რეპორტაჟის გამოყენებით?
- რა რესურსი დაგჭირდებათ მოცემული პროდუქტის შესაქმნელად?
- რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რა ფორმით უნდა წარადგინონ ნამუშევარი. რეპორტაჟის ფორმის გასააზრებლად შეიძლება გამოყენებული იყოს მედია რეპორტაჟების მაგალითები.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს რვეულებში ჩაინიშნონ მოსაზრებები შემდეგი სქემის გამოყენებით, ასევე, კომპლექსური დავალების დამუშავების პარალელურად მასწავლებელმა შეიძლება ყოველი ნაბიჯის შემდეგ შეახსენოს მოსწავლეებს ჩაინიშნონ დაძლეული საკითხები და ახალი ამოცანები.

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

მეორე ეტაპზე მასწავლებელი და მოსწავლე მუშაობენ უშუალოდ კომპლექსური დავალების შესრულებაზე. საგაკვეთილო პროცესში იყენებენ § 8, § 9, § 10-ში მოცემულ საინტერესო მასალას, კონკრეტულ ფაქტებსა და მაგალითებს. აქცენტი კეთდება შეფასების კრიტერიუმებზე. პარალელურად, მასწავლებელი ახორციელებს აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს სამიზნე ცნებებთან დაკავშირებით ცოდნის კონსტრუირებას.

ნაბიჯი 1. როგორ უკავშირდება პიროვნული შესაძლებლობების რეალიზება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და რა გავლენას ახდენს ქვეყნის ევროპული ორიენტაცია ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე.

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

- საქართველო ევროპის ნაწილია თუ აზიის?
- რა იცით საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის ისტორიული კავშირის შესახებ?

აქტივობა 2. წყვილებში მუშაობა ევროპული ფასეულობების, ღირებულებების გასააზრებლად (მოსწ. სახ. გვ.80)

კითხვები და დავალებები:

ქვემოთ მოცემული ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და იმუშავეთ წყვილებში, ჩამოწერეთ:

- მთავარი ფასეულობები, ღირებულებები, რომელიც ქართველ ხალხს გახდის ევროპული ოჯახის სრულუფლებიან წევრად. მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები;
- ის ახალი შესაძლებლობები ჩვენი ქვეყნისთვის, რაც მოჰყვება/მოჰყვება ევროკავშირის წევრად საქართველოს აღიარებას.

ფასეულობები, ღირებულებები	კონკრეტული მაგალითები
ახალი შესაძლებლობები	

- რა უნდა გააკეთოს საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ იმისთვის, რომ საქართველო ევროპის ოჯახის ღირსეული წევრი გახდეს?

აქტივობა 3. მსჯელობა და დისკუსია ქართულ-ევროპული ურთიერთობების შესახებ.

რესურსი:

- სახელმძღვანელოში (§ 8) (მოსწ. სახ. გვ. 81-83) მოცემული ევროპასთან ისტორიული კავშირის მაგალითები: სულხან საბა; ასოთამწყობთა დეპეშა; ზურაბ ჟვანიას სიტყვა; ლანა ლოლბერიძის გახსენება
- ვიზის ლიბერალიზაცია <https://old.infocenter.gov.ge/euinfo-visa-liberalization/#1>
- თავისუფალი ვაჭრობა <https://old.infocenter.gov.ge/euinfo-free-trade/#1>

კითხვები და დავალებები:

იმსჯელეთ ქართულ-ევროპულ ურთიერთობებზე.

- რას ფიქრობთ, რა შესაძლებლობები მისცა საქართველოს მოქალაქეებს ევროპასთან კავშირის დამყარებამ?
- რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ესოდენ დიდ დაფასებას?
- რა როლი შეასრულა ამ ფაქტმა საქართველოს, როგორც გეოგრაფიულად ევროპა-აზიის გასაყარზე მდებარე ქვეყნის, გლობალური მნიშვნელობის გააზრებაში?
- როგორ აისახება საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ხარისხზე ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავება?
- რას ნიშნავს ვიზის ლიბერალიზაცია
- რას ნიშნავს თავისუფალი ვაჭრობა

აქტივობა 4. შემთხვევების განხილვა და მსჯელობა მცირე ჯგუფებში

ევროპასთან ინტეგრაციის გზები და საშუალებები - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, ევროპის ბაზრის ათვისების, კულტურის, მეცნიერებისა და განათლების

მიმართულებით სახელმძღვანელოში მოცემული ამბების განხილვისა და გაანალიზების საშუალებით ევროპულ ოჯახთან დაახლოვების პერსპექტივების გააზრება. (მოსწ. სახ. გვ. 84-87)

რესურსი:

- ინფორმაცია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციაზე - <http://isogroup.ge/ge/iso-standartizaciis-organizacia/>
- თაფლის წარმოება საქართველოში: <http://eugeorgia.info/ka/article/807/taflis-warmoeba-dagamowvevebi-saqartveloshi/>
- ევროპაში ქართული ლიტერატურა ყველაზე პოპულარული და მოთხოვნილი გერმანიაში: <https://netgazeti.ge/news/183148/>
- საქართველოს ახალგაზრდა ელჩი ავსტრიაში: <https://www.facebook.com/profile.php?id=100064618152654>
- ქართველი მეცნიერი, ფიზიკოსი გაი დვალის: <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000343/>
- კოლუმბიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გიორგი მჭედლიშვილი: <https://www.facebook.com/georgianyouthabroad/posts/477229483014154/>
- ნიკო ნიკოლაძე: <https://www.forbeswoman.ge/post/nikoladze?fbclid=IwAR1HDoREMYfbjcBWsad9ZmbxRcy4eiNH6YKEcA8NEaUNC6WRDuyBqQDsSc>
- ანიმაცია-[საქართველოს ევროპული გზა-განათლება](#)

კითხვები და დავალებები:

- რა პერსპექტივას უქმნის საქართველოს ეკონომიკას ევროპის ბაზარზე გასვლა და, შესაბამისად, რა სახის პასუხისმგებლობას აკისრებს ქართულ ბიზნესს გლობალურ სავაჭრო პროცესებში ჩართვა?
- როგორ ფიქრობთ, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში ნაწარმოები პროდუქცია იმისათვის, რომ მისთვის გაიხსნას ევროპული ბაზარი?
- იმუშვეთ ჯგუფებში. **თქვენ როგორ თვლით**, რა სჭირდებათ ქართველ ფერმერებს იმისათვის, რომ დამკვიდრდნენ ევროპის ბაზარზე?
- ჩამოწერეთ რეკომენდაციები მეწარმეთათვის.
- **იმსჯელეთ**, რამდენად უწყობს ხელს ქვეყნის მდგრად განვითარებას ახალგაზრდების უცხოეთში მიღებული განათლება და გამოცდილება.
- თქვენი აზრით, რა უმთავრესი პირობაა საჭირო იმისთვის, რომ მართლაც წარმატებულად გატარდეს ყველა ის რეფორმა, რომლებიც საქართველოს გაუხსნის კარს ევროკავშირის ოჯახში შესასვლელად?
თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ არგუმენტირებულად.

აქტივობა 5. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით რეკლამის შექმნა (მოსწ. სახ. გვ. 88)

რესურსი:

- რეკლამის ისტორია: <https://clp.ge/reklamis-istoria/>
- ეფექტური რეკლამის მაგალითები: <https://digitalhub.edu.ge/efekturi-reklamis-magalitebi/>

დავალებები:

წარმოდგენილი ორი დავალებიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი.

- წარმოდგინეთ, რომ გაქვთ თქვენი ბიზნესი და მსოფლიო ბაზარზე გასული პროდუქტის ან მომსახურების გატანა. შექმენით რეკლამა ვიდეორგოლის, ბუკლეტის, PowerPoint-ის (ან სხვა მსგავსი პროგრამის) სლაიდშოუს, პლაკატის/პოსტერის სახით

ან:

- წარმოდგინეთ, რომ შეგარჩიეს საქართველოს ახალგაზრდა ელჩად რომელიმე ქვეყანაში. გასული დაუმტკიცოთ ევროპას, რომ მისი ნაწილი ხართ კულტურით, ღირებულებებით, ტრადიციებით, სხვადასხვა სფეროში მიღწევებით. შეარჩიეთ რომელიმე მიმართულება და შექმენით რეკლამა ვიდეორგოლის, ბუკლეტის, PowerPoint-ის (ან სხვა მსგავსი პროგრამის) სლაიდშოუს, პლაკატის/პოსტერის სახით, რომლითაც მსოფლიოს/ევროპას დაუსაბუთებთ ჩვენი არჩევანის საფუძვლებს.

რეკლამის შესაქმნელად მოსწავლეებს დაეხმარებათ სახელმძღვანელოში მოცემული რეკომენდაციები, ასევე ინტერნეტგვერდები.

რეკომენდაცია მასწავლებლებს:

დააფიქრეთ მოსწავლეები ციფრული ტექნოლოგიების გონივრულად გამოყენების მნიშვნელობაზე, ციფრული რესურსების, როგორც თვითგანვითარების, თვითრეალიზაციის, შემოქმედებითი უნარების განვითარების და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის შესაძლებლობაზე.

ნაბიჯი 2. რატომ არის მნიშვნელოვანი ციფრული კომპეტენციების ფლობა პიროვნებისა და სოციუმის ჰარმონიული ურთიერთობისათვის

აქტივობა 6. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციის გადაცემის მნიშვნელობის გააზრება (მოსწ. სახ. § 9 გვ. 89)

რესურსი:

- ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე: <https://cutt.ly/xDo3d0d>
- „ამერიკის ხმასთან“ დაკავშირებული ინფორმაცია - <https://cutt.ly/dSOm5bZ> და <https://cutt.ly/gSOQeFF>

კითხვები და დავალებები:

- რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმირებულობა გლობალური მოქალაქეობისთვის? რატომ?
- რამდენად იყენებთ ციფრულ ტექნოლოგიებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გასაცნობად?
- რას ელით ჟანრისგან (მაგალითად, ბეჭდური რეკლამა, სატელევიზიო დრამა, მუსიკალური ვიდეო) მის მთავარ შინაარსთან მიმართებით?
- რა გზებით ვრცელდებოდა ინფორმაცია უძველეს ხანაში?
- რა გავლენა შეიძლება ჰქონოდა ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტეს ისტორიულ წიგნს იმდროინდელი საზოგადოების ცნობიერების/მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე?
- რა პროცესების განვითარებას შეუწყო ხელი რადიომაუწყებლობამ, როგორც საინფორმაციო საშუალებამ?
- რა გავლენა აქვს ტელემაუწყებლობას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე?

- რატომ იყო ასეთი დიდი ინტერესი „ამერიკის ხმისადმი“;
- თქვენი აზრით, რა როლი ითამაშა თავის დროზე ამ მაუწყებლობამ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე?
- რომელი კომპეტენციების/უნარების ფლობა დაეხმარა გუკას მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიებაში?

აქტივობა 7. ციფრული მოქალაქეობა და მისი მნიშვნელობის განსაზღვრა გლობალიზაციის პროცესში (მოსწ. სახ. გვ. 92-93)

რესურსი:

- ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების საზოგადოება წყარო: www.on.ge
- „მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში“, წყარო: თსუ-ს ვებგვერდი, 30 სექტემბერი 2021 წელი
- ზუგდიდის საჭადრაკო გუნდის ბრინჯაო აბუ-დაბის საერთაშორისო გუნდურ ონლაინტურნირზე! წყარო: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვებგვერდი, სიახლეები 5 ივლისი 2020 წელი
- საქართველოს მუზეუმის ექსპოზიციებში <https://gda.ge/pages/virtualuri-muzeumi>
- ვირტუალური სამუზეუმო ტურიები: <https://www.marketer.ge/12-famous-museum-virtual-tour/>

კითხვები და დავალებები:

- როგორ აისახება ციფრული საშუალებებით მოქალაქეთა ინფორმირება მათ განწყობასა და ქმედებაზე?
- რა გავლენას ახდენს იგი ფართო მასებზე?
- რა გვჭირდება იმისათვის, რომ სწორი არჩევანი გავაკეთოთ და გაცნობიერებული გადაწყვეტილება მივიღოთ?
- საზოგადოების ინფორმირების კიდეც რა ფორმების/მექანიზმების შესახებ იცით, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე ახდენს ზეგავლენას?
- რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმირებულობა გლობალური მოქალაქეობისთვის? რატომ?
- რა შესაძლებლობებს იძლევა ინტერნეტი?
- თქვენ როგორ იყენებთ ამ შესაძლებლობებს?

რეკომენდაცია მასწავლებელს:

ციფრული მოქალაქეობა გულისხმობს სწავლა-სწავლებისას ციფრული ტექნოლოგიების ეფექტურად, უსაფრთხოდ, პასუხისმგებლობით გამოყენებას სამართლებრივი და ეთიკური ფაქტორების გათვალისწინებით. შესაბამისად, მასწავლებელმა უნდა იზრუნოს რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ საინფორმაციო ტექნოლოგიების როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ზემოქმედება.

აქტივობა 8. შემთხვევის შესწავლა: ციფრული კომპეტენციების გააზრება ზაურ მეშველიანის მაგალითზე (მოსწ. სახ. გვ. 94-95)

რესურსი:

- ზაურ მეშველიანის ამბავი (წყარო: forbes.ge <https://forbes.ge/rogor-mokhvda-23-tslis-qarthve/>)
- მაორგანიზებელი სქემა

კითხვები და დავალებები:

- რა ცოდნა და უნარებია საჭირო იმისათვის, რომ ადამიანმა დაიმკვიდროს ადგილი გლობალურ სივრცეში?
- ზაურის რომელმა კომპეტენციებმა განაპირობა ეს წარმატება?

დავალება: შეუსაბამეთ ზაურის კომპეტენციები ციფრული მოქალაქეობის ცხრილში წარმოდგენილ თითოეულ ციფრულ განზომილებას. არგუმენტირებულად დაასაბუთეთ მათი შესაბამისობა. (ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ)

	ციფრული კომპეტენციები	აქვს კომპეტენცია?	საიდან ჩანს? დაასაბუთეთ
	I ჩართულობა ონლაინსივრცეში		
1	წვდომა და ინკლუზია		
2	სწავლა და შემოქმედებითობა		
3	მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება		
	II კეთილდღეობა ონლაინსივრცეში		
4	ეთიკა და ემპათია		
5	ჯანმრთელობა და კეთილდღეობა		
6	ინტერნეტსივრცეში თავის წარმოჩენა და ელექტრონული კომუნიკაცია		
	III უფლებები ონლაინსივრცეში		
7	აქტიური მონაწილეობა		
8	უფლებები და პასუხისმგებლობები		
9	პერსონალურ მონაცემთა დაცვა და უსაფრთხოება		
10	სამომხმარებლო ცნობიერება		

აქტივობა 9. ყალბი ინფორმაციის შემცველი მაგალითების განხილვა (მოსწ. სახ. გვ.96)

რესურსი:

- ყალბი ინფორმაცია - <https://cutt.ly/rDpJWtX>;

კითხვები და დავალებები:

- მოცემული ორი ინფორმაცია ყალბია თუ ნამდვილი?
- შეგიძლიათ ყალბი და ნამდვილი ინფორმაციის ერთმანეთისგან გარჩევა?
- თქვენი გამოკვლევის შედეგი გააცანით კლასელებს და ისაუბრეთ, რა უდევს საფუძვლად თქვენს დასკვნას, რა გზა გაიარეთ ამის დასადგენად.
- რა დასკვნების გამოტანა შეუძლია აუდიტორიას (საზოგადოებას) ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით?
- რა ტექნიკას იყენებს მედიაპროდუქტი თქვენი ყურადღების მისაპყრობად და გზავნილის თქვენამდე მოსატანად (კომუნიკაციისთვის)?
- რა სახის ტექნიკა და მანიპულაციებია გამოყენებული მედიაპროდუქტის გამოსახულებისთვის (მაგალითად, განათება, გრიმი, კამერით გადაღების კუთხე, ფოტომანიპულაციები)?

აქტივობა 10.—Fake News-ის წარმოშობის შესახებ ინფორმაციის გაცნობა და მასთან ბრძოლის სტრატეგიების შემუშავება. (მოსწ. სახ. გვ. 97-101)

რესურსი:

- როგორ გაჩნდა Fake News-ი წყარო: იმედიინიუს.გე 06 თებერვალი 2018 წელი
<https://imedinews.ge/ge/theme/193/rogor-gachnda-fake-news-i-kalbi-akhali-ambabis-istoria>;
- საქართველოს ჟურნალისტური ქარტია, შესავალი, 12.04.2020 (ამონარიდი)წყარო:
<https://www.qartia.ge/ka/covid/article/81419-shesavali>;
- მედია და ინფორმაციული წიგნიერების ლაბორატორიის (MilLab) ონლაინ პლატფორმა:
<http://millab.ge/ka/mil-resources/any/15/any/>
- ინტერვიუ ნატალია ანთელავასთან: <https://cutt.ly/jSOULuj>

კითხვები და დავალებები:

- შეადარეთ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი 3 ამბავი ერთმანეთს და იმსჯელეთ:
- რა მსგავსებას ხედავთ აღწერილ ამბებში?
- რა მიზანს ემსახურება თითოეულ შემთხვევაში დეზინფორმაცია?
- რა მექანიზმებია გამოყენებული თითოეულ მათგანში სასურველი შედეგის მისაღებად?
- რა გლობალურ საფრთხეებს შეიცავს ყალბი ინფორმაციის გავრცელება?
- რამდენად გაქვთ ცოდნა და უნარი იმისა, რომ გაარჩიოთ ყალბი და მართალი ამბავი ერთმანეთისგან?
- რა არის საჭირო იმისთვის, რომ არ მოხვდეთ ყალბი ინფორმაციის გავლენის ქვეშ?
- რამდენად მნიშვნელოვანია სანდო ინფორმაციის მიღება სიტუაციის სწორად აღსაქმელად და, შესაბამისად, სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად?
- ინფორმაციაში მოცემული გაყალბებული ამბები რას ემსახურებოდა?
- რა საფრთხის შემცველია ამგვარი დეზინფორმაცია როგორც ცალკეული ქვეყნისთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის?

აქტივობა 11. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეების გაცნობიერებაზე მუშაობა მაორგანიზებელი სქემის გამოყენებით

მე-9 პარაგრაფის ბოლოს (მოსწ. სახ. გვ. 101) მოსწავლეებს ვთავაზობთ ალტერნატიულ დავალებებს ციფრული მოქალაქეობის ქვესაკითხის შესაჯამებლად.

დავალება 1.

ჩამოწერეთ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მოიყვანეთ მაგალითები და იმსჯელეთ, როგორ ზეგავლენას ახდენს თითოეული მათგანი ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

დადებითი	უარყოფითი

დავალება 2. ესეზე მუშაობა

მოამზადეთ ესე თემაზე: მე - ციფრული მოქალაქე

ესეში წარმოადგინეთ თქვენი გამოცდილება ციფრული ტექნოლოგიების მოხმარების თვალსაზრისით, რისი კომპეტენციაა გაქვთ და რისი განვითარება გჭირდებათ, რას გააკეთებთ ამ კომპეტენციების უკეთესად დასაუფლებლად.

რეკომენდაცია მასწავლებლებს:

შეეცადეთ უზრუნველყოთ სასწავლო პროცესის გამდიდრება რელევანტური, სანდო და ასაკობრივად შესაბამისი ტექნოლოგიური რესურსებითა თუ წყაროებით.

ასწავლეთ მოსწავლეებს, როგორ მოიძიონ ინფორმაცია თუ რესურსები სანდო წყაროებიდან, მათ ასაკსა და შესაძლებლობებზე მორგებული მედიაპლატფორმებიდან. აუხსენით მოსწავლეებს ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები და გადამოწმების ხერხები. შეეცადეთ დაანახოთ მათ, თუ როგორ მუშაობს სხვადასხვა მედია გარკვეული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. ასწავლეთ მოსწავლეებს კრიტიკულად გაიაზრონ წაკითხული, მოსმენილი თუ ნანახი ინფორმაცია. ხაზი გაუსვით საავტორო უფლებების მნიშვნელობას, აგრეთვე ნამუშევრის ან ქმნილების პირველწყაროს მოხსენიებისა და დაცვის აუცილებლობას.

შეეცადეთ, აუხსნათ მოსწავლეებს, რომ ყველაფერი, რასაც ისინი ონლაინ ასაჯაროებენ, წერენ, აგზავნიან და აზიარებენ, ტოვებს ციფრულ ნაკვალევს, რაც განსაზღვრავს მათ რეპუტაციას და შთაბეჭდილებას ქმნის მათ შესახებ. დაანახეთ მოსწავლეებს, რომ პატივისცემით ურთიერთობა, როგორც ზოგადად მოქალაქეობის, ისე ციფრული მოქალაქეობის ნაწილია.

ნაბიჯი 3. როგორია წარმოდგენილი საკითხის გლობალური მნიშვნელობა და პერსპექტივა ჩვენი ქვეყნის წინსვლისა თუ საზოგადოების მდგრადი განვითარებისათვის.

აქტივობა 12. მსოფლიო ცვლილებებისათვის ცალკეული ადამიანის როლის გააზრებაზე მუშაობა (მოსწ. სახ. გვ. 102)

კითხვები და დავალებები:

- გაეცანით მე-10 პარაგრაფში მოცემულ ადამიანებს, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს მსოფლიო ცვლილებებისთვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:
- რა შეიძლება გააკეთოს ადამიანმა იმისთვის, რომ შეცვალოს მსოფლიო? ჩამოთვალეთ კონკრეტული საქმედები.
- როგორი თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს ასეთი ადამიანი?
- ვის დასახელებდით მსოფლიო ადამიანად? თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ, რატომ მიგაჩნიათ, რომ მან შეცვალა მსოფლიო.

აქტივობა 13. გრაფიკული მაორგანიზებლის დახმარებით მსოფლიო გამოწვევების გააზრება (მოსწ. სახ. გვ. 103-104)

რესურსი:

- გრაფიკული მაორგანიზებელი
- ედუარდ ევერეტ ჰეილისა და ბაკმინსტერ ფულერის მოსაზრებები

კითხვები და დავალებები:

- დაფიქრდით ყველა იმ პრობლემასა და გამოწვევაზე, რაც დგას დედამიწის, ჩვენი საერთო სახლის, წინაშე. დაუკავშირეთ ანას, ნიკას, დათას და ქეთის სურვილებსა და მიზნებს, როგორ შეიძლება შეცვალოთ თქვენ ირგვლივ არსებული სამყარო უკეთესობისკენ?
- გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენებით ჩამოწერეთ ყველა პრობლემა, მათი მიზეზები, შედეგები და მოგვარების გზები და იმსჯელეთ:
- რამდენად გლობალურ ხასიათს ატარებს თითოეული თქვენ მიერ ჩამოთვლილი პრობლემა?
- რომელი ღირებულებები, დამოკიდებულებები, უნარები და ცოდნაა საჭირო იმისთვის, რომ დაიდლოს ეს პრობლემები?
- კონკრეტულად რისი გაკეთება შეგიძლიათ თქვენ?
- რამდენად ექნება მას გლობალური მნიშვნელობა? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ.

აქტივობა 14. სტუდენტთა აქტივიზმის შეფასება

რესურსი: ინფორმაცია სტუდენტურ პროექტებზე (მოსწ. სახ. გვ. 104-106)

კითხვები და დავალებები:

- გაეცანით სტუდენტების მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებს და შეაფასეთ მოცემული პროექტები:
- რა გავლენა მოახდინა თითოეულმა პროექტმა ბენეფიციარებზე?
- რომელი უნარები, რისი ცოდნა, როგორი დამოკიდებულებები და ღირებულებები, გამოავლინეს პროექტების განმახორციელებელმა სტუდენტებმა?
- რა მნიშვნელობა აქვს მსგავსი პროექტების განხორციელებას საზოგადოების ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით?
- დემოკრატიის რომელი პრინციპების დამკვიდრებას ემსახურება ეს პროექტები?
- რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ამგვარი პროექტების განხორციელება მსოფლიო ცვლილებებისთვის გადადგმულ თუნდაც ერთ ნაბიჯად?

აქტივობა 15. თვითშეფასება და ავტობიოგრაფიის შემუშავება (მოსწ. სახ. გვ. 107-108)

კითხვები და დავალებები:

დავით გურამიშვილის სიტყვების „**ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:**

ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“ ანალიზი და დაფიქრება, რას გულისხმობს საკუთარი თავის შეცნობა.

დაწერეთ **ავტობიოგრაფია** (ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების აღწერა), რომელშიც გასცემთ პასუხს კითხვებზე: ვინ ვარ? საიდან მოვედი? სად მივდივარ? გაშალეთ და დააკონკრეტეთ:

- როგორ აღიქვამთ და აფასებთ საკუთარ თავს და როგორ გამოხატავთ ამას?
- რა მნიშვნელობას ანიჭებთ საკუთარ ცხოვრებას? თქვენ ცხოვრებისეულ გამოცდილებას?
- რამდენად მნიშვნელოვანად თვლით სხვების აზრს, მათ დამოკიდებულებას თქვენდამი?
- სხვადასხვა სიტუაციაში როგორ „ერგებით“ განსხვავებულ ადამიანებს?
- როგორ იქცევით, როდესაც არ იზიარებთ თქვენთან მოსაუბრის შეხედულებას, აზრს ან დამოკიდებულებას?
- რის გაკეთებას აპირებთ სამომავლოთ თქვენ, როგორც მსოფლიო მოქალაქე?

აქტივობა 16. პოსტერის შექმნა გლობალურ მოქალაქეობაზე

რესურსი:

- სტივ ჯოხსის სიტყვა, წარმოთქმული სტენფორდის უნივერსიტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულებისათვის (ნაწყვეტი) (მოსწ. სახ. გვ.108)

დავალება:

- დაუკავშირეთ ერთმანეთს ყველა ცოდნა და გამოცდილება, რაც **გლობალური მოქალაქეობის** თემის შესწავლისას მიიღეთ; გამოკვეთეთ ძირითადი გზავნილები და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის მოამზადეთ **პოსტერი - გლობალური მოქალაქეობა**; თქვენი ნამუშევრები გამოფინეთ სკოლაში.

ეტაპი III - კომპლექსური დავალების წარდგენა

დასკვნით ეტაპზე, თითოეული მოსწავლე წარადგენს შესრულებულ კომპლექსურ დავალებას. ზოგიერთმა მოსწავლემ დავალება, შესაძლოა, უკვე მეორე, ან მესამე გაკვეთილზე წარადგინოს.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისა და მისი წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვები:

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

შეფასების ზოგადი კრიტერიუმი/კრიტერიუმები

საზოგადოება - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ადამიანის პიროვნული განვითარებისა და გლობალურ მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის არსებითი ფაქტორების (იდენტობა, თვითრეფლექსია, თვითმართვა, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარი, გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობის აღება, ემპათია, ასერტულობა, კონფლიქტების არამალადობრივი მეთოდებით მართვა, მედიაწიგნიერება და ციფრული კომპეტენციები) გაანალიზება;

მდგრადი განვითარება - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გლობალური მოქალაქეობის არსებითი მახასიათებლების მდგრადი განვითარების პრინციპებთან დაკავშირება.

თვითშეფასება, თემის შეჯამება

გლობალური მოქალაქეობის თემის შესწავლის დასასრულს მოსწავლეებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისათვის ვაძლევთ თვითშეფასების შესაძლებლობას. ეს მათ დაეხმარებათ სამომავლო აქტივობების დასაგეგმად, რეალური ცვლილებების განსახორციელებლად მომზადებასა და განვითარების გზების მოძიებაში.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელი იხილეთ დანართში. (გვ. 78)

თვითშეფასებამდე მოსწავლეები დააფიქრეთ შემდეგი მიმართულებით:

- როგორ წარიმართა გლობალური მოქალაქეობის თემაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდით კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?
- თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?
- რა იყო ყველაზე საინტერესო თქვენთვის ამ თემაში? რატომ?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს?
- რას უსურვებდით საკუთარ თავს და თქვენს თანაკლასელებს?
- კიდევ რისი სწავლა, რა საკითხზე/საკითხებზე მუშაობა გაამდიდრებს თქვენს ცოდნას მოცემულ თემასთან დაკავშირებით?

4. მოსწავლის შეფასება

განათლების რეფორმის უმთავრესი მიზანი მოსწავლის მოქალაქეობრივი აღზრდა და მისი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაა.

განათლების კვლევები ადასტურებს, რომ მოსწავლის მოსწრებაზე ყველაზე მეტად დადებით გავლენას მასწავლებლის მხრიდან კომპეტენტური უკუკავშირი ახდენს (John Hattie). გამომდინარე აქედან, ჩვენი მხრიდანაც მთავარი აქცენტი მიზანზე, ხარისხიან განათლებაზე ორიენტირებული უკუკავშირების სისტემის განვითარებაზე კეთდება.

მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.
2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.
3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:
 - ა) აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
 - ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
 - გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
 - დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
 - ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.
4. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს განმავითარებელ შეფასებაზე.

განმავითარებელი შეფასების ეფექტურად წარმოებისთვის საჭიროა ორი არსებითი ნიუანსი:

- ა) გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირი;
 - ბ) დავალება, რომელიც ავთენტურ (და არა ზედაპირულ) ცოდნას ამოწმებს;
- პირველის როლს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით **სამიზნე ცნება** ასრულებს, მეორის ფუნქცია კი **კომპლექსურ დავალებას** ეკისრება. თუკი მასწავლებელი მოსწავლეებს წლის

განმავლობაში ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე (რომელიც თემიდან თემამდე და წლიდან წლამდე ფორმას არ იცვლის) ორიენტირებულ რამდენიმე კომპლექსურ დავალებას გააკეთებინებს მოსწავლეს, მაშინ ის შემაჯამებელი და მიმდინარე განმავითარებელი შეფასების გამოყენების გზით იოლად შეძლებს სამიზნის მიმართულებით მოსწავლის მიღწევების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების, მისი საჭიროებების შემჩნევასა და აღწერას.

კომპლექსური დავალებით განსაზღვრული პროდუქტის შესაქმნელად, რომელიც ახალი საკითხების დამუშავებასაც გულისხმობს, მოსწავლე უამრავ სხვადასხვა ტიპის აქტივობაში ერთვება (მაგალითად, კონრეტული პროცედურის ასათვისებლად სავარჯიშოს შესრულება, ქვიზი, ახალი ინფორმაციის გაცნობა, კონკრეტულ მოვლენაზე დაკვირვება, ინფორმაციის წაკითხვა-გაგება, კითხვების დასმა, კითხვებზე პასუხის გაცემა, დისკუსიაში მონაწილეობა, სქემის აგება და სხვა.). ამ პროცესის მსვლელობისას მასწავლებელი მიმდინარე განმავითარებელი შეფასების საშუალებით გამოავლენს მოსწავლეების საჭიროებებს, და ამის გათვალისწინებით, მისცემს დამაკვალთანებელ, გეზისმიმცემ უკუკავშირს, დაეხმარება სიმძნელეთა გადალახვაში, შემაფერხებელი შეცდომებისა თუ ხარვეზების აღმოჩენასა და გამოსწორებაში.

მოსწავლეთა აკდემიური მიღწევების შეფასებას სოლო ტაქსონომიის მეთოდით


„სწავლა რაც უფრო წინ მიდის, მით უფრო კომპლექსური და მრავლისმომცველი ხდება. სწავლის დაკვირვებადი შედეგების სტრუქტურა (SOLO - Structure of the Observed Learning Outcome) წარმოადგენს სწავლის შედეგების კლასიფიცირების საშუალებას მათი კომპლექსურობის თვალსაზრისით და შეცდომების დათვლის ნაცვლად, იძლევა მოსწავლის ნამუშევრის ხარისხის (თვისებრივად) შეფასების საშუალებას. სწავლის პროცესში თავდაპირველად ჩვენ ვწვდებით ამოცანის ერთ ან მცირე რაოდენობის ასპექტს (უნიტსტრუქტურული), შემდეგ მრავალ ასპექტს, მაგრამ ისინი ერთმანეთთან დაუკავშირებელია (მულტისტრუქტურული) , შემდეგ ჩვენ ვსწავლობთ, როგორ უკავშირდება ეს ასპექტები ერთმანეთს და ინტეგრირდება მთელში (მიმართებითი) და ბოლოს, ჩვენ შეგვიძლია მთელი იდეის განზოგადება და მისი სხვა, არადასწავლილ გარემოებებში გამოყენება (გაფართოებული აბსტრაქტი)“ (Biggs, J. B., & Collis, K. F., 2014).

როგორც თავად ტაქსონომიის ავტორების ციტატიდან ჩანს, სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნის დაუფლება პირობითად ორ მოცემულობად არის გაყოფილი: დეკლარაციული ცოდნა, ფაქტებისა და ინფორმაციის ფლობა (უნიტსტრუქტურული, მულტისტრუქტურული) და გაგება, წვდომა (მიმართებითი და გაფართოებული აბსტრაქტი). სამიზნე დონე სწორედ გაგება-გააზრება, ფუნქციური ცოდნის შეძენაა და არა მხოლოდ დეკლარატიული ცოდნა.

სოლო ტექსონომია მოიცავს ხუთ დონეს:

დესკრიპტორები		ზმნები
პრესტრუქტურული დონე	მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელობას/აზრს.	
უნისტრუქტურული დონე	მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება; იდენტიფიცირება, დასახელება ან დათვლა.	განსაზღვრა, იდენტიფიცირება, დასახელება, გამოტანა, მოძიება, აღნიშვნა, მორგება/დაკავშირება, მარტივი პროცედურის დაცვა
მულტისტრუქტურული დონე	მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. მას შეუძლია თვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ.	აღწერა, ჩამოთვლა, გეგმა, შევსება, გაგრძელება, კომბინირება, დათვლა
მიმართებითი დონე	მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია რამდენიმე ასპექტს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. ფორმების გაგება ქმნის სტრუქტურას და ამგვარად აქვს იმის კომპეტენცია, რომ შეადაროს, დაამყაროს მიმართებები, გაანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას მიზეზებისა და შედეგების კუთხით.	მიმდევრობა, კლასიფიცირება, მსგავსება-განსხვავების აღმოჩენა, ახსნა (მიზეზისა და შედეგის), გაანალიზება, ანალოგიის მოყვანა, ორგანიზება, განსხვავების პოვნა, კითხვის დასმა, მიმართების დამყარება, გამოყენება, აღწერა.
გაფართოებული აბსტრაქტული დონე	მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება.	განზოგადება, განჭვრეტა, შეფასება, დაფიქრება/რეფლექსია, ჰიპოთეზის წამოყენება, თეორიის ჩამოყალიბება, შექმნა, გადამოწმება, დადასტურება, დასაბუთება, შექმნა, პრიორიტეტების დასახვა, გაფორმება, შედგენა, წარმოდგენა (/პერფორმანსი), ახსნა, გამოყენება, გაანალიზება.

სოლო - სად ვარ მე?



როგორ უნდა შევასოთ მოსწავლის მიღწევები/როგორ უნდა ფორმულირდეს განმავითარებელი შეფასების კომენტარი მოსწავლისთვის. მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს ორი საკითხი:

1. რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე;
2. რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება).

მასწავლებელი ალწერს მოსწავლის მიღწევებს, აფასებს მას და აძლევს განმავითარებელ კომენტარს.

როგორ უნდა ჩამოაყალიბოს მასწავლებელმა განმავითარებელი კომენტარი? ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა კომპლექსურ დავალებასა და SOLO ტაქსონომიაზე დამყარებულ შეფასების რუბრიკას ენიჭება.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

ქვემოთ მოცემული შეფასების რუბრიკა შეგვიძლია გამოვიყენოთ, როგორც მოსწავლის მიღწევების აღსაწერად სამიზნე ცნებებთან მიმართებით, ისე განმავითარებელი კომენტარისთვის.

ეს არის მასწავლებლის სამუშაო ფურცელი, რომლის საფუძველზეც ის ჩამოაყალიბებს კომენტარს სამიზნე ცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების ფარგლებში. ეს კომენტარები მასწავლებელმა სხვადასხვა სამიზნე ცნებასთან მიმართებით სწავლა-სწავლების პროცესში პერმანენტულად უნდა აკეთოს, თვის ბოლოს კი ეს კომენტარები უნდა ასახოს ექსელის ცხრილში.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აღწერილობა:

ცხრილის პირველ ჰორიზონტალურ, სატიტულო უჯრაში მოცემული ინფორმაცია ხაზს უსვამს იმას, რომ:

- ამ ფორმით ფასდება ყველა მოსწავლე ინდივიდუალურად;
- მოსწავლეები ფასდებიან გრძელვადიან მიზნებთან ანუ საგნობრივ სამიზნე ცნებებთან მიმართებით;

- საგნობრივ ცნებაზე მუშაობა ხდება კონკრეტულ (და არა ზოგად) საგნობრივ საკითხზე დაყრდნობით;
- საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით მოსწავლის ცოდნა მოწმდება კომპლექსური დავალების საშუალებით.

ცისფერ ჰორიზონტალურ სვეტში მოცემულია სამიზნე ცნებები (აქ მოიაზრება იმდენი ვერტიკალური სვეტი, რამდენი სამიზნე ცნებაცაა კონკრეტულ საგანში), ხოლო ცისფერ ვერტიკალურ სვეტში მოცემულია ამ სამიზნე ცნებების გააზრების დონეები (SOLO ტაქსონომიის მიხედვით). ცისფერ სვეტში მოცემულია ზოგადი აღწერილობა, ხოლო ცნებისა და დონის კვეთაზე ეს აღწერილობები დაკონკრეტდება კომპლექსური დავალების პირობის (ანუ, რა მოეთხოვება მოსწავლეს) შესაბამისად.

თემა ----- საკითხი ----- კომპლექსური დავალების პირობა -----				
კრიტერიუმი - სამიზნე ცნება	საზოგადოება	დემოკრატია	სამოქალაქო მონაწილეობა	მდგრადი განვითარება
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს. მსჯელობს ეროვნული სასწავლო გეგმის მაკროცნებაზე/მაკროცნებებზე კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით.			
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს საზოგადოების ცნების სხვადასხვა ასპექტს (პიროვნულ მახასიათებლებს, ადამიანის მოთხოვნილებებს,	მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს დემოკრატიის ასპექტებს (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის	მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს სამოქალაქო მონაწილეობის არსს, მიზნებს, გზებსა და საშუალებებს. გამოკვეთს კომპლექსური	მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს მდგრადი განვითარების კონცეფციის ადეკვატურ ასპექტს (მომავლის პერსპექტივაზე

	ურთიერთობას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.	პრინციპები). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.	დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.	ორიენტირება, ლოკალური მოქმედებების და მათი შედეგების მიზეზ-შედეგობრიობა). გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული ხასიათი.	მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული ხასიათი.	მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული ხასიათი.	მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული ხასიათი.
უნიტარული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურული დონე ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.	მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.	მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.	მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.	მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.	მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.	მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.

5. მეთოდური რეკომენდაციები

დისკუსიის წარმართვის მეთოდები

ყველასათვის ცნობილია, რომ დისკუსია კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და კომუნიკაციური უნარების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი სტრატეგიაა. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის, რომ მასწავლებელთა დიდი ნაწილი ყველაზე ხშირად გამოყენებულ სტრატეგიას შორის სწორედ დისკუსიას ასახელებს. დისკუსიის იმდენი სახეობა არსებობს, რომ მათი გაერთიანება შეიძლება ერთი ტერმინის ქვეშ: სადისკუსიო მეთოდები. ასეთი მეთოდებს შორის მოიაზრება დიალოგი მონაწილეთა ან მონაწილე ჯგუფებს შორის, სოკრატული საუბრები, ჯგუფური დისკუსია „მრგვალი მაგიდის“ ირგვლივ, კონკრეტული სიტუაციის ანალიზი, არაოფიციალური კამათი / დებატები და სხვ. ნებისმიერი სადისკუსიო მეთოდის გამოყენებისას საჭიროა რამდენიმე პირობის დაცვა:

1. მონაწილეთა წინასწარი და საფუძვლიანი მომზადება დისკუსიისათვის როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური თვალსაზრისით. შინაარსობრივი მომზადება გულისხმობს სადისკუსიო თემის შესახებ აუცილებელი ცოდნის დაგროვებას, ფორმალური კი – ამ ცოდნის გამოხატვის ფორმის შერჩევას. საკითხის ცოდნის გარეშე დისკუსია ხდება უსაგნო, უშინაარსო, ზედაპირული, ხოლო აზრის მწყობრად გამოხატვის უნარის გარეშე, ბუნდოვანი და შეიძლება წინააღმდეგობრივიც.

2. კეთილგანწყობილი და ღია გარემო კომუნიკაციური ურთიერთობებისთვის. მოსწავლეს არ უნდა ჰქონდეს იმის შიში, რომ ვინმე დასცინებს მას განსხვავებული აზრის გამოთქმისათვის. არც ის არის რეკომენდებული, რომ მასწავლებელმა ღიად გამოხატოს საკუთარი პოზიცია სადისკუსიო საკითხის მიმართ. ის აფასებს გამოთქმული თვალსაზრისების დამადასტურებელი არგუმენტების საფუძვლიანობას და არა თვალსაზრისებს. მასწავლებლის მიერ დისკუსიის დროს გამოთქმული რომელიმე მოსაზრების აშკარა მხარდაჭერამ შეიძლება შემდგომ დისკუსიაში მონაწილეობის ინტერესი დაუკარგოს იმ მხარეს, რომლის შეხედულებაც არ დაემთხვა პედაგოგისას.

3. დისკუსიის მონაწილეთა მზაობა მოისმინონ და პატივი სცენ განსხვავებულ პოზიციას, თვალსაზრისს. ამის დარეგულირება მასწავლებელს შეუძლია დისკუსიის წინასწარ შემუშავებული წესებით. 4. დისკუსიის ყველა მონაწილისათვის აზრის გამოთქმის უფლებისა და საშუალების მიცემა. ხშირად დისკუსიის ზოგიერთი მონაწილე იჭერს დომინანტურ პოზიციას და სხვებს აზრის გამოთქმის საშუალება აღარ ეძლევათ. ეს განსაკუთრებით მოქმედებს გაუბედავ მოსწავლეებზე. ამგვარი ვითარების თავიდან აცილება მასწავლებელს შეუძლია მონაწილეთა გამოსვლების რეგლამენტირებით. მაგალითად, აზრის გამოთქმისათვის ფიქსირებული დროის განსაზღვრა ან დამატებითი კომენტარის გაკეთებისათვის საშუალების მიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ყველა მონაწილე გამოხატავს საკუთარ პოზიციას.

5. სადისკუსიო საკითხის სწორად შერჩევა. სადისკუსიოდ უნდა შეირჩეს ისეთი საკითხი, რომლის ირგვლივაც განსხვავებული თვალსაზრისები შეიძლება არსებობდეს ან დაისვას ისეთ პრობლემა, რომლის გადაჭრის ალტერნატიული გზები არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში დისკუსია შემეცნებით ინტერესს დაუკარგავს მოსწავლეებს. დისკუსიის უმთავრესი ფუნქცია შემეცნებითი ინტერესის სტიმულირებაა. მაგრამ ამასთან ერთად მას აქვს სასწავლო, განმავითარებელი, აღმზრდელობითი და საკორექციო ფუნქციაც. ეს არის მართული შემეცნებითი კამათი, რომლის შედეგიც შეიძლება არ იყოს ამა თუ იმ თვალსაზრისის ჭეშმარიტებისა თუ სამართლიანობის დადგენა, მაგრამ თავად კამათი ყოველთვის ზრდის ინტერესს საკითხის, პრობლემის მიმართ, სადიუკი საკითხში უფრო კარგად გარკვევის სურვილს. დისკუსია მოსწავლეს ეხმარება ცოდნის განმტკიცებაში,

სისტემატიზაციასა და ორგანიზებაში. მასწავლებელი, თავის მხრივ, იღებს სანდო ინფორმაციას იმის შესახებ, რამდენად საფუძვლიანია მოსწავლეთა ცოდნა საკითხის შესახებ, მას ეძლევა შესაძლებლობა დაუკვირდეს თითოეული მოსწავლის თავისებურებებს: აზროვნების წესს, ხასიათს, ტემპერამენტს, მეხსიერებას, ემოციების მართვის უნარს და სხვ.

როგორც ზემოთ ითქვა, დისკუსიის ბევრი სახეობა არსებობს. ამჯერად წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს: იმის მიხედვით, რა მასალაა შერჩეული სადისკუსიოდ და რა მიზანს ვუსახავთ დისკუსიის მონაწილეებს, შეიძლება შემდეგი როლების შერჩევა და განაწილება:

წამყვანი – ეკისრება დისკუსიის ორგანიზებისა და წარმართვის ფუნქცია. ის წინასწარ შეისწავლის აუდიტორიის ინტერესებსა და შესაძლებლობებს, განსაზღვრავს სადისკუსიო/პრობლემური საკითხის არეალს, რომ დისკუსიამ არ შეიცვალოს მიმართულება, აკონტროლებს მონაწილეთა მიერ დისკუსიის წესების დაცვას. ამასთან, ის ნეიტრალურია, არა აქვს უფლება, გამოხატოს საკუთარი პოზიცია რომელიმე თვალსაზრისის მხარდაჭერით.

- ოპონენტი – ეძებს მოსაზრებებში სუსტ წერტილებს და სთავაზობს თანაკლასელებს რჩევებს.
- ლოგიკოსი – ავლენს მონაწილეთა მსჯელობებში წინააღმდეგობრივობებსა და ლოგიკურ შეცდომებს.
- ფსიქოლოგი – პასუხისმგებელია თბილი და კონსტრუქციული ურთიერთობების შენარჩუნებაზე.
- ექსპერტი – აფასებს დისკუსიის პროდუქტიულობას, თითოეული მონაწილის წვლილს დისკუსიაში.

შემთხვევის ანალიზი/შესწავლა

შემთხვევის ანალიზის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეები მსჯელობენ პრაქტიკიდან მოპოვებულ/ცხოვრებისეულ შემთხვევებზე და ჯგუფური დისკუსიით იძენენ უნარს, ეძებონ ალტერნატიული გადაწყვეტილებები, დაასაბუთონ მათი მართებულობა და საჭიროება და შეაჯერონ რეალობასთან. წესისამებრ, შემთხვევების განხილვა ხდება პატარა ჯგუფებში (ოთხიდან ექვს კაცამდე), რომლებიც „საქმის მასალებს“ ეცნობიან, შეიმუშავენ წინადადებებს და მათ აუდიტორიას წარუდგენენ. ამ დროს მოსწავლეები სწავლობენ ინფორმაციის შეკრებას, კითხვების დასმას, მასალის შეფასებას, ალტერნატივების ჩამოყალიბებას, გადაწყვეტილების მიღებას და სხვ. დიდაქტიკურად სწორად წარმართული შემთხვევის ანალიზის დროს გამოყენებულია სხვადასხვა თვალსაზრისი მასალა – ტაბულები, დიაგრამები, ფოტოსურათები, ფილმები, კარიკატურები და სხვ.

შემთხვევის ანალიზზე მუშაობის ფაზები შემთხვევის ანალიზზე მუშაობის ექვსი ფაზა გამოიყოფა, რომელთა თანამიმდევრობა, თითოეული ფაზის დროს განსახორციელებული აქტივობა და მიზანი ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია წარმოდგენილი.

შემთხვევის ანალიზის ზემოთ წარმოდგენილი სტრუქტურა გამოხატავს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ტიპურ მიმდინარეობას, თუმცა ამ პროცესის ცალკეული ფაზა შეიძლება როგორც გამორჩეულად სწრაფად, ასევე გამორჩეულად ნელა მიმდინარეობდეს ან საერთოდ გამოტოვებულ იქნეს მეთოდის ამა თუ იმ ვარიანტის შემთხვევაში

ფაზები	ქმედება/აქტივობა	მიზანი
კონფორტაცია შემთხვევასთან	შემთხვევის გაცნობა	მოსწავლეები ჩასწვდნენ აღწერილ სიტუაციას და მასში მიღებულ გადაწყვეტილებას
მუშაობა ინფორმაციაზე	სიტუაციის გაანალიზება და/ან დამატებითი ინფორმაციის მოძიება	მოსწავლეები აანალიზებენ და აფასებენ მოცემულ ინფორმაციას და მოიპოვებენ დამატებით ინფორმაციას პრობლემის უკეთ გადაჭრის მიზნით
დისკუსია ჯგუფის შიგნით	პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების შემუშავება, თავის მოყრა და თითოეული მათგანის ძლიერ, სუსტ მხარეებსა და შედეგებზე მსჯელობა	მოსწავლეებს უვითარდებათ შემოქმედებითი აზროვნება
შეთანხმება ჯგუფის შიგნით	ჯგუფში დისკუსიის შემდეგ შემოთავაზებული ალტერნატივებიდან საუკეთესოს არჩევა	მოსწავლეებს უვითარდებათ კამათისა და შეფასების უნარი
დისპუტი მთელი კლასის მონაწილეობით	ჯგუფებში მიღებული გადაწყვეტილების კლასისთვის გაცნობა, მიღებული გადაწყვეტილების მართებულობის დასაბუთება და ხელახალი დისკუსია მთელი კლასის მონაწილეობით	მოსწავლეებს უვითარდებათ არგუმენტირებულად დასაბუთების უნარი
შედარება	ჯგუფების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედარება შემთხვევაში მოცემულ/რეალურად მიღებულ გადაწყვეტილებასთან და რეკომენდაციების შემუშავება	მოსწავლეებს უვითარდებათ რეფლექსიისა და ტრანსფერის უნარი

შემთხვევის ანალიზის ზემოთ წარმოდგენილი სტრუქტურა გამოხატავს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ტიპურ მიმდინარეობას, თუმცა ამ პროცესის ცალკეული ფაზა შეიძლება როგორც გამორჩეულად სწრაფად, ასევე გამორჩეულად ნელა მიმდინარეობდეს ან საერთოდ გამოტოვებულ იქნეს მეთოდის ამა თუ იმ ვარიანტის შემთხვევაში.

გონებრივი იერიში

გონებრივი იერიში არის ახალი იდეების ძიების ერთ-ერთი მოხერხებული მეთოდი. ის, მოსწავლის შემოქმედებითი უნარების სტიმულირების გზით ქმნის პრობლემის ან კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი პირველად არასაგანმანათლებლო სივრცეში გამოიკვეთა, იგი აქტიურად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. გონებრივი იერიშის დროს მოსწავლეები თამამად, წინაპირობების გარეშე გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, რომელთა თავმოყრა ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ხდება. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლეთა აქტიურობის ამაღლება და მაქსიმალური ჩართულობის მიღწევა. ამასთან ეს არის გარკვეული ვარჯიში საკუთარი აზრის მოკლედ და სწრაფად ფორმულირებაში. მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების ჯგუფებში გაერთიანებას, შეკრებილი იდეების ერთობლივ განსჯასა და განვითარებას.

გონებრივი იერიში წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთ მეთოდს, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა კოგნიტური და შემოქმედებითი გააქტიურებისკენ. ის მოხერხებულია სკოლის ნებისმიერ საფეხურზე გამოყენებისთვის, რადგან შეგვიძლია, ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით დავგეგმოთ გონებრივი იერიშის ამოცანა და კითხვები, და კრიტიკული აზროვნების გამჭოლ კომპეტენციის განვითარებაზე ნაბიჯ-ნაბიჯ ვიზრუნოთ.

სამზადისი

თავდაპირველად უნდა განვსაზღვროთ გაკვეთილის თემა და მიზანი, დავაკონკრეტოთ სასწავლო ამოცანები. შემდეგ იგეგმება თავად აქტივობა, თითოეული ეტაპისათვის გათვალისწინებული დრო. მნიშვნელოვანია, შევარჩიოთ კითხვები გონებრივი იერიშის წარმართვისთვის და ასევე, დავამუშაოთ კრიტერიუმები საუკეთესო წინადადებების შესაფასებლად და შესარჩევად.

წარმართვის წესები

გაკვეთილზე სამუშაო პროცესის ორგანიზების ერთი ვარიანტი შეიძლება კლასის 2 ჯგუფად გაყოფა იყოს. ერთი ჯგუფი აყალიბებს იდეებსა და ვარაუდებს, ანუ ქმნის იდეების ბანკს. მეორე ჯგუფი ახდენს ამ იდეების ანალიზს, ავსებს და ავითარებს შერჩეულ იდეებს. შესაბამისად, ჯგუფები თანმიმდევრულად მუშაობენ.

შესაძლოა მივმართოთ გონებრივი იერიშის ორგანიზების სხვა ფორმას, როცა მთელი კლასი ჯერ იდეების გენერირებაშია ჩართული და შემდეგ მათ განხილვაშიც ყველა მონაწილეობს.

არსებობს ოდნავ განსხვავებული პრაქტიკაც, როცა მოსწავლეები ბარათებზე აფიქსირებენ თავიანთ იდეებს და მერე ხდება განხილვა, ან ეს ბარათები მოძრაობს ჯგუფებში და ხდება მათი ანალიზი, შევსება;

გონებრივი იერიშის წარმართვის ეტაპები

გონებრივი იერიშის ნებისმიერი ფორმა ანალოგიურ ეტაპებს მოიცავს.

იდეების ბანკის შექმნა, რასაც დაახლოებით 10 წუთი დაეთმობა. ამ ეტაპზე ხდება შესაძლო გადაწყვეტილებების მოკრება. რაც მეტი და მრავალფეროვანი იქნება ეს ჩამონათვალი, მით უკეთესი. მთავარია, მოსწავლეები გახსნილად გამოთქვამდნენ თავიანთ იდეებს, თუნდაც ისინი არარეალისტურად გამოიყურებოდეს. ამ ეტაპზე კრიტიკა და კომენტარები დაუშვებელია. ყველა წინადადების დატანა ხდება დაფაზე თუ ფლიპჩარტზე. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ განცდა, რომ თითოეულ მათგანს შეუძლია წვლილის შეტანა იდეების ბანკში.

იდეების ანალიზი. ამ ეტაპს გაკვეთილის დიდი ნაწილი დაეთმობა. ხდება ყველა მოსაზრების ერთობლივი განხილვა, ანალიზი, კრიტიკა. სასურველია, ყველას წინადადებაში ვიპოვოთ რაიმე მნიშვნელოვანი, განვიხილოთ მისი გამოყენების შესაძლებლობა განსხვავებულ სიტუაციაში. შესაძლებელია ამისათვის საჭირო გახდეს მისი კორექტირება, სრულყოფა.

შემდეგი შედეგების დამუშავებაა. ეს ეტაპი შეიძლება სხვა გაკვეთილზეც წარიმართოს. ყველა წინადადებიდან და იდეიდან ხდება ყველაზე საინტერესოს და პრაქტიკულის შერჩევა და ჩვენი თავდაპირველი პრობლემისა თუ ამოცანის გადასაწყვეტად გამთლიანება.

რეკომენდაციები

გონებრივი იერიშის გამოყენებისთვის აუცილებელია შეირჩეს თემა და ამოცანები, რომელიც დააინტერესებს მოსწავლეებს და განავითარებს მათ კვლევით პოტენციალს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პრობლემას, ამოცანას ჰქონდეს გადაჭრის მრავალგვარი შესაძლებლობა.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ დაწყებით საფეხურზე ამ მეთოდის გამოყენების დროს ბავშვები ხშირად ერთმანეთის იდეებს სხვადასხვა ფორმულირებით იმეორებენ. საჭიროა ეს თავიდან ავირიდოთ და პროცესი სწორ კალაპოტში მოვაქციოთ, მივუთითოთ მათ, რომ რაიმე განსხვავებული შემოგვთავაზონ.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები პასიურობენ, შეიძლება პირადად ჩავეკითხოთ, სასურველია, უფრო აქტიური მოსწავლის შერჩევა.

გონებრივი იერიშის მეთოდის წარუმატებლობის მიზეზი შეიძლება იყოს უინტერესო თემა, როცა ის ბავშვებს არ აღუძრავს ინტერესს და ან ის, რომ მათ არ აქვთ იდეების თავისუფლად გამოთქმის გამოცდილება. ამ მეთოდთან გაშინაურების შემდეგ ის მოსწავლეების ერთ-ერთი საყვარელი აქტივობა ხდება.

ძლიერი და სუსტი მხარეები

გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებას თავისი უპირატესობები აქვს. ის ხელს უწყობს:

- შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას;
- კომუნიკაციის უნარების განვითარებას. მოსწავლეები არამარტო თავიანთი მოსაზრებების ზუსტად და მკაფიოდ გამოთქმას სწავლობენ, არამედ სწავლობენ თანაკლასელთა მოსმენას, არ აწყვეტინებენ მათ აზრს და ცდილობენ მაქსიმალურად ჩაწვდნენ მათი იდეების არსს.
- ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარების გაძლიერებას;
- პოზიტიური, ადეკვატური კრიტიკის მიმღებლობას;

კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ არ დგას მოსწავლეთა წინასწარ მომზადების საჭიროება.

მეთოდის სუსტ მხარედ მიჩნეულია ის, რომ მისი გამოყენება არ არის მიზანშეწონილი რთულ სადისკუსიო საკითხებზე მსჯელობისას. პროცესის მართვა საკმაოდ რთულია და წესების ცოდნასა და დაცვას მოითხოვს.

გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა, რომ მოსწავლეებთან მოვახდინოთ იმის დემონსტრირება, რომ ერთსა და იმავე ამოცანას შეიძლება გადაწყვეტის რამდენიმე გზა მოვუძებნოთ და თითოეული მათგანი იყოს სწორი და შედეგიანი. უბრალოდ ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტულ მოცემულობაზე. ეს მეთოდები ხელს უწყობს სტერეოტიპების მსხვრევას, სრულიად ახალი, თამამი იდეების გენერირებას; ყველას თანაბრად ეძლევა ჩართულობისა და გამოხატვის შესაძლებლობა.

იდეების სახელოსნო

აქტივობის „იდეების სახელოსნოს“ სამუშაოს ცენტრში დგას პრობლემების გადაჭრის განვითარება ფანტაზიის გამოყენებით და საკუთარი შედეგების განხორციელება. ამ სტრატეგიის გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლეებს შეძლონ იდეებისა და პრობლემების გადაჭრის პოტენციალის მოპოვება და განვითარება. მიზნები: გააცნობიერონ ის ფაქტორები, რომლებიც გვეხმარება იდეების დაბადებაში; გააცნობიერონ, რომ ახალი იდეების დაბადებას და განვითარებას ხელს უწყობს აქტიური ძიება; შეძლონ დამოუკიდებლად საკუთარი იდეის განვითარება.

როგორ? მოსწავლეები აკეთებენ პრობლემის, საკითხის კრიტიკულ აღწერას / ანალიზს. უნდა განვითარდეს კონკრეტული იდეები, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოთავაზებები უნდა იყოს გამოსადეგი და აზრიანი, მაგრამ მიზანშეწონილობა, განხორციელებადობა და ფინანსური ხელმისაწვდომობა ამ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული. მოსწავლეებს იდეები გადააქვთ ბარათებზე, მასწავლებელი აგროვებს ბარათებს და აკრავს დაფაზე. ჯგუფები გაეცნობიან ერთმანეთის ნამუშევრებს. მხოლოდ მას შემდეგ მცირე ჯგუფები განიხილავენ თვალსაზრისებს ტექნიკური განხორციელებადობის და მიზანშეწონილობის კუთხით. რეფლექსიის ფაზაზე ხდება გადაწყვეტილებების გაანალიზება, მცირე ჯგუფები წარადგენენ კლასის წინაშე საკუთარ კონცეფციებს.

6. დანართი

საქართველოს კონსტიტუცია (ამონარიდი)

მუხლი 17. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები

1. აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გავრცელოს ინფორმაცია.
3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.
4. ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.
5. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.
6. კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისაგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან.

მუხლი 32. საქართველოს მოქალაქეობა

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა.
2. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით ან ნატურალიზაციით. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი, სხვა სახელმწიფოს მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პირობები და წესი და საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის ფლობის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.
3. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.
4. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გამევება დაუშვებელია.
5. საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 33

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები

- 1.. საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.
- 2.. სახელმწიფო უფლებამოსილია კანონით დააწესოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.
- 3.. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით საქართველო თავშესაფარს აძლევს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.
- 4.. დაუშვებელია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების წინააღმდეგ პირის საქართველოდან გამევება ან ექსტრადიცია.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342552?publication=6>

(ამონარიდი)

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობის ძირითად პრინციპებს, ადგენს საქართველოს მოქალაქეობის სამართლებრივ მდგომარეობას და საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და შეწყვეტის საფუძვლებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) საქართველოს ტერიტორია – საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული ტერიტორია, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი საზღვაო და საჰაერო ხომალდები;
- ბ) საქართველოში ცხოვრება – პირის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა ამ კანონით განსაზღვრულ დროის მონაკვეთში;
- გ) საქართველოში უწყვეტად ცხოვრება – პირის საქართველოში ცხოვრება, თუ მას საქართველოს ტერიტორია წლის განმავლობაში ჯამში 90 დღეზე მეტი ვადით (ამ ვადაში არ ითვლება საქართველოს ტერიტორიის დატოვება სწავლის მიზნით 2 წლამდე ვადით და მკურნალობის მიზნით) არ დაუტოვებია. ამ კანონის მიზნებისათვის წელი ნიშნავს პერიოდს, რომელიც შედგება უწყვეტი 365 დღისაგან (ნაკიანი წელიწადის შემთხვევაში – 366 დღისაგან);
- დ) მოქალაქეობის შეცვლა – საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვება, გარდა საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებისა, ან საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;
- ე) არასრულწლოვანი პირი – 18 წლამდე ასაკის პირი;
- ვ) უცნობი მშობელი – მშობელი, რომლის ვინაობა ან/და მოქალაქეობრივი კუთვნილება უცნობია;
- ზ) საქართველოს საპატიო მოქალაქეობა – საქართველოსთან უცხოელის კავშირი, რომელიც საქართველოს მოქალაქისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს არ წარმოშობს;
- თ) მხარდაჭერის მიმღები – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით განსაზღვრული პირები;
- ი) ოჯახის წევრი – საქართველოს მოქალაქის ან უცხოელის მეუღლე, შვილი, მშობელი, მშვილებელი, ნაშვილები, და, ძმა, პაპა, ბებია, შვილიშვილი, საქართველოს მოქალაქის ან უცხოელის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ ან/და სრულ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი, მხარდაჭერის მიმღები ან შრომისუუნარო პირი;
- კ) წინაპარი – პირის აღმავალი შტოს ხუთი თაობის წარმომადგენელი.

მუხლი 3. საქართველოს მოქალაქეობა

1. საქართველოს მოქალაქეობა არის საქართველოსთან პირის სამართლებრივი კავშირი.
2. საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა.
3. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე მხოლოდ ამ კანონის მე-17 და 21 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
4. არავის არ შეიძლება შეეზღუდოს მოქალაქეობის შეცვლის უფლება, გარდა ამ კანონითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5. საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.

მუხლი 4. საქართველოს მოქალაქეობის სამართლებრივი მდგომარეობა

1. საქართველოს მოქალაქეები კანონის წინაშე თანასწორი არიან განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და

სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და ნებისმიერი სხვა ნიშნისა.

2. საქართველოს მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და საერთაშორისო სამართლით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები.

3. საქართველოს მოქალაქეები ვალდებული არიან, დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები, მისი ტერიტორიული მთლიანობა და იყვნენ საქართველოს ინტერესების ერთგული.

4. საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს საქართველოს ტერიტორიაზე და მისი ფარგლების გარეთ იცავს საქართველო.

მუხლი 5. მოქალაქეობის შენარჩუნება

1. საქართველოს მოქალაქის უცხოელზე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირზე დაქორწინება ან მასთან განქორწინება არ იწვევს მეუღლეთა მოქალაქეობის შეცვლას.

2. ერთ-ერთი მეუღლის მიერ მოქალაქეობის შეცვლა არ იწვევს მეორე მეუღლის მოქალაქეობის შეცვლას.

3. მეუღლეთა განქორწინება არ იწვევს მათი შვილების მოქალაქეობის შეცვლას.

4. ერთ-ერთი ან ორივე მშობლის მიერ მოქალაქეობის შეცვლა არ იწვევს მისი/მათი შვილების მოქალაქეობის შეცვლას.

5. სხვა ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეების მიერ საქართველოს მოქალაქეობის მქონე არასრულწლოვანი პირის შვილად აყვანა არ იწვევს არასრულწლოვანი პირის მოქალაქეობის შეცვლას.

6. საქართველოს მოქალაქის საქართველოს ფარგლების გარეთ ცხოვრება არ იწვევს საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტას.

მუხლი 6. არასრულწლოვანი პირის და მხარდაჭერის მიმღების მოქალაქეობის შეცვლა

1. არასრულწლოვანი პირის მოქალაქეობის შეცვლა (გარდა საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისა) დასაშვებია მისი მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე.

2. 14 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი პირის მოქალაქეობის შეცვლა (გარდა საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისა) დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით.

3. მხარდაჭერის მიმღების (მათ შორის, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირის – თუ იგი მხარდაჭერის მიმღებია) მოქალაქეობის შეცვლა (გარდა საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისა) დასაშვებია მხარდამჭერის თანხმობით, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 7. საქართველოს საპატიო მოქალაქეობა უცხოელს, რომელსაც თავისი სამეცნიერო ან/და საზოგადოებრივი საქმიანობით განსაკუთრებული დამსახურება აქვს საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლებითაც დაინტერესებულია საქართველო, და მისთვის საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს, შეიძლება მიენიჭოს საქართველოს საპატიო მოქალაქეობა მისი თანხმობით.

მუხლი 8. საქართველოს მოქალაქის ფიცი

პირი, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა ნატურალიზაციით მოიპოვა, გარდა ამ კანონის მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ქართულ ენაზე დებს და ხელმოწერით ადასტურებს საქართველოს ერთგულების ფიცს: „მე, (სახელი, გვარი), ვხდები საქართველოს მოქალაქე და ვფიცავ, ერთგულად ვემსახურო საქართველოს, დავიცვა მისი კონსტიტუცია და ყველა სხვა კანონი, საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა; საქართველოს სახელმწიფო ენად ვაღიარებ ქართულს, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურს; ვალდებულებას ვიღებ, პატივი ვცე საქართველოს კულტურასა და ეროვნულ ტრადიციებს.“.

თავი II

საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება

მუხლი 9. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების ფორმები

1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება:

- ა) დაბადებით;
- ბ) ნატურალიზაციით.

2. ნატურალიზაცია ხორციელდება საქართველოს **პრეზიდენტის მიერ** საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებით.

3. ნატურალიზაციის სახეებია:

- ა) საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება;
- გ) საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება;
- დ) საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება.

მუხლი 10. საქართველოს მოქალაქეობის დაბადებით მოპოვება

საქართველოს მოქალაქეობას დაბადებით მოიპოვებს:

- ა) პირი, რომლის დაბადების მომენტისათვის მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა;
- ბ) საქართველოს ტერიტორიაზე ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად (სუროგაციით) დაბადებული პირი, თუ მისი არცერთი მშობლის მოქალაქეობის ქვეყანა მას საკუთარ მოქალაქედ არ მიიჩნევს;
- გ) საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დაიბადა;
- დ) საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული პირი, რომლის ერთ-ერთი მშობელი საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მეორე მშობელი უცნობია.

მუხლი 11. უცნობ მშობელთა შვილის მოქალაქეობა

არასრულწლოვანი პირი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და რომლის ორივე მშობელი უცნობია, საქართველოს მოქალაქედ მიიჩნევა, ვიდრე საწინააღმდეგო არ დადგინდება.

მუხლი 12. სრულწლოვანი პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება

1. სრულწლოვან პირს საქართველოს მოქალაქეობა ჩვეულებრივი წესით მიენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 10 წლის განმავლობაში;
- ბ) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს სახელმწიფო ენა;
- გ) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები;
- დ) საქართველოში მუშაობს, ან/და საქართველოში აქვს უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ან საქართველოს საწარმოში ფლობს წილს ან აქციებს.

2' ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„დ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები არ ვრცელდება მხარდაჭერის მიმღებისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭებაზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები არ ვრცელდება იმ პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭებაზე, რომელსაც აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის იმის შემოწმებას, აკმაყოფილებს თუ არა იგი აღნიშნული ქვეპუნქტების მოთხოვნებს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება ლტოლვილის სტატუსის მქონე პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭებაზე.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო ენისა და საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის ფარგლები დგინდება ამ კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დებულებით.

მუხლი 13. არასრულწლოვანი პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება

1. არასრულწლოვან პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა დაბადებით არ მოუპოვებია, საქართველოს მოქალაქეობა ჩვეულებრივი წესით მიენიჭება, თუ მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა.

2. არასრულწლოვან პირს საქართველოს მოქალაქეობა ჩვეულებრივი წესით მიენიჭება, თუ იგი საქართველოს მოქალაქემ შვილად აიყვანა.

3. საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებულ ლტოლვილის სტატუსის მქონე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვან პირს, რომელიც საქართველოში 5 წლის განმავლობაში ცხოვრობს, საქართველოს მოქალაქეობა ჩვეულებრივი წესით მიენიჭება ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების შეუმოწმებლად.

მუხლი 14. საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება

1. საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებულ პირს, რომელიც კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 5 წლის განმავლობაში, საქართველოს მოქალაქეობა გამარტივებული წესით მიენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს.

2. ამ კანონის მე-12 მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭებაზე. რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირს საქართველოს მოქალაქეობა გამარტივებული წესით მიენიჭება მოქალაქეობის საკითხთა კომისიის (შემდგომ – კომისია) ნორმატიული აქტით – კომისიის დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

მუხლი 15. სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება

სხვა ქვეყნის მოქალაქეს უფლება აქვს, მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით. სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, გარდა საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებისა, ძალაში შედის საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ამ პირის სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებისთანავე.

მუხლი 16. საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვებაზე უარის თქმის საფუძვლები

1. პირი საქართველოს მოქალაქეობას ნატურალიზაციით ვერ მოიპოვებს, თუ:

- ა) მას ჩადენილი აქვს საერთაშორისო დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ;
- ბ) იგი მონაწილეობდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადამიანის, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში;
- გ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეუწონელია მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება;
- დ) იგი იძებნება საქართველოს ან სხვა ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების ან საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (ინტერპოლის) მიერ ან/და მის მიმართ მიმდინარეობს საექსტრადიციო ან გამეფების პროცედურა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც:

- ა) პირის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას;
- ბ) არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე:

ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან;

ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან;

ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან;

ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან).

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების შესახებ ინფორმაცია საქმის განმხილველ ორგანოს ისეთი ფორმით უნდა მიეწოდოს, რომ ზიანი არ მიაღგეს სახელმწიფო საიდუმლოებას, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებს.

4. საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვებაზე უარის თქმის ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

მუხლი 17. საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება

1. საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით შეიძლება მიანიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ინტერესების შეფასებისას, მათ შორის, მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები:

ა) სხვა ქვეყნის მოქალაქეს საქართველო საკუთარ სამშობლოდ მიაჩნია და იგი ან მისი წინაპარი არის:

ა.ა) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ან ამ ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი;

ა.ბ) სხვადასხვა დროს პოლიტიკური მოსაზრებით ან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ემიგრაციაში წასული პირი;

ბ) სხვა ქვეყნის მოქალაქე საქართველოში ახორციელებს ისეთ ინვესტიციას ან მან საქართველოში განახორციელა ისეთი ინვესტიცია, რომლითაც სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ან შეიტანა;

გ) სხვა ქვეყნის მოქალაქე წარმატებულია სპორტის, მეცნიერების ან/და ხელოვნების სფეროში და მას სურს მოღვაწეობა საქართველოს სახელით განაგრძოს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა პირმა საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებისათვის დადგენილ ფარგლებში უნდა იცოდეს:

ა) საქართველოს სახელმწიფო ენა;

ბ) საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებაზე, რომელსაც აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის იმის შემოწმებას, აკმაყოფილებს თუ არა იგი აღნიშნული ქვეპუნქტების მოთხოვნას.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინვესტიციის განხორციელების ფაქტის დადასტურების მიზნით საქმის განმხილველი ორგანო გამოითხოვს ინფორმაციას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოსგან.

მუხლი 18. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება

1. საქართველოს მოქალაქეობა აღდგენის წესით მიენიჭება პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა:

ა) არამართლზომიერად;

ბ) საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით;

გ) მშობლის/მშობლების არჩევანის შედეგად.

2. პირს საქართველოს მოქალაქეობა აღდგენის წესით მიენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს სახელმწიფო ენა;

ბ) არ არსებობს ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

3. საქართველოს მოქალაქეობა არამართლზომიერად შეწყვეტილად მიიჩნევა, თუ პირი საქართველოს მოქალაქეობას ამ კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის გარეშე დაკარგავს.

4. საქართველოს მოქალაქეობის არამართლზომიერად შეწყვეტის საფუძვლით საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭებისას პირზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

5. მშობლის/მშობლების არჩევანის შედეგად საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლით საქართველოს მოქალაქეობა აღდგენის წესით პირს შეიძლება მიენიჭოს მის მიერ სრულწლოვანების მიღწევისას.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭებაზე, რომელსაც აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის იმის შემოწმებას, აკმაყოფილებს თუ არა იგი აღნიშნული ქვეპუნქტის მოთხოვნას.

თავი III

საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა

მუხლი 19. საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის სახეები

საქართველოს მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდება:

ა) საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვით;

გ) ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 20. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა

1. საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის უფლება.

2. საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე, თუ:

ა) მას შეუსრულებელი აქვს საქართველოს წინაშე სამხედრო ან სხვა ვალდებულება;

ბ) იგი ბრალდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ან არსებობს მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომელიც უნდა აღსრულდეს.

3. საქართველოს მოქალაქის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის:

ა) საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ იმ დოკუმენტის მიღებისთანავე, რომელიც ადასტურებს პირის მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას;

ბ) მისი ხელმოწერიდან მე-15 დღეს, თუ პირს წარდგენილი აქვს სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ საქართველოს მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შემთხვევაში აუცილებლად მიენიჭება ამ ქვეყნის მოქალაქეობა.

მუხლი 21. საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა

1. საქართველოს მოქალაქე დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ:

ა) საქართველოს კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე შევა სხვა ქვეყნის სამხედრო სამსახურში ან პოლიციის ან უშიშროების სამსახურში;

ბ) საქართველოს მოქალაქეობას ყალბი დოკუმენტების წარდგენით მოიპოვებს;

გ) მოიპოვებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, გარდა ამ კანონის 21' მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება საქართველოს იმ მოქალაქეზე, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით მიენიჭა ან რომელმაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებისას საქართველოს მოქალაქეობა შეინარჩუნა და რომელიც თავისი მოქალაქეობის ქვეყნის სამხედრო სამსახურში ან პოლიციის სამსახურში შევა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება საქართველოს იმ მოქალაქეზე, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით მიენიჭა.

4. საქართველოს მოქალაქემ შეიძლება არ დაკარგოს საქართველოს მოქალაქეობა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით, თუ ეს საფუძველი მის გამოვლენამდე აღმოიფხვრა.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს კომპეტენტური ორგანოები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 21' სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება

1. სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქე შეინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ იგი აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებამდე საქართველოს სახელმწიფოდან მიიღებს თანხმობას საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებაზე.

2. სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებაზე თანხმობა გაიცემა, თუ საქართველოს მოქალაქის საქართველოსთან კავშირი სარწმუნოდ იქნება მიჩნეული.

3. არასრულწლოვანს, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მოიპოვა დაბადებით, საქართველოს მოქალაქეობა უნარჩუნდება დაბადებიდან 18 წლის ასაკის მიღწევამდე. აღნიშნულ ვადაში არასრულწლოვნისთვის მოქალაქეობის შენარჩუნების შესახებ განცხადების წარუდგენლობის შემთხვევაში მას შეუწყდება საქართველოს მოქალაქეობა. არასრულწლოვნისთვის საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება დასაშვებია მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. ერთ-ერთი მშობლის განცხადების წარდგენის შემთხვევაში არასრულწლოვნისთვის საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება დასაშვებია მეორე მშობლის თანხმობით.

4. სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქე ვერ შეინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ მისთვის საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება არ შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებს.

თავი IV

საქართველოს მოქალაქეობის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესი

მუხლი 22. საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე განცხადების წარდგენა

1. საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე განცხადებას დაინტერესებული პირი პირადად ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მეშვეობით წარუდგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

2. საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე არასრულწლოვანი პირის განცხადებას წარადგენს მისი კანონიერი წარმომადგენელი. 2'

საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე მხარდაჭერის მიმღების განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ მხარდამჭერის დახმარებით, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

3. პირი ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადებას წარუდგენს სააგენტოს ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

მუხლი 23. საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ წარდგინება

საქართველოს მოქალაქის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლის აღმოჩენისას სახელმწიფო ორგანო საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ წარდგინებით მიმართავს სააგენტოს.

მუხლი 24. საქართველოს მოქალაქეობის საკითხის განხილვა

1. საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვებისა და საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების საკითხებზე განცხადებას განიხილავს სააგენტო კომისიის დახმარებით.

2. კომისია შედგება 6 წევრისაგან, რომლებსაც ნიშნავს სააგენტოს თავმჯდომარე. კომისიის 2 წევრი (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარე) ინიშნება სააგენტოს თანამშრომლებისაგან, 2 წევრი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და 2 წევრი – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოსამსახურეებისაგან, ამ უწყებების წარდგინებით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

3. თუ კომისიის წევრი სამსახურიდან თავისუფლდება იმ ორგანიზაციიდან, რომელსაც კომისიაში წარმოადგენს, ეს ავტომატურად იწვევს კომისიის წევრის სტატუსის შეწყვეტას.

4. კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის მიერ დამტკიცებული დებულებით.

5. კომისიას ჰყავს სამდივნო, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას. სამდივნოს ფუნქციას ასრულებს სააგენტოს შესაბამისი სამსახური.

6. კომისია უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების (გარდა ამ კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირებისათვის საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებისა) მსურველ პირთა მიერ საქართველოს სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის დონის შემოწმებას, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების და სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების პირობების არსებობის დადგენას. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაბამის დასკვნას ამზადებს სააგენტო.

7. საქართველოს მოქალაქეობის დაბადებით მოპოვების შესახებ, საქართველოს მოქალაქეობის დადგენის შესახებ და საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ განცხადებასა და წარდგინებას განიხილავს და შესაბამის დასკვნას ამზადებს სააგენტო.

8. სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებაზე თანხმობის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი ამ კანონით დადგენილი წესით.

9. საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე, საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე, საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე, საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე, საქართველოს მოქალაქეობის სპეციალური წესით მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე, საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების თაობაზე და საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე სააგენტოს დასკვნები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს.

10. თუ სააგენტოსთვის საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ წარდგინების გარეშე გახდება ცნობილი საქართველოს მოქალაქის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლის არსებობა, სააგენტო განიხილავს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საკითხს და შესაბამის მასალებს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს.

მუხლი 25. საქართველოს მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტა

1. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების, შენარჩუნების, მინიჭებაზე უარის თქმის ან შეწყვეტის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი.
2. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების, შენარჩუნების ან შეწყვეტის შესახებ განცხადებისა და საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ წარდგინების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას, ხოლო ამ განცხადებასა და წარდგინებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – განკარგულებას.

მუხლი 26. საქართველოს მოქალაქეობის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა

1. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებისა და წარდგინების განხილვისა და გადაწყვეტის ვადა 3 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.
2. საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვების შესახებ განცხადებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს, იმავე საფუძველით მიმართოს სააგენტოს ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 წლის შემდეგ.

მუხლი 27. მომსახურების საფასური

1. საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე განცხადების წარდგენისას განმცხადებელი იხდის მომსახურების საფასურს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ოდენობითა და წესით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის შემთხვევაში პირს დაუბრუნდება შესაბამისი მომსახურების საფასური, თუ მას საქართველოს მოქალაქეობა არამართლზომიერად შეუწყდა.

მუხლი 28. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებისა და წარდგინების განხილვის წესი

1. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების ან შეწყვეტის შესახებ განცხადებისა და საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ წარდგინების განხილვის, აგრეთვე საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მინიჭების წესი განისაზღვრება კომისიის დადგენილებით დამტკიცებული დებულებით.
2. განმცხადებელთან კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ელექტრონულად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.
4. სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებად ჩაითვლება ასევე სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.
5. სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით გამოცემის შემთხვევაში ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ვადების ათვლა იწყება მისი გამოქვეყნებისთანავე.


მუხლი 29. საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გარდა საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებისა, არ ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას. პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებისას მოპასუხეა საქართველოს პრეზიდენტი.
2. საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე სააგენტოს მიერ მიღებული დასკვნა/გადაწყვეტილება, რომელიც დამოუკიდებლად წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელი

ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში (2014 – 2017) დამუშავდა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების კონცეპტუალური მოდელი, რომელთა დაუფლება საჭიროა დემოკრატიის კულტურაში ეფექტური მონაწილეობისათვის და კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებებში მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელი ერთხმად იქნა დამტკიცებული ევროპის განათლების მინისტრთა მიერ, ევროპის განათლების მინისტრთა მუდმივმოქმედი კონფერენციის სხდომაზე, რომელიც გაიმართა ბრიუსელში, 2016 წლის აპრილს.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელი გვთავაზობს იმ ყოვლისმომცველ კონცეპტუალურ კომპეტენციას ჩამონათვალს, რომელიც საჭიროა გამოიყენოს პირმა, თუ სურს, იყოს დემოკრატიისა და ინტერკულტურული ურთიერთობების თვალსაზრისით კომპეტენტური მოქალაქე. შესაბამისად, ეს კომპეტენციები მოქცეული უნდა იყოს განათლების სფეროს სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში, რათა მოხდეს მოსწავლეთა და სტუდენტთა აღჭურვა შესაბამისი კომპეტენციებით, მათ კომპეტენტურ და დემოკრატიულ საზოგადოებაში ეფექტურად მონაწილე მოქალაქეებად ჩამოყალიბების მიზნით. მოდელი მოიცავს 20 კომპეტენციას, რომელიც ოთხ დიდ ჯგუფად იყოფა. ესენია: ღირებულებები, დამოკიდებულებები, უნარები და ცოდნა და კრიტიკული გააზრება. აღნიშნული 20 კომპეტენცია დიაგრამის სახით არის მოცემული სურათზე.



ტერმინი „კომპეტენცია“ მოცემულ კონტექსტში არ გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც მას აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ანუ „უნარის“ სინონიმის სახით, არამედ ფსიქოლოგიურ რესურსებს უკავშირდება (როგორიცაა, დამოკიდებულებები, უნარები და ცოდნა), რომელთა მობილიზება და გამოყენებაც საჭიროა დემოკრატიულ და ინტერკულტურულ სიტუაციებთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და

გამოწვევებთან გასამკლავებლად, რაც გლობალური მოქალაქეობის საფუძვლებს წარმოადგენს.

კომპეტენციათა მოცემული მოდელის საფუძვლები და ამ კომპეტენციათა განსაზღვრის პროცესი დეტალურად არის აღწერილი ევროპის საბჭოს 2016 წლის პუბლიკაციაში: დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები: თანაცხოვრება კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებაში, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, www.coe.int/en/web/education/competences-for-democratic-culture.

ვრცელი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულებზე:

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო <https://rm.coe.int/rfcdc-v1-geo/1680983619>

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები [16808b391a \(coe.int\)](https://rm.coe.int/16808b391a)

მონაწილეობის კიბე (როჯერ ჰარტი)

სოციოლოგი როჯერ ჰარტი აღწერს მონაწილეობის რვა საფეხურიან კიბეს.

1.	მანიპულაცია-უფროსის მიერ ინიცირებული, სადაც ახალგაზრდა ვალდებულია ყოველგვარი გააზრების გარეშე შეასრულოს უფროსის დავალებები.
2.	დეკორაცია-უფროსის მიერ ინიცირებული, ახალგაზრდა იაზრებს მიზანს, მაგრამ წარმოდგენა არ აქვს თუ როგორ დაიგეგმოს და განვითარდეს მოვლენები.
3.	სიმბოლიზმი-უფროსის მიერ ინიცირება, ახალგაზრდის სავარაუდო ინფორმირება, მისი აზრის მინიმალური გათვალისწინებით.
4.	დანიშვნა და ინფორმირება-უფროსის მიერ ინიცირებული მოქმედება. ახალგაზრდა იღებს მონაწილეობას და ჩართულია გადაწყვეტილებების მიღებაში.
5.	შეთანხმება და ინფორმირება-უფროსი ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას, ახალგაზრდა ინფორმირებულია.
6.	უფროსების მიერ ინიცირება, გადაწყვეტილებების გაზიარება ახალგაზრდებისთვის
7.	ახალგაზრდის მიერ ინიცირება და მართვა. ახალგაზრდა იღებს გადაწყვეტილებას უფროსის მცირედი მონაწილეობით.
8.	ახალგაზრდების მიერ ინიცირება, გადაწყვეტილებების გაზიარება უფროსებისთვის- ახალგაზრდა და უფროსი ადამიანი ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს, როგორც თანასწორუფლებიანები.

როჯერ ჰარტი არის ავტორი ნაშრომისა, სახელწოდებით „ბავშვთა მონაწილეობა: ახალგაზრდა მოქალაქეების ჩართვა საზოგადოების განვითარებისა და გარემოს დაცვის ინიციატივაში, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) 1997 წ. – თეორია და პრაქტიკა“. ამ ნაშრომში აღწერილი მიდგომა იქცა მსოფლიოში ახალგაზრდებისა და მათ მოკავშირეთა გლობალური მოძრაობის სტიმულად, რომელიც ახალგაზრდების ჩართულობისა და მონაწილეობის ხელშეწყობას ემსახურება. იგი თქვენ, მასწავლებლებსა და მოსწავლეთა მშობლებს, უნიკალურ შესაძლებლობას გთავაზობთ: ნათლად დაინახოთ რამდენად უწყობთ ხელს გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობასა და ჩართულობას. აღმოჩნდა რომ, ძალიან ხშირად, ბავშვებს, სცენაზე, ღონისძიების ფარგლებში გამართული შეხვედრებისას, თუ თეატრალურ წარმოდგენებში, დეკორაციების სახით ვიყენებთ, ან, მაქსიმუმ, ამ უმცირესობათა ჩართვა პროცესებში სიმბოლურად წარმოებს, სინდისის დასამშვიდებლად. (<http://www.freechild.org/ladder.htm>)

მოსწავლეები ახდენენ საჭიროების იდენტიფიცირებას ან ადგენენ გეგმას. ისინი არწმუნებენ უფროსებს, რომ საჭიროა მათი მხარდაჭერა ან დაფინანსება. მოსწავლეები და უფროსები ერთად იღებენ გადაწყვეტილებას და ახორციელებენ მას.	8	მოსწავლეების მიერ ინიცირება, გადაწყვეტილებების განხილვა უფროსებისთვის
მოსწავლეებს აქვთ იდეა და აჟღერებენ მას. ისინი თავად იღებენ ინიციატივას და თავად ახორციელებენ საკუთარ გეგმებს.	7	მოსწავლეების მიერ ინიცირება და მართვა
იგეგმება სკოლაში ახალი ემოს შენება. მოსწავლეებს ეკითხებიან აზრს და მათ ასევე შეუძლიათ გადაწყვეტილება მიიღონ რამდენიმე დეტალთან დაკავშირებით.	6	უფროსების მიერ ინიცირება, გადაწყვეტილებების განხილვა მოსწავლეებისთვის
გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე, მოსწავლეებისგან რჩევას იღებენ უფროსები. უფროსები ითვალისწინებენ მათ მოსაზრებებსა და შემოთავაზებებს.	5	მოსწავლეებს უთანხმოებიდან ან აწვდიან მათ ინფორმაციას
სამოგადოებრივი სამუშაოს შესასრულებლად ორგანიზებულია მოსწავლეთა ჯგუფი, რომელთაც არ ეკითხებიან სურთ თუ არა ამ სამუშაოს შესრულება, თუმცა ისინი ინფორმირებული არიან მიზნების შესახებ.	4	მოსწავლეებს ავადებენ რაიმეს შესრულებას და აწვდიან მათ ინფორმაციას
წარმოებს მოსწავლეების (მაგალითად, უმცირესობების წარმომადგენლების) შერჩევა და მათთვის შესაძლებლობის მიცემა დაენახონ ღონისძიებას, თუმცა მათ არ ეძლევათ აზრის გამოთქმის საშუალება და არც მომზადებულები არიან ამისთვის. მათი დასწრება ღონისძიებაზე პოლიტიკური კორექტურობის დემონსტრირებას ემსახურება.	3	სიმბოლიზმი: (უმცირესობათა) სიმბოლური ინტეგრაცია
მოსწავლეებს ამზადებენ ღონისძიებისთვის, სპეციალურ ფორმებში გამოწყობილი მოსწავლეები სამოგადოების წინაშე წარსდგებიან ხედავს ყველამ ან დროშებით. ისინი აღამაზებენ უფროსების (ან შესაძლოა ბავშვთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილ) ღონისძიებას.	2	დეკორაცია: მოსწავლეებს იყენებენ
მოსწავლეები ორგანიზებულია მონაწილეობენ პოლიტიკურ დემონსტრაციაში ხედავს პოლიტიკური შინაარსის პლაკატებით. ისინი გამოწყობილი არიან პოლიტიკური პარტიის ან მოძრაობის სიმბოლურ ფერებში.	1	მანიპულაცია: მოსწავლეებს იყენებენ „ბოროტად“



შერი პ. არწმუტინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბე

შერი პ. არწმუტინი თავის 1969 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „მოქალაქეთა მონაწილეობის კიბე“ გვთავაზობს მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესის რვა დონეს, რომლებიც შეესაბამება საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას. თვალსაჩინოებისთვის ეს დონეები კიბის სახითაა წარმოდგენილი. თითოეული საფეხური შეესაბამება საბოლოო შედეგის განსაზღვრაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარკვეულ დონეს. ეს დონეებია: 1. მანიპულირება; 2. თერაპია; 3. ინფორმირება; 4. კონსულტირება; 5. გულის მოგება; 6. პარტნიორობა; 7. უფლებამოსილების დელეგირება; 8. სამოქალაქო კონტროლი.


აღნიშნული რვა დონე თავისი მხრივ დაჯგუფებულია სამ ჯგუფად: 1. არამონაწილეობის დონეები; 2. სიმბოლური მონაწილეობის დონეები; 3. მოქალაქეთა უფლებამოსილების დონეები.

არწმუტინის კიბის ყველაზე ქვედა საფეხურებია მანიპულირება და თერაპია. ეს ორი საფეხური ასახავს ე.წ. „არამონაწილეობის“ დონეებს, რომლებიც რეალურ მონაწილეობას ჩაანაცვლებს. მათი რეალური მიზანია – არ დაუშვან ადამიანები [პროგრამების] დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებთან, ამგვარად, ხელისუფლებას აქვს შესაძლებლობა მოქალაქეებს „ასწავლოს“ და „უმკურნალოს“.

მესამე და მეოთხე საფეხურები (შესაბამისად, „ინფორმირება“ და „კონსულტირება“) წარმოადგენენ სიმბოლური მონაწილეობის დონეებს, რომლებიც იძლევა მოქალაქეების მხრიდან - აზრის გამოთქმის, ხელისუფლების მხრიდან კი - მათი აზრის მოსმენის საშუალებას. მოქალაქეებს უჩნდებათ შანსი, რომ მათ მოუსმენენ, თუმცა ჯერ კიდევ არ აქვთ იმის გარანტია, რომ ხელისუფლება მათ აზრს გაითვალისწინებს. ასევე იმის შემოწმებაც შეუძლებელია, თუ როგორ სრულდება დაპირებები, რადგან არ არსებობს შემოწმების არავითარი მექანიზმი. ამ დონეზე მოქალაქე ჯერ კიდევ არ არის დარწმუნებული, რომ არსებული მდგომარეობა რაიმენაირად შეიცვლება, ან თუნდაც რომ შეიცვალოს, მის ხმას ვინმე შეისმენს.

მეხუთე საფეხური (გულის მოგება) – ეს არის სიმბოლურ ღონისძიებათა უფრო მაღალი დონე, რამდენადაც, თამაშის არსებული წესების მიხედვით, ამ დონეზე უკვე ითვალისწინებენ მოქალაქეთა სათათბირო ხმის უფლების არსებობას, თუმცა გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივა კვლავ მხოლოდ ხელისუფლებას ეკუთვნის.

ზედა საფეხურებზე განთავსებულია იმ მოქალაქეთა მონაწილეობის დონეები, რომელთაც გადაწყვეტილების მიღებისას მზარდი პრივილეგიები გააჩნიათ. მოქალაქეებს შეუძლიათ ერთმანეთთან პარტნიორული ურთიერთობების (მე-6 დონე „პარტნიორობა“) დამყარება, რაც მათ მისცემს ხელისუფლებასთან დიალოგის წარმოებისა და კომპრომისების მიღწევის საშუალებას. ყველაზე ზედა საფეხურებს იკავებს „უფლებამოსილებათა დელეგირება“ და „სამოქალაქო კონტროლი“ (შესაბამისად, მე-7 და მე-8 დონეები), რომლებიც მოქალაქეებს აძლევს კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, ან მმართველობით გადაწყვეტილებაზე სრული კონტროლის საშუალებას.



7. ლექსიკონი

ავთენტური - E. authentic Fr. authentique ნამდვილი, სანდო, სინამდვილის შესაბამისი.

აპარტიდი - Apartheid - რასობრივი დისკრიმინაციის ყველაზე სასტიკი ფორმა, რომელიც გარკვეული ჯგუფებისათვის სამოქალაქო, პოლიტიკური ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების აღკვეთაში გამოიხატება.

ასერტულობა - (ვიკიპედია) ადამიანის უნარი, თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე და სხვებთან დაამყაროს ეფექტიანი კომუნიკაცია. ამ დროს ადამიანი პატივს სცემს საკუთარ თავს და სხვებს. ასერტულობა აძლევს ადამიანს სხვებთან ღია კომუნიკაციის საშუალებას. ასერტული ქცევა აძლევს საშუალებას ადამიანს რომ დაიცვას საკუთარი პოზიცია, მაშინაც კი, როდესაც სხვებს განსხვავებული აზრი აქვთ.

დეკონსტრუქცია - ტერმინი „დეკონსტრუქცია“ აღნიშნავს ზოგადად, ნებისმიერი ცნებისათვის, როგორც იდეოლოგიურად ან კულტურულად კონსტრუირებულისათვის ფარდის ახდას და არა უბრალოდ ბუნებრივი რეალობის ასახვას.

დომეინი - ვებ გვერდის, როგორც პერსონის სახელი და გვარი თავისი საცხოვრებელი ადგილითურთ.

ემპათია - სხვა ადამიანის თვალთახედვის, მისი ემოციური მდგომარეობის გაგებისა და გაზიარების უნარი.

ექსტრადიცია - Extradition - მსჯავრდებულ და ეჭვმიტანილ პირთა გადაცემა იმ სახელმწიფოს მიერ, რომლის ტერიტორიაზე იმყოფება მსჯავრდებული და ეჭვმიტანილი პირი, მეორე სახელმწიფოსთვის, რომელიც მოითხოვს მის გადაცემას სისხლის სამართალში მიცემის ან უკვე გამოტანილი განაჩენის აღსრულების მიზნით.

თვითშეფასება - თვითშეფასება წარმოადგენს მე-კონცეფციის პირადი ღირებულების, კომპეტენტურობის განცდიდან გამომდინარე შეფასებას.

ინდოქტრინაცია (ლათ. in — „შიგნით“ და doctrina — „სწავლება“, „თეორია“) — სახელმწიფოს ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ კომპლექსური რეკლამისა და პროპაგანდის მეშვეობით მოსახლეობის ცნობიერებაში შეხედულებათა გარკვეული სისტემისა და სტერეოტიპების ჩანერგვა და ჩამოყალიბება. ინდოქტრინაციის მიზნით, როგორც წესი, გამოიყენება მასმედია და განათლების სისტემის ინსტიტუტები — სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები და ა. შ.

ინკლუზია - ნიშნავს ჩართვას და გულისხმობს განსხვავებული ნიშნის მქონე ბავშვების რაიმე ფორმით ჩართვას სასწავლო პროცესში სხვა თანატოლებთან ერთად.

ინტეგრაცია - ცალკეული ელემენტების გაერთიანებისა და კოორდინირების პროცესი.

კოსმოპოლიტიზმი - მსოფლიო მოქალაქეობის იდეოლოგია, რომელიც კაცობრიობის ინტერესებს ცალკეული ერის ინტერესებზე მაღლა აყენებს.

ლიბერალიზაცია - რაიმე საქმიანობაზე შეზღუდვათა შემცირება ან მოხსნა.

მულტილინგვიზმი - ორი ან მეტი ენის ერთდროული გამოყენება, ინდივიდის კომპეტენცია ორ ან მეტ ენაში.

ნარატივი - სამყაროს აღქმის ისტორიულ-კულტურული ინტერპრეტაცია გარკვეული პოზიციიდან, თხრობა მხატვრულ ნაწარმოებში.

პროპაგანდა - ინფორმაციის მიწოდების ფორმა, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი საკომუნიკაციო ფორმის გეგმაზომიერ გამოყენებას ადამიანთა გონებაზე, ემოციებსა და ქცევაზე ზემოქმედების მიზნით.

რეკლამა - ინფორმაციის გადაცემის ერთ-ერთი სახეა სავაჭრო საქმიანობაში. სარეკლამო საქმიანობის მთავარი მიზანია ადამიანების მოზიდვა ამა თუ იმ პროდუქციის შესაძენად, რაც მომხმარებელზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით ხორციელდება.

რეპორტაჟი - საგაზეთო და საჟურნალო სტატია, რადიო და სატელევიზიო გადაცემა ან კინოსურათი, რომელშიც თვითმხილველის მიერ მოთხრობილია ადგილობრივ მომხდარი ფაქტი, შემთხვევა.

სეგრეგაცია (E. Segregation) - რაიმე ნიშნის (კანის ფერი, ენის, ეთნიკური წარმომავლობისა და სხვა) საფუძველზე რომელიმე ქვეყნის მიერ საკუთარი მოსახლეობის მიზანდასახული გამოჯვნის პოლიტიკა.


წყაროთმცოდნეობა — მეცნიერება ისტორიული წყაროების გამოვლენის, კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის, მათი ანალიზისა და გამოცემის მეთოდისა და თეორიის შესახებ.

ჰომოგენური საზოგადოება - რომელიც არ შეიცავს შედგენილობის ან თვისებების მიხედვით განსხვავებულ და ერთმანეთისგან გაყოფის ზედაპირებით განცალკევებულ ნაწილებს. (?)

ჰუმანიზმი (ლათ. humanus, ადამიანისეული, ადამიანური, განათლებული) - ფართო გაგებით — ისტორიულად ცვალებად შეხედულებათა სისტემა, რომელიც ძირითად ღირებულებად თვლის ადამიანის პიროვნებას, აღიარებს მის უფლებას ბედნიერებაზე, თავისუფლებაზე, თანასწორობასა და ყოველგვარი უნარის გამოვლენაზე.

8. სახელმძღვანელოში გამოყენებული და სარეკომენდაციო ლიტერატურა და წყაროები:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №100/ნ - (2021 წლის 17 დეკემბერი) „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“
4. ვიკიპედია - თავისუფალი ენციკლოპედია
5. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი - <http://www.nplg.gov.ge>
6. საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/> - ბოლო ნახვა 25.02.2022 წ.
7. რომის სამოქალაქო სამართალი, გიორგი ნადარეიშვილი, 2005 წ. - ბოლო ნახვა 22.02.2022 წ.
8. ორმაგი მოქალაქეობა თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში, ნინო სულაბერიძე, თბილისი 2018 წ. - ბოლო ნახვა 20.02.2022 წ.
9. მასწავლებლის გზამკვლევი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სამოქალაქო განათლების კურსი - ქეთევან მუხიგული, თამარ ქვარაია. საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES), 2021წ. - ბოლო ნახვა 2.03.2022 წ.
10. ციფრული მედეგობა (სახელმძღვანელო) - , ევროპის საბჭო. - ციფრული მედეგობა, - ევროპის საბჭოს განათლების დეპარტამენტი - ევროპის საბჭოს გამომცემლობა, F-67075 Strasbourg Cedex <http://book.coe.int> ISBN 978-92-871-9164-9 © ევროპის საბჭო, ოქტომბერი 2021 Licensed to the European Union under conditions. - ბოლო ნახვა 3.03.2022 წ.
11. კურს „დემოკრატია და მოქალაქეობის“ ფარგლებში შესრულებული სტუდენტთა საუკეთესო სამოქალაქო ჩართულობის პროექტების კრებული, 2016 წ. - ბოლო ნახვა 25.03.2022 წ.
12. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები - თანაცხოვრება კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებაში, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, F-67075 Strasbourg Cedex, <http://book.coe.int> , www.coe.int © ევროპის საბჭო, 2016 წლის მარტი.
13. ია აფთარაშვილი, სტატია - მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასება, <https://bit.ly/3x5Ipfw>
14. საგანი - მოქალაქეობა, გზამკვლევი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო <https://mes.gov.ge/uploads/files/gzamkvlevi/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf>
15. მოქალაქეობა და მოქალაქეობის არქონა სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის No. 22; 2014
16. მონაწილეობა <https://www.living-democracy.com/ge/principals/participation/>
17. სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო IX-XII კლასებისათვის; ა.გოგლიჩიძე, 2011 <https://bit.ly/3GGoyrI>
18. ნინო კაპანაძე, გონებრივი იერიში – აქტიური მეთოდი ყველა საფეხურისათვის, <https://bit.ly/3MbtoOM>
19. ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში - ს. ლობჯანიძე, <https://bit.ly/3acEt4Z>
20. მაია ინასარიძე _ სადისკუსიო მეთოდები <http://mastsavlebeli.ge/?p=2129>



დაფინანსებულია „მოსწავლეებისა და
მასწავლებლების სახელმძღვანელოებით
უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში

